



ოკულტური და რელიგიური ჟურნალის

# აპოკრიფი

საქართველში

მეცნიერების რელიგია ჯადოსნური

№10, აგვისტო, 2015 e.v.



ოკულტური და რელიგიური ჟურნალის  
**აპოკრიფი**  
საქართველოში

№ 10.  
აგვისტო, 2015 e.v.

პროექტი დაარსებულია 2003 წელს.  
ქართულ ენაზე გამოდის 2013 წლის სექტემბრიდან.

მთავარი რედაქტორი: Fr. Nyarlathotep Otis (ადრიანოვი რ. ო.)  
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში: Kasandra

ინტერნეტი:

ქართულ ენაზე: <http://apokrif93.com/gruziya/>, <http://vk.com/apokrif93geo>  
რუსულ ენაზე: <http://apokrif93.com>, <http://vk.com/apokrif93>

ელექტრონული ფოსტა: [93in39@gmail.com](mailto:93in39@gmail.com)

ჯურნალი გამოიცემა — <http://imago-666.livejournal.com> — ის მხარდაჭერით.

© ჟურნალი «აპოკრიფის» რედკოლექცია და ავტორები, 2015

თბილისი  
თეთრი მაიმუნის ორდენი



# შინაარსი

№ 10. აგვისტო 2015 e.v.

## საიდუმლო ორდენები:

საიდუმლო ორდენები .....	6
თავისუფალი მასონები, ბაფომეტი და ლეო ტაქსილის ფარსი .....	10
მასონები: მსოფლიოს ფარული მბრძანებლები .....	14
ჯორჯ ბაირონის «კაენი» .....	20
ჯორჯ ბაირონის «კაენი» .....	24
მასონთა გეგმა .....	26
საგანგებო: მომაკვდავი მასონის აღსარება .....	29
სტენლი კუბრიკის საიდუმლო სიკვდილი .....	33
საქართველოში აღდგა ქართული მასონური ლოჟები .....	36
ცნობილი მასონები .....	41
მასონური ტერმინების ლექსიკონი .....	43

## ფენ-შუი:

ფენ-შუი .....	50
ფენ-შუი-ციფრები .....	54
ფენ-შუი-ფერები .....	56
ენერგეტიკა სახლში .....	60

## ოშო:

საუბრები იესოზე .....	72
-----------------------	----

*ოშო*

## საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია:

წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები საქართველოში .....	80
--	----

*ქეთევან ხუციშვილი*

სალონი «კასანდრა» .....	94
-------------------------	----



*იუმორისა და საღი აზრისთვის!  
გააკეთე რაც გსურს — გსურდეს შეუძლებელი!*

*ჟურნალისა და მისი ცალკეული მატერიალის  
კოპირება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში,  
თუ მითითებულია წყარო და ჟურნალის ელექტრონული მისამართი.*

*რედაქციის აზრი შეიძლება არ დამეთხვეს ავტორისას.*

*რედაქცია იტოვებს უფლებას  
უარი თქვას მატერიალის გამოქვეყნებაზე მიზეზის აუხსნელად.*

გამოცემისთვის მზადება  
დასაწყისი 02.06.2015 წ.

გამოცემა გამოშვებულია  
01.08.2015 წ.

**ინტერნეტი:**

ქართულ ენაზე: <http://apokrif93.com/gruziya/>, <http://vk.com/apokrif93geo>

რუსულ ენაზე: <http://apokrif93.com>, <http://vk.com/apokrif93>

ელექტრონული ფოსტა: [93in39@gmail.com](mailto:93in39@gmail.com)

ჯურნალი გამოიცემა — <http://imago-666.livejournal.com> — ის მხარდაჭერით.

ანგარიში სისტემაში Яндекс.Деньги: 41001416643125

ანგარიშები სისტემაში WebMoney: Z318373604178, E263825672387, R412990927571,  
U141526320068, B411510488425, G198524212114

ტელეფონის ნომერი: 89632921917

რუსეთის ზბერბანკის კარტა: 67619600 0475725116

რუსეთის ზბერბანკის რეკვიზიტები:

Калининградское ОСБ № 8626/01236

ИНН 7707083893 БИК 042748634 КПП 390602001

к/сч 30101810100000000634 р/сч

47422810920009902000

Назначение платежа: Адрианову Роману

Олеговичу,

лицевой счёт № 4230781082001344693448


მისამართი საფოსტო გზავნილებისთვის:

236022, Калининград, ул. Нарвская, д. 17, кв. 11,

Адрианову Роману Олеговичу



თქვენ მოგესალმებათ პირველი pdf-ჟურნალი  
მაგიაზე, ოკულტიზმზე, ეზოტერიკაზე და თეოლოგიაზე  
ქართულ ენაზე — ჟურნალი «აპოკრიფი»!  
ჩვენ ვიბეჭდებით 2003 წლიდან რუსულ ენაზე,  
ხოლო ახლა, გამოვიდა ჟურნალი «აპოკრიფის»  
ქართულენოვანი ვერსია.  
სასიამოვნო კითხვას გისურვებთ!



საიდუმლო ორდენები



# საიდუმლო ორდენები

*ისტორიის მანძილზე ბევრი საიდუმლო ორგანიზაცია ყოფილა და ბევრი შეთქმულების თეორიაც აგორებულა მათ შესახებ. პოსტში წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს.*

## 1. თავის ქალა და ძვლები

თავის ქალისა და ძვლების ორდენი, იელის უნივერსიტეტის საიდუმლო საზოგადოება, თავდაპირველად ცნობილი იყო როგორც სიკვდილის სამმო. ეს არის აშშ-ის სტუდენტთა ერთ-ერთი უძველესი საიდუმლო ორგანიზაცია. დაარსდა 1832 წელს და მასში გაწევრიანების საშუალება მხოლოდ ერთეულებს აქვთ. მისი წევრები დღემდე ატარებენ მასონურ რიტუალებს. ხუთშაბათსა და კვირას იკრიბებიან სპეციალურ შენობაში, რომელსაც ეძახიან «აკლდამას».

იელის უნივერსიტეტის არქივის გამგისა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, ჯუდი შიფის თქმით, ორგანიზაციის წევრთა ვინაობა 70-იან წლებამდე გასაიდუმლოებული არ იყო, რიტუალები კი მაშინაც ტარდებოდა. იელში სწავლის პერიოდში მისი წევრები იყვნენ მამა-შვილი ბუშები. სხვა წევრებმაც ასევე წარმატებას მიაღწიეს და სახელი გაითქვეს.

თავის ქალისა და ძვლების შესახებ ბევრი თეორიაა გავრცელებული. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA) დაფუძნებულია ამ ორგანიზაციის წევრებზე. სააგენტომ 2007 წელს გაავრცელა განცხადება, რომელშიც ეს მოსაზრება უარყოფილია. განცხადება სრული სახით შეგიძლიათ იხილოთ აქ.

## 2. როზენკრეიზერები

ითვლება, რომ როზენკრეიზერების ორდენის შექმნის იდეა თავში მოუვიდათ გემანელ პროტესტანტებს, რომლებმაც 1600-იან წლებში გამოუშვეს სამი დოკუმენტი: Fama Fraternitatis Rosae Crucis (ვარდისა და ჯვრის სამმოს გზავნილი), Confessio Fraternitatis (სამმოს აღსარება) და The Chymical Wedding of Christian Rosenkreutz anno 1459 (ქრისტიან როზენკრეიციის ქიმიური ქორწინება, წელი 1459). ეს დოკუმენტები ისე ფართოდ გავრცელდა და იმდენად გავლენიანი იყო, რომ ისტორიკოსმა ფრანსის იეტსმა მე-17 საუკუნეს უწოდა როზენკრეიციული განათლების პერიოდი. პირველი დოკუმენტი გვიამბობს მისტიურ ალქიმიკოსზე, რომელმაც მსოფლიოს მრავალ ადგილას იმოგზაურა ცოდნის გაფართოების მიზნით. მეორე დოკუმენტში ასახულია ალქიმიკოსთა საიდუმლო სამმო, რომელიც აპირებდა, ევროპის პოლიტიკური და ინტელექტუალური სახე შეეცვალა. მესამე დოკუმენტი მოგვითხრობს ქრისტიან როზენკრეიციზე, რომელიც მიიწვიეს მეფისა და დედოფლის «ქიმიურ» ქორწილზე საოცრებათა სასახლეში.



როზენკრეიზერების ორდენის დღევანდელი წევრები ამტკიცებენ, რომ მათი სამმო გაცილებით ძველია, ვიდრე ის სამი დოკუმენტი. დოკუმენტებში იგრძნობა სიმპათია პროტესტანტების მიმართ და უარყოფითი დამოკიდებულება კათოლიკეებთან მიმართებაში. სავარაუდოდ, სამმომ გავლენა მოახდინა მასონებზეც, რადგან შოტლანდიური წესით, მე-18 ხარისხის მასონს «წითელი ჯვრის რაინდი» ეწოდება.

დღეს როზენკრეიზერების ბევრი განშტოება არსებობს, ყველა მათგანი ამტკიცებს, რომ ორიგინალთან ახლოსაა. ორი ძირითადი შტოდან ერთს შეთვისებული აქვს ქრისტიანული იდეოლოგიის პრინციპები, მეორე კი უფრო მეტად მასონურს ჩამოჰკავს.

### 3. Ordo Templis Orientis, ანუ აღმოსავლეთის ტაძრის ორდენი

ეს ორგანიზაციაც მიაგავს მასონურს, მაგრამ მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის, «დიდი მხეცის» ალისტერ კროულის გავლენით, ასევე შეტანილია რელიგიური სისტემის, თელემას ელემენტებიც. თელემა დაფუძნებულია უბრალო კანონზე: «აკეთე ის რაც გსურს». წევრებს ენიჭებათ სხვადასხვა ხარისხი გამოცდილებასთან ერთად, ასევე ტარდება მაღალ დონეზე ორგანიზებული რიტუალები. დღესდღეობით მსოფლიო მასშტაბით ორდენს 3000 წევრამდე ჰყავს.

კროულიმ ორდენის წევრებისგან შექმნა მასა, რომელსაც უწოდა «გნოსტიკური მასა». რიტუალების დროს ადიდებენ ბუნების ძალებს. აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ქალწული ქურუმები, ბავშვები და მღვდლები. მოუწოდებენ ბევრ უძველეს ღვთაებას, ძირითადად ეგვიპტურებს, ასევე ლუციფერს. ქურუმი კი ამ დროს შიშვლდება და სარიტუალო მოძრაობებს ასრულებს.

### 4. ოქროს განთიადის ჰერმეტიკული ორდენი

ორდენის ფუძემდებელია დოქტორი უილიამ რობერტ ვუდმენი, უილიამ ვაინ ვესტკოტი და სამუელ ლიდელ მაკგრეგორ მატერსი. სამივე მათგანი იყო თავისუფალი მასონი და ინგლისური როზენკრეიზერების სამმოს წევრი (რომელსაც თავის მხრივ, მჭიდრო კავშირი აქვს მასონებთან). ბევრი მკვლევარის მიერ მიჩნეულია, რომ ამ ორდენის წევრებმა ჩაუყარეს საფუძველი ოკულტური ჯგუფების უმეტესობას.

ოქროს განთიადის ჰერმეტიკული ორდენის წევრთა რწმენის სისტემა დაფუძნებულია ქრისტიანულ მისტიციზმზე, კაბალაზე, ჰერმეტიციზმზე, უძველეს ეგვიპტურ რელიგიებზე, თავისუფალი მასონების იდეოლოგიაზე, ალქიმიასზე, თეოსოფიაზე, მაგიასა და რენესანსის პერიოდის ნაშრომებზე. ყველაზე ცნობილი წევრები არიან უილიამ იეტსი და ალისტერ კროული.

ორდენის ფუნდამენტური დოკუმენტები ცნობილია, როგორც შიფრის დოკუმენტები. დოკუმენტები შედგება 60 ფოლიოსგან, რომელშიც ასახულია მაგიური რიტუალები. რიტუალთა უმეტესობის სათავე როგორც ჩანს, სათავეს იღებს როზენკრეიზერებიდან.

### 5. ტაძრის რაინდები

სრული სახელია: ტაძრის, წმინდა იოანე იერუსალიმელის, პალესტინის, როდოსისა და მალტის გაერთიანებული რელიგიური, სამხედრო და მასონური ორდენი. ეს არის თანამედროვე ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი არ აქვს ორიგინალ ტამპლიერებთან — ორგანიზაციასთან, რომელიც მე-12 საუკუნეში შეიქმნა. მის წევრებს ამაზე არც აქვთ პრეტენზია, მათგან მხოლოდ იდეები და სიმბოლოები ისესხეს.

ორდენის წევრი რომ გახდეთ, უნდა იყოთ ქრისტიანი ოსტატი მასონი. თავისუფალი მასონების მხარე უარყოფს, რომ მათთან რამე კავშირი აქვთ, თუმცა შეინიშნება აშკარა მსგავსება წყობასა და იერარქიაში. ასევე არიან მასონები, არამასონები და ანტიმასონებიც კი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს ორი ორგანიზაცია ერთმანეთთან თანამშრომლობს.

### 6. ბილდერბერგის ჯგუფი

ეს ჯგუფი იმით განსხვავდება პოსტში მყოფი სხვა ორგანიზაციებისგან, რომ მას არ აქვს წევრთა ოფიციალური სია. სახელი უწოდეს მისმა ყველაზე გავლენიანმა წევრებმა, რომლებიც წელიწადში ერთხელ აწყობენ შეხვედრას. ჯგუფი შეიქმნა 1954 წელს, ამ წელს შედგა პირველი შეხვედრაც ჰოლანდიის სასტუმრო ბილდერბერგში (სურათზე). საკითხები, რაც შეხვედრებზე განიხილება, საიდუმლოდ ინახება. შეხვედრის ადგილები, როგორც წესი, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროებია მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში.

შეხვედრაზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევითაა შესაძლებელი. ჯგუფი აერთიანებს ძალაუფლების მქონე ხალხს პოლიტიკიდან, ბიზნესიდან, საბანკო, სამხედრო და მედიის სფეროდან. შესაბამისად, ორგანიზაცია მათი მფარველობით სარგებლობს. ვისაც აქვს ბედნიერება და სხდომას დაესწრება, წინასწარ დებს ფიცს, რომ არ გათქვამს უმნიშვნელო დეტალსაც კი, რასაც იქ მოისმენს. ალბათ, იმის თქმა საჭირო აღარაა, რომ ბილდერბერგის ჯგუფის შესახებ უამრავი შეთქმულების თეორია და მოსაზრება არსებობს.



## 7. სიონის პრიორატი

დენ ბრაუნის «და ვინჩის კოდის» გამოსვლის შემდეგ გაიზარდა საზოგადოების ინტერესი სიონის პრიორატის მიმართ. საერთოდ, სიონის პრიორატი ეწოდება რამდენიმე სხვადასხვა ორგანიზაციას, რომლიდანაც ზოგი ფიქციურია, ზოგი ასე თუ ისე რეალური. ყველაზე მნიშვნელოვანი მათგან არის 1956 წელს საფრანგეთში პიერ პლანტარდის მიერ აღმოჩენილი ორგანიზაცია, რომელიც გადმოცემის მიხედვით, შექმნა ბოლონის გრაფმა გოტფრუამ. პრიორატის არქივების მიხედვით, მათ წვლილი მიუძღვით ტამპლიერების ორდენის შექმნაში და მათი მართვაც ძირითადად აქედან ხორციელდებოდა.

ორგანიზაციამ რამდენჯერმე გამოაქვეყნა განცხადებები, რომელშიც ნათქვამია, რომ მათთან ინახება წმინდა გრაალი, ტამპლიერების განძი და მრავალი საკრალური ნივთი. მაგრამ მათი წარდგენა საზოგადოების წინაშე მოხდება მაშინ, როცა ამას თავად გადაწყვეტენ, რადგან განძთან ერთად იქ ინახება უძველესი ცოდნაც. პრიორატის ჩანაწერების მიხედვით, ისტორიის მანძილზე მისი ცნობილი წევრები იყვნენ: ნიკოლა ფლამელი, სანდრო ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, რობერტ ბოილი, ისააკ ნიუტონი, ვიქტორ ჰიუგო.

## 8. ოპუს დეი, ანუ ღმერთის ნაშრომი

ოპუს დეი არის კათოლიკური ორგანიზაცია, რომლის წევრებიც მიიჩნევენ, რომ ყველა ადამიანი წმინდაა და ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა გზა სიწმინდისკენ. ორდენი დაარსდა ესპანეთში 1928 წელს კათოლიკე მღვდლის ჯოზემარია ესკრივას (სურათზე) მიერ, რომის პაპ პიუს XII-ის კურთხევით.

«და ვინჩის კოდში» დენ ბრაუნი ირწმუნებოდა, რომ ოპუს დეი არის საიდუმლო ორგანიზაცია კათოლიკე ეკლესიის შიგნით, რომლის მიზანია დაშალოს სიონის პრიორატის საზოგადოება და საზოგადოებას ამცნოს ჭეშმარიტება ქრისტიანობის რეალური არსის შესახებ. დენ ბრაუნამდე და მის შემდეგ ბევრჯერ ყოფილა კამათი ამ ორგანიზაციის შესახებ, მათი განსაკუთრებულად მკაცრი რელიგიური სტრუქტურის გამო.

ორგანიზაციის წევრთა უმეტესობა საერო პირებია. ისინი ადამიანებს მიიჩნევენ ნაშრომად, ღმერთის შემოქმედებად, ამიტომაც ეწოდა ეს სახელი. 2009 წელს წევრების რაოდენობამ მიაღწია 90 000-ს, მათგან 2000 მღვდელია. 70%-ს ოჯახი ჰყავს, დანარჩენი 30% კი ცელიბატია.

## თავისუფალი მასონები, ბაფომეტი და ლეო ტაქსილის ფარსი<sup>1</sup>

*საზოგადოებაში დღესაც ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ თავისუფალი მასონები სატანის მსახურები არიან. პოსტში გაეცნობით, საიდან წამოვიდა ეს აზრი, რა საფუძვლები ჰქონდა და რამდენად ახლოა რეალობასთან ასევე რამდენიმე საინტერესო დეტალს მასონებზე.*

### ტამპლიერების დევნა

1285 წლის 5 ოქტომბერს საფრანგეთის მეფე ხდება ფილიპე III-ს შვილი, ფილიპე IV, რომელსაც მომხიბლავი გარეგნობის გამო მეტსახელად «ლამაზი» [ფრანგულად «Le Bel»] შეარქვეს.

მან გადაწყვიტა დაეშალა ტამპლიერების ქრისტიანული სამხედრო ორდენი, რამეთუ მათი დიდძალი ვალი მართებდა. ტამპლიერებს იმ დროისთვის 200 წლიანი ისტორია ჰქონდათ და ბანკირებივით მოქმედებდნენ: პოლიტიკურ პირებს ან სახელმწიფოს საჭირო დროს გარკვეული ოდენობის თანხას ასესხებდნენ და დროთა განმავლობაში დიდ პროცენტს ადებდნენ. გარდა ამისა, ფილიპე ლამაზს სურდა საფრანგეთის სამეფოს საზღვრები გაეფართოვებინა, რასაც დიდი თანხა სჭირდებოდა. ეს კი მხოლოდ ტამპლიერების სიმდიდრის ხელში ჩაგდებათ მიიღწეოდა.

1307 წლის 13 ოქტომბერს, პარასკევ დღეს, მეფის საიდუმლო ბრძანებით ასობით ტამპლიერი შეიპყრეს [ამის შემდეგ ითვლება თარსად ის პარასკევი, რომელიც 13 რიცხვშია]. რაინდები კითხვებზე დუმილით პასუხობდნენ და რომის პაპთან, კლემენტ V-სთან შეხვედრას ითხოვდნენ იმ მოტივით, რომ მხოლოდ მას ემორჩილებოდნენ. მათდა სამწუხაროდ, კლემენტ V სუსტი და მშიშარა ადამიანი იყო და მეფის გავლენის ქვეშ ადვილად ექცეოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ფილიპე IV-ს დამაბული ურთიერთობა ჰქონდა წინა პაპთან, ბონიფასე VIII-სთან და მის სიკვდილშიც მიუძღოდა წვლილი. დამაბულობა გამოიწვია მეფის სურვილმა, შეემცირებინა ეკლესიის გავლენა სახელმწიფოზე. პაპ ბონიფასეს რა თქმა უნდა ძალაუფლების დაკარგვა არ სურდა და მიაჩნდა, რომ პაპი ღმერთისგან გამორჩეული ადამიანი იყო, რომელსაც ეკლესიის გარდა, სამეფოც ეზარა.

7 წლის განმავლობაში არაადამიანურად აწამებდნენ რაინდებს, რათა მათი საიდუმლობანი შეეტყოთ, მაგრამ ამაოდ. მეფეს განუდგა ბევრი სასულიერო პირი, რომლებიც ფილიპმა მისი ერთგული ხალხით ჩაანაცვლა. 1314 წლის 19 მარტს ცოცხლად დაწვეს ტამპლიერების ბოლო დიდი მაგისტრი, ჟაკ დე მოლი. კოცონზე წვისას ის სამეფო ოჯახსა და რომის პაპს წყევლიდა და ამბობდა, რომ ძალიან მალე ისევ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. მართლაც, ერთ თვეში [20 აპრილს] კვდება რომის

<sup>1</sup> წყარო: <http://ucnauri.com/66525/333/>



პაპი, რომელსაც მალევე მიყვა უკან ფილიპე ლამაზიც [29 ნოემბერს]. რამდენიმე წელიწადში მეფის ყველა შთამომავალმა იგივე ბედი გაიზიარა. 1328 წელს მეფის გვარი ამოწყდა და საფრანგეთის სამეფო ვალუების [Valois] დინასტიის ხელში გადავიდა.

### თავისუფალი კალატოზები

თავისუფალ კალატოზებს (მასონებს) დიდი სიმპათიები ჰქონდათ ტამპლიერების მიმართ და 1307 წელს მომხდარი ამბის გამო უარყოფითად ეკიდებოდნენ კათოლიკურ ეკლესიას. გარდა ამისა, მათ სასტიკად აღიზიანებდათ ინკვიზიციის კანონები, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ძალაში იყო. მასონების მთავარი პრინციპები იყო: ძმობა, ერთობა, თანასწორობა, რაც იმდროინდელ ეკლესიას ეწინააღმდეგებოდა. მასონებმა გადაარჩინეს ასევე ბევრი მეცნიერული ნაშრომი, რომელთა ავტორები კათოლიკურმა ინკვიზიციამ ან შეაჩვენა, ან სიკვდილით დასაჯა. კათოლიკური ეკლესიაც არ იყო მათი არსებობით აღფრთოვანებული და 1738 წელს რომის პაპმა კლემენტ XII-მ კათოლიკეებს სასტიკად აუკრძალა მასონთა რიგებში გაწევრიანება, 1907 წელს მიღებული კანონით კი მასონად გახდომა ან მათი ლიტერატურით გატაცება ავტომატურად ეკლესიიდან განკვეთას უდრიდა. მხოლოდ 1974 წელს გააუქმეს ეს კანონი და აღიარეს, რომ ვატიკანი მასონებთან მიმართებაში ცდებოდა.

მასონებმა ჩამოაყალიბეს ანალოგიური ორგანიზაცია «ტამპლიერი რაინდები» [Knights Templar]. როგორც მასონები აცხადებენ, ისინი არ არიან ტამპლიერების შთამომავლები და არც რაიმე სახის კავშირი აქვთ მათთან, თუმცა არსებობს ეჭვი, რომ ეს ორგანიზაცია სწორედ ტამპლიერთა საიდუმლო განძის აღმომჩენებმა შექმნეს. მასონებმა რაინდების პატივსაცემად ამერიკულ ლოჯას დაარქვეს ჟაკ დე მოლის სახელი, რამდენიმე ლოჯას უწოდეს «ვარდები და ჯვრები» [ვარდი და ჯვარი, როგორც სიმბოლოები, ხშირად გამოიყენებოდა ტამპლიერებში], წევრების თანამდებობებიც თითქმის იგივეა: მაგისტრი, შეგირდი, რაინდი, არქიტექტორი და ა.შ.

### ლეო ტაქსილის ფარსი

ლეო ტაქსილი [1954-1907] იყო ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი, რომელიც სკანდალებით გახდა ცნობილი.

მან გადაწყვიტა გაემასხარავებინა კათოლიკური ეკლესია და თავისუფალი კალატოზები. მან გამოუშვა ოთხტომიანი წიგნი «მასონების საიდუმლო», რომელიც აგებული იყო ვითომდა ყოფილი მასონების მონაყოლებზე, რეალურად კი ეს მხოლოდ მწერლის ფანტაზიები იყო. წიგნში აღწერილის მიხედვით, მასონები სატანური ორგანიზაციის წევრები იყვნენ და თაყვანს სცემდნენ ბაფომეტს [იხ. სურათები].



### წარმართული კერპი «ბაფომეტი»

ტერმინი «ბაფომეტი» შეითხზა, როგორც მუჰამედის დამახინჯებული ვარიანტი. მისი გამოსახულება ფართო საზოგადოებას პირველად ფრანგმა ოკულტისტმა და მაგმა, ელიფას ლევიმ წარუდგინა

ამ წიგნის გამოსხვლამდე ცოტა ხნით ადრე, რომის პაპს ლეო XIII-ს გამოშვებული ჰქონდა ნაშრომი «Humanum Genus», სადაც ასეთ რამეს წერდა:

— სამყაროს გზები ორ ძირითად ნაწილადაა გაყოფილი. ერთი ნაწილი რეალობაა, მეორე კი ილუზია, სიცრუე... რეალურ, ჭეშმარიტ გზას მივყავართ ღმერთამდე, რაშიც გვეხმარება იესო ქრისტეს ეკლესია. მეორე, ილუზიური გზა კი სატანამდე მიდის და ამ გზას თავისუფალი კალატოზები ადგანან...

ტაქსილის აზრები საოცრად დაემთხვა რომის პაპისას, ამიტომ მისი ნაწარმოები სიხარულით აიტაცა ვატიკანმა და ლოცვა-კურთხევაც მისცა. ამის შემდეგ ლეო ტაქსილი წერს მეორე წიგნს სახელად «ემმაკი მე-19 საუკუნეში», სადაც საზოგადოებას წარუდგენს ახალ პერსონაჟს, დიანა ვაუგანს. დიანა ვაუგანი, ავტორის თქმით, ალქიმიკოს მასონის, ტომას ვაუგანის შთამომავალი იყო. წიგნში მრავლად იყო აღწერილი, როგორ ეკონტაქტებოდნენ მასონები ხორცშესხმულ დემონებს და ძალაუფლებასაც მათგან იღებდნენ.

1897 წლის 19 აპრილს ლეო ტაქსილმა მოიწვია ჟურნალისტები და დაპირდა, რომ ფართო საზოგადოების წინაშე წარადგენდა დიანა ვაუგანს. პრესის უამრავი წარმომადგენელი მივიდა შეკრებაზე და მოუთმენლად ელოდნენ დანაპირების ასრულებას. თუმცა მათდა გასაოცრად, ტაქსილმა განაცხადა, რომ მის ნაწარმოებებში აღწერილი ამბები მასონებზე იყო აბსოლუტური სიცრუე და მისი მიზანი იყო კათოლიკე ეკლესიის გამასხარავება. ხოლო დიანა ვაუგანი, როგორც რეალური პერსონაჟი, საერთოდ არ არსებობდა. სიტყვით გამოსვლის ბოლოს მან მაღლობა გადაუხადა სამღვდელეობას, რომ მისი ნაშრომები ასეთი პოპულარული გახადეს.

გთავაზობთ პატარა ნაწყვეტს ლეო ტაქსილის ზემოთხსენებული ნაშრომიდან:

— ჩვენ (მასონებმა) უნდა ვუთხრათ მსოფლიოს, რომ ვეთაყვანებით ღმერთს, მაგრამ ნამდვილ ღმერთს. იმას, რომელიც იმსახურებს ამას. ლუციფერი რომ ღმერთი არ იყოს, რატომ დასწამებდნენ ცილს და მოიგონებდნენ ჭორებს მასზე ადონაი («ადონაი» ებრაულად ნიშნავს «უფალს») და მისი მსახური მღვდლები? დიახ, ლუციფერია ღმერთი, და სამწუხაროდ, ადონაიც ღმერთია. სამყაროს კანონი ასეთია: არ არსებობს სინათლე სიბნელის გარეშე, სილამაზე — სიმახინჯის გარეშე, თეთრი — შავის გარეშე, ამის გამო აბსოლუტი უნდა არსებობდეს ორი ღმერთის სახით. სიბნელე უნდა ემსახუროს სინათლეს, ეს ისევე საჭიროა, როგორც კვარცხლბეკი ქანდაკებისთვის და მუხრუჭი მოძრავი სხეულისთვის... ასე რომ ტრადიციული მოძღვრება სატანიზმზე არასწორია. ნამდვილი და ჭეშმარიტი ფილოსოფიური რელიგია არის ლუციფერისადმი რწმენა, რომელიც ძალაუფლებით ადონაის უტოლდება. მაგრამ ლუციფერი, სინათლის ღმერთი



[ლათინურად «ლუციფერი» ნიშნავს «სინათლის მომტანს»], იბრძვის მშვიდობის დასამყარებლად. ის ებრძვის ადონაის, ბნელეთისა და ბოროტების მომტან ღმერთს.

### თავისუფალი კალატოზები ჰოლოკოსტის პერიოდში

წიგნში «ჩემი ომი» ჰიტლერი წერდა, რომ მთავრობისადმი დაუმორჩილებლობის იდეის ყველაზე აქტიური გამავრცელებლები იყვნენ მასონები, რომლებიც იყოლებდნენ ებრაელებს და ამგვარად, საფრთხეს წარმოადგენდნენ ქვეყნისთვის. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაიწყო მასონების შევიწროება და მათი თავისუფლების შეზღუდვა. გერმანიის გარდა, განსაკუთრებული წნეხი მიდიოდა საფრანგეთსა და ნორვეგიაში. მათ ორი ვარიანტი ჰქონდათ: გამხდარიყვნენ ნაცისტების მოკავშირე ან ნაცისტების მორჩილები. მასონებმა ორივე ვარიანტზე უარი თქვეს და ანტინაცისტური პროპაგანდები დაიწყეს. ამის გამო ჰიტლერის ბრძანებით მრავალი მასონი დააკავეს, როგორც პოლიტიკური პატიმრები და საკონცენტრაციო ბანაკებში უკრეს თავი. იქ მათ სასტიკად აწამებდნენ, ექსპერიმენტებისთვის იყენებდნენ და ბოლოს კლავდნენ. შოტლანდიის დიდი ლოჟის მონაცემებით, ჰოლოკოსტმა 80 000-დან 200 000-მდე მასონი იმსხვერპლა.

აღსანიშნავია, რომ გეების, ინვალიდების, ებრაელების, პოლონელებისა და ჰოლოკოსტის სხვა მსხვერპლების მიმართ რომის პაპმა თანაგრძნობა გამოხატა და ნაცისტების საქციელი დაგმო, მასონებზე კი სიტყვაც არ დაუძრავს.

# მასონები

## მსოფლიოს ფარული მბრძანებლები

### I

XII საუკუნის დასაწყისში, ჯვაროსნებმა ხელთ იგდეს ფასდაუდებელი საიდუმლო ცოდნის ნაწილი. ამის გამო მათ მიერ 1118 წელს იერუსალიმში დაარსდა ტემპლერთა სამმოს (ფრანგ. templiers, temple — ტაძარი) საიდუმლო ორდენი. შეუპოვარი ძეგლის შედეგად, მათ შეიტყვეს, რომ დარჩენილი საიდუმლო ცოდნის ნაწილს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერები ინახავდნენ, რომლებმაც მოახერხეს მისი გატანა უცნობი მიმართულებით.

ტემპლერთა რიგებში ხდება განხეთქილება. რამოდენიმე გავლენიანი რაინდი, მონფოკონსკის მეთაურებით ცდილობს ხელთ იგდოს საიდუმლო. საპასუხოდ ისინი გაირიცხნენ ორდენიდან, ხოლო მეთაური სამუდამოდ დაატუსადეს. ტემპლერებში იქმნება რჩეულთა სამმო — როზენკრეიზერები (Rosenkreuzer, rosicrucians) რომლებმაც განსაკუთრებული მისიის შესრულება იტვირთეს. მათ დაუყოვნებლივ გამართეს მოლაპარაკება მეფე დავით IV აღმაშენებელთან — რადგან ჯვრის მონასტერი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ეკუთვნოდა.

1121 წლის ივლისში როზენკრეიზერები საქართველოში ჩადიან, მათ შორისაა იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II-ც; საერთო ჯამში 75 რაინდი. ისინი მართავენ საიდუმლო მოლაპარაკებებს დავით IV-სთან. მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ მოხდებოდა საიდუმლო ცოდნის გაერთიანება, რაც მსოფლიოს (წყაროებში მითითებულია — სამყაროს) დაპყრობის საფუძველს წარმოადგენდა. დავით IV დაპირდა გადამალული საიდუმლოების ნაწილის მოპოვებას. ერთგულების დასამოწმებლად, 1121 წლის 12 აგვისტოს, თურქთა წინააღმდეგ, დიდგორთან ქართველთა გვერდით რაინდებმაც იბრძოლეს. თუმცა ეს უფრო თვალის ახვევის მიზნითაც გაკეთდა, რომ მათი ვიზიტის ჭეშმარიტი მიზეზი, ორდენიდან გარიცხულ რაინდებს არ შეეტყოთ. 75 რაინდს მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშიათ თავად დიდგორის ბრძოლაში.

დავით IVს გაუჭირდა დაპირების შესრულება, რადგან რამოდენიმე ბერი გაუდგა ყველას და ყველაფერს და გაუჩინარდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, მოწინააღმდეგე მხარისათვის ცნობილი ხდება როზენკრეიზერებისა და ქართველების გარიგების ამბავი. დროთა განმავლობაში ისინი მოძლიერდნენ და საქმეში ფრანგი მეფე ფილიპი ჩართეს. მეფის ერთგული ჯარი, პარასკევს გამთენიისას შეიჭრა ორდენის პარიჟის რეზიდენციაში და სხვებთან ერთად დაატუსადა დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლი. შვიდი წლის განმავლობაში აწამებდნენ რაინდებს, რომ შეეტყოთ სად ინახებოდა საიდუმლოების მათი ნაწილი. რაინდებს დასწამეს უამრავი მოგონილი ბრალდებულობა, რის გამოც არქიეპისკოპოსი (ნარბონსკი) და სხვა სასულიერო



პირები პროტესტის ნიშნად მეფეს განუდგნენ. მეფე არქიეპისკოპოსის ადგილას ნიშნავს გამცემ რაინდთა უფროს — გიომს და ნოგარეს.

სულ მალე წმინდა ანტონის მონასტერის მახლობლად ცოცხლად დაწვეს საქართველოში ნამყოფი 54 რაინდი;

რეიმსში, რუანში, კარკასონში და მთლიანად საფრანგეთში, ასევე ცოცხლად დაწვეს სხვა მეორეხარისხოვანი რაინდები, მაგრამ არავის სიტყვა არ დაუძრავს გადამალული საიდუმლოების შესახებ. გამცემმა რაინდებმა საქმეში ჩართეს ვატიკანიც. პაპა კლიმენტ V მთლიანად გაამართლა მეფე ფილიპეს მოქმედებანი. ვენის XV მსოფლიო ტაძრის სხდომაზე გადაწყდა საერთოდ განადგურებულიყო ტამპლერების ორდენი. დადგენილებას 140 კარდინალიდან 4მა დაუჭირა მხარი. ფილიპე და მისი რაინდები დაუყოვნებლივ შეიჭრნენ სხდომაზე და კარდინალების მუქარით, პაპს ერთპიროვნულად მიაღებინეს გადაწყვეტილება. ამ დღიდან ვატიკანიც — როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი — დაინტერესებულია საიდუმლოების ხელში ჩაგდებათ.

ხანგრძლივი უშედეგო, ენით აუწერელი წამების შემდეგ, დასაწყვავად მოედანზე მიიყვანეს დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლიც. ბრალდებები მოგონილი და სრული სიყალბეა — ყვიროდა იგი — თქვენ ვერასდროს ჩაიგდებთ ხელში ღვთის საიდუმლოებას! ჩვენ ვიცავთ მას, ქრისტეს რაინდები!

დიდი მაგისტრი და მისი თანაშემწე დაწვეს ზუსტად სამეფო სასახლის პირდაპირ, პარიზში — ებრაულ კუნძულზე ფილიპე ფანჯიდან ტკბებოდა სანახაობით. სულ ბოლო მომენტში, როდესაც ცეცხლი მოხუცი მადისტრის სხეულს მოედო მან სასახლისაკენ გაიხედა და დაიყვირა: — პაპა კლიმენტ! მეფე ფილიპე! გიომს და ნოგარე! წელიც არ გაივლის და გიხმობთ ღვთის სამსჯავროზე! წყეულიმც იყავით თქვენი მოდგმით!

ერთ თვეში, გამცემი პაპა გარდაიცვალა დიზენტერიის მოულოდნელი შეტევით — კლიმენტ V სული განუტევა სისხლის გამონადენებში. კიდევ ერთ თვეში გაუგებერ ვითარებაში გარდაიცვალა ნოგარე. წლის დასასრულს კი მოულოდნელად მეფე ფილიპიც მოკვდა, მიუხედავად იმისა რომ არასდროს უჩიოდა ჯამრთველობას. რამოდენიმე წელიწადში დარდაიცვალა მეფის ყველა მემკვიდრე: სამი ვაჟი და შვილიშვილი.

პარალელურად გამცემმა რაინდებმა შესძლეს ჩინგისხანთან დაკავშირება, რომელიც სამყაროს დაპყრობის სურვილით შეპყრობილი საქართველოს დაუძინებელი მტერი გახდა. მისი ტრადიციები გააგრძელა თემურლენგმა. მონგოლ-თათართა შემოსევას შეეწირა ასობით ათასობით ქართველი და აურაცხელი ეკლესიის მსახური, განსაკუთრებით კი — ბერები. მაგრამ მათ ვერ შეძლეს საიდუმლოების მეორე ნაწილის ხელში ჩაგდება.

ევროპაში გადარჩენილმა რაინდებმა, მკაცრი საიდუმლოების ქვეშ დაარსეს ვარდისა და ხმლის სამმო (Order of the Rosy Cross) მისი ძირითადი მიზანი ტემპლერ რაინდთა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაა. დროთა განმავლობაში მათ მიერ არსდება რამოდენიმე საიდუმლო ორგანიზაცია. განსაკუთრებით





აღსანიშნავია მალტიის ორდენი და გერმანიაში აღმოცენებული ილუმინატები, მათ შორის კი SKULL AND BONES (თავის ქალა და ძვლები)...

...რომელიც შემდგომში შეერთებული შტატების ყველაზე გავლენიან საიდუმლო საზოგადოებად იქცა.

XX საუკუნეში, საზოგადოების რაინდმა ადოლფ შიკლგრუბერმა განიძრაბა საიდუმლოების საკუთარ ხელში ჩაგდება. შემდგომში ის იქნა გარიცხული რაინდთა რიგებიდან, მაგრამ სიმბოლოებით მაიც ბოლომდე სარგებლობდა.

ჰიტლერმა შესძლო გადამალული საიდუმლოების ერთი ნაწილის ხელში ჩაგდება და სასწრაფოდ მიაშურა დანარჩენს. სტრატეგიულად მას არ აწყობდა ს.ს.რ.კ.-სთან ომის დაწყება, მაგრამ საქართველოში გადამალული ნაწილის ხელში ჩასაგდებად სხვა გზა არ ქონდა.

ეს ძალიან კარგად უწყიდა იოსებ ჯუღაშვილს. სასულიერო სემინარიაში სწავლისას მან შეიტყო არსელი საიდუმლოების შესახებ, რომელსაც ქართველი ბერები იცავდნენ. მან გადაწყვიტა დაპატრონებოდა მათ და ამისათვის სხვა ცხოვრების გზა აირჩია. შემდგომში გადასახლებაში ყოფნისას ის დიდ დროს უთმობდა შესაბამისი მასალების გაცნობას, რამაც უდავოდ განაპირობა მისი გენიალობა. სტალინმა შეძლო საქართველოში არსებული საიდუმლოების მცირე ნაწილის ხელში ჩაგდება, თუმცა ეს საკმარისი არ იყო. ის ყველა ხერხს ხმარობდა; მაგალითად, აღუდგინა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, მაგრამ სანაცვლოდ მაინც ვერ მიიღო დარჩენილი ნაწილი. სიკვდილის წინ, პირველ რიგში მან ბერებს უხმო და მის ხელთ არსებული ნაწილი უკან დაუბრუნა.

ჰიტლერმა საწადელს ვერ მიაღწია და ომის შემდეგ, მისი საიდუმლოების ნაწილი ამერიკაში აღმოჩნდა SKULL AND BONES-ს ხელში.

ვარდისა და ჯვრის სამძოს მიზანი ნახევრად ასრულდა. საჭირო იყო მხოლოდ პირობების შექმნა, რომ საქართველოს თავი დაეღწია ს.ს.რ.კ.-დან, რაც შესაძლებლობას მისცემდათ თავისუფლად ემეზნათ დარჩენილი ნაწილი. ამისათვის კი უნდა დაშლილიყო კომუნისტთა სახელმწიფო.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ. მალტიის ორდენის დიდმა მაგისტრმა ანდრე ბერტიმ შესძლო საქმის ბოლომდე მიყვანა. მისი ორდენის ორმა რაინდმა: მიხეილ გორბაჩოვმა და რონალდ რეიგანმა, საზეიმო ვითარებაში, კუნძულ მალტაზე, გემზე შეხვედრისას, უცხო თვალისაგან დაშორებით, შესაბამის რიტუალის დაცვით ხელი მოაწერეს ს.ს.რ.კ.-ს დაშლას.

სამძო თამაშში რთავს ედუარდ შევარდნაძეს, მაგრამ მალე ხვდება, რომ მისი დახმარებით საწადელს ვერ მიაღწევს — თუმცა ის შეეცადა და მაგალითად სასულიერო პირებს მათი რელიგიის პრიორიტეტის აღიარებასაც შეპირდა — რაც შეასრულა კიდევ. მაგრამ უშედეგოდ. არავის უწყიდა სად გადამალეს ბერებმა საიდუმლო. სამძოს არჩევანი შეჩერდა ახალგაზრდა სტუდენტზე, რომელიც საფრანგეთის ადამიანთა დაცვის ინსტიტუტში სწავლობდა, ხოლო სტრასბურგი სწორედ მათი ქალაქია. ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილის ფიგურა დადებითად შეფასდა და მასთან გაწეული სპეციალური სამუშაოს შემდეგ (ა.შ.შ.-ში), სამძოს რაინდებს დაევალოთ მისთვის ხელის შეწყობა. სააკაშვილის მეუღლედ შეირჩა

ვარდისა და ჯვრის სამშოს დამსახურებული მაგისტრის შვილიშვილი — სანდრა. კალიფორნიის ფონდი Templar House Ltd ყველა ხარჯს საკუთარ თავზე იღებს. რაინდმა შევარდნაძემ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა და მისიის შესრულების შემდეგ სცენიდან გავიდა.

სამშო პარალელურად ირჩევს კიდევ სხვა რაინდს. ესაა ცნობილი ოჯახის ახალგაზრდა წარმომადგენელი და წარმატებული რაინდი ჯორჯ ბუში (უმცროსი).

წარმატებით აღფრთოვანებული სამშო, აღარ ელოდება საქართველოში გადამალულ საიდუმლოების ნაწილს და ბუშს მსოფლიო ომის გაჩაღების თანხმობას აძლევს — იმედით რომ ცოტა ხანში მთელი საიდუმლოება მათ ხელში იქნება.

ხელისუფლებაში მოყვანის შემდეგ, სააკაშვილი ფიცს დებს, რომ მოკლე ხანში შესძლებს გადამალული საიდუმლოების დარჩენილი ნაწილის ხელში ჩაგდებას. გარდა ამისა ის საქართველოს სიმბოლოდ (დროშა — ჯვრები) იღებს ტემპლერთა სამშოს დროშას. ხოლო რევოლუციას კი არქმევს სახელს (ვარდები — ვარდისა და ჯვრის სამშო) ყველაფერი ამისათვის ის ჯილდოვდება მალტიის ორდენით და ხდება სამშოს რაინდი.

## II

სიმბოლო უკავშირდება პლანეტა ვენერას — იგივე აღმოსავლეთის ვარსკვლავი.

ვარსკვლავის კუთხეებში მოთავსებული ხუთი სიმბოლო აღნიშნავს 5 ბიბლიურ ქალ-გმირს: «ადატი-რუტი-ესტერი-მარტა-ელეკტა», — და 5 შესაბამის ქალურ ღირსებას: ერთგულება-სულის სიმტკიცე-ლოიალურობა-რწმენა-სიყვარული.

ხანდახან სიმბოლოს ამშვენებს წარწერა «F.A.T.A.L.» რომელიც იმიფრება როგორც «Fairer Among Thousands, Altogether Lovely».

თავისუფალ მასონთა ყველაზე ცნობილ სიმბოლოს, გადაჯვარედინებული ცირკულარი (ფარგალი) და, „უგოლნიკი“ წარმოადგენენ სამყაროს შემოქმედის (ღმერთის) ინსტრუმენტებს და ამავე დროს მიანიშნებენ ადამიანის შესაძლებლობაზე, უნარზე, აღიქვას შექმნის საიდუმლოება.

ამავე დროს როგორც გაზომვადი ინსტრუმენტები ისინი წარმოადგენენ ღვთის კანონს, სამართალი — ღვთის კანონი (*правосудие — закон божий*).

ეს ორი სიმბოლო ერთობლიობაში ქმნის ჰეკსაგრამას, რაც ნიშნავს ცისა და მიწის ერთობლიობას და ახლოს დგას სოლომონისა და სატურნის სიმბოლოებთან.

ორთავა არწივი, იგივე ბიზანტიური და რუსული არწივი.

ეს სიმბოლო არის 36 (უმადლესი) შოტლანდიის თავისუფალ მასონთა სიმბოლო.

ორთავიანი არწივი გამოხატავს მისტიურ პროცეს ახალი წევრის ინიციაციისა — იგივე დასრულებულ ალქიმიურ პროცესს.



დაფარულ ალქიმიურ დოქტრინაში, რომელზეც აღმოცენებულია მასონთა უმეტესი სიმბოლო, არწივი არის მორიელის სიმბოლო,

ტრანსფორმაციის ემბლემა — ნელი, მცოცავი არსება (მორიელი) იქცევა არწივად, ჰაეროვან არსებად.

ალქიმიკში არწივი წარმოადგენდა განწმენდილი გოგირდის სიმბოლოს — ანუ იგივე განწმენდილი, განვითარებული სულის სიმბოლო.

არწივის ორი თავი ნიშნავდა მატერიისა და სულის ერთობას.

ხმალი, რომელზეც წამოსკუპებულია არწივი — უმაღლესი არსის დასჯად ინსტრუმენტს, ცეცხლს.

თავზე გვირგვინი — სულიერ მიღწევადობას.

ხშირად მასონურ, ორთავიან არწივს აიგივებენ, შუმერების ცნობილ «ლაგამის არწივთან.»

ხოლო თავისუფალ მასონებთან გაჩნდა მე18 საუკუნის შუახანებიდან, როდესაც ის მიიღო აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერატორთა საბჭომ.

მაშინ ეს სიმბოლო ასახავდა გაერთიანებას.

აუმ — მარცვალი სანსკრიტულ ენაზე, რომელიც ინდუიზმში, ბუდიზმსა და ჯაინიზმში წმინდად ითვლება. ინდუიზმის ფილოსოფიის მიხედვით მარცვალი აუმ მთელ სამყაროში გამუდმებით ჟღერს, იგია უპიროვნო ბრაჰმანი, ღმერთის ვიბრაციული ფორმა.

ღვთაებებისადმი მიმართული მანტრები (ლოცვები) ყოველთვის ამ მარცვლით იწყება. აუმ-ის გრაფიკული გამოხატულება სვასტიკასთან ერთად ძლიერ გავრცელებულია განსაკუთრებით ინდუისტურ საკულტო ადგილებში. იგი ინდუიზმის ისეთივე სიმბოლოა, როგორც ქრისტიანული ჯვარი და ისლამური ნახევარმთვარე.

### III

ძველი წელთაღრიცხვის 990 წელიან წლებში (თუ არ ვცდები), როცა სოლომონის ტაძარი შენდებოდა მაშინ იქ მომუშავე მუშებმა გადაწყვიტეს რომ შეექმნათ რაგაც გაწევრიანებასავით (არ ვიცი რა დავარქვა) რათა მესიისთვის გზა განემზადებინათ. ჭეშმარიტი მესია მათ არ მიიღეს, რადგან ისინი ელოდნენ რომ მესია მათ ფერხთით მოუფენდა ამა ქვეყნის ავლა დიდებას; მაგრამ უფალმა მათ თავმდაბლობა და ჭეშმარიტება უქადაგა, რაც მათ უარყვეს.

ისინი ამჟამად ელიან მესიას რომელიც მათ ძალაუფლებას მოუტანს და რომელი იქნება ანტიქრისტე. ამერიკაში 25 მიმილიონი ადამიანიაო მასონი, იქ ვერაფერს დიდს ვერ მიაღწევ ალბათ თუ მასონი არ ხარ.

მათთან გაწევრიანების დროს ასეთი ფრაზა იყო წინა საუკუნეებში:»მე თუ გავცემ თქვენს საიდუმლოებას, მაშინ გამომჭერით ყელი, ამომაჭერით ენა და ნილოსის ფსკერზე დამარხეთ».

ერთ-ერთმა წევრმა ერთხელ გადაწყვიტა გამოსვლა მასონობიდან და ყველაფრის მოყოლა და იგი ზუსტად ასე მოკლეს.

ამერიკაში (სხვაგანაც ალბათ) უბნები და კორპუსები ისე შენდება რომ, ზევიდან რო დახედო — მასონურ (წყეულისეულ) ნიშნებს მიიღებ.

ჩემი თვალით მაქ ნანახი გადაცემა მასონებზე სადაც ნაჩვენები იყო თუ მასონები როგორ აკურთხებდნენ შენობის საძირკველს: ზეთით, ღვინით და ხორბლით (ხორბალს ცემენტის მოსარევი ქაფჩით იღებდნენ).

1738 წელს რომის პაპმა კლიმენტ XII-ემ გამოაცხადა რომ: ვინც კი მასონთა ლოჟაში გაწევრიანდებოდა ის ავტომატურად განიკვეთებოდა კათოლიციზმიდან. ეს კანონიკური კოდექსის წესებში შევიდა 1917 წელს. 1983 წელს გამოვიდა ახალი კოდექსი სადაც მასონური ორგანიზაციები ნახსენები არ იყო, რამაც შთაბეჭდილება დატოვა თითქოს კათოლიკურმა ეკლესიამ შეასუსტა თავის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. თუმცა იმავე წელს (1983) რწმენის დოქტრინის დოკუმენტში (ზუსტად კი Congregatio pro Doctrina Fidei — Конгрегация Доктрины Веры, რწმენის დოქტრინის კონგრეგაცია) გამუშვეს განცხადება სადაც ნათქვამი იყო რომ კათოლიკეებისთვის ძველებურად მიუღებელი იყო მასონთა\_ლოჟის წევრობა.

გახსოვდეთ რომ რაც მათ შესახებ ვიცით ეს ყველაფერი მათი ნებართვით ხდება.



ოლეგ ბოკაჩოვი

## სისტემა

თარგმნა: მამუკა გურული



სისტემა — ესაა ის, რაც გამოვლენაში და გაძლიერებაში ეხმარება რაღაც არსს. სისტემა არ ზადებს არსს, არამედ მხოლოდ ავლენს, აღნიშნავს და ემსახურება მას.

თუ ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს დავუსვამთ კითხვას — შეუძლია თუ არა რომელიმე კოლექტივს მართავდეს არა ვინმე კონკრეტულად, არამედ სისტემა? იგი გიპასუხებთ, რომ ეს შეუძლებელია, რადგანაც სისტემა — ეს მხოლოდ მართვის ინსტრუმენტია და არა მმართველი. თავისთავად სისტემას არ შეუძლია მართოს, იგი ყოველთვის მეორადია იმასთან მიმართებაში, ვინც შექმნა მართვისთვის, ვინც ინარჩუნებს და სულს შთაბერავს. ავტომობილი არ დადის მძღოლის გარეშე. ფირმა არ მუშაობს მეპატრონის გარეშე. ჩვენი სხეული არ ცხოვრობს სულის გარეშე.

მინდა მივულოცო დედამიწის მაცხოვრებლებს. ჩვენ წარმატებულად მოვახდინეთ რეალიზაცია და ახლა ვიმეორებთ და ვამყარებთ საკუთარ თავზე იმ ექსპერიმენტის შედეგს, რომელშიც მივალწიეთ იმას, რომ სისტემა გვმართავდეს.

ჩვენ საკუთარი შიშის ხაფანგში მოვექეცით — შიშის, რომ ვინმე გვმართავდეს. შედეგად ჩვენ გმართავს «არავინ», ცარიელი ადგილი.

პირველ რიგში ჩვენ უარი ვთქვით იმაზე, რომ გვმართავდეს ძალა, რომელიც არსებობას გვადლევს. ამას ადვილად მივალწიეთ — უბრალოდ უარი ვთქვით მისი ჩვენს ცხოვრებაში ცხადი არსებობის დაჯერებაზე. დავიწყეთ ფიქრი, რომ ამ ძალის გარეშე გავიტანდით თავს და მეცნიერების, კულტურის, განათლების, საზოგადოების, კანონის და საკუთარი თავის გარეთ გამოვაცხადეთ იგი. ამგვარად ჩვენ თითქოს განვაცხადეთ: «არ არსებობს არანაირი ძალა, რომელიც არსებობას გვადლევს. ჩვენ თავად ვაძლევთ მას საკუთარ თავს იმით, რომ ვიკვებებით, გარედან ჩვენი ნეირონების სხვადასხვა გამღიზიანებლებს ადვიქვამთ. შედეგად ჩვენმა ნერვულმა სისტემამ ჩვენში დაბადა ილუზია, რომ არსებობს რაღაც პიროვნებისმაგვარი, ან სულისმაგვარი, რომელიც სხეულთან მიმართებაში რა

თქმა უნდა არარეალურია». ღმერთი უკანონო მმართველად გამოცხადდა. ან არსებობს კი იგი საერთოდ? მატერია ნამდვილად არსებობს, მაგრამ ღმერთის არსებობა ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. და ვინ დაიწყებს ამის მტკიცებას? რა თქმა უნდა მატერიალისტები — ისინი ვინც ღმერთს უარყოფენ. ისინი ზუსტად დაამტკიცებენ არსებობს თუ არა იგი. ამაში შეგვიძლია ეჭვიც არ შეგვეპაროს. და თუ ღმერთი არ არსებობს ჩვენ თვითონ შეგვიძლია საკუთარი ცხოვრების მართვა. ასე გაჩნდა იდეა — «ჩვენ თვითონ შეგვიძლია». თვითმართვადი სისტემა, სადაც ღმერთის ადგილი არაა.

ცნება «ჩვენ» — მრავლობითია. «ჩვენ» — ეს სისტემის ელემენტებია. სისტემის წინაშე ჩვენ თანასწორნი ვართ. «ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ!» — გაიჟღერა ვილაცის ლოზუნგმა. მინდა ვკითხო ამ ადამიანს, ვინც ეს პირველად თქვა: ნუთუ ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ?

როგორც არ უნდა ვარწმუნებდე საკუთარ თავს, მიჭირს დაჯერება, რომ სხვისი ტოლი ვარ. ჩვენ ვცხოვრობთ სიცოცხლის მრავალფეროვანი ფორმების სამყაროში. ადამიანებიც კი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. არც ერთი არ ჰგავს მეორეს. ყველანი ძალიან განსხვავებულნი ვართ. სწორედ ამაშია ცხოვრების მრავალფეროვნების სიხარული, განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობის ბედნიერება.

უარი ვთქვით რა ადამიანების აშკარა განსხვავებულობაზე, ჩვენ გამოვაცხადეთ «ძმობა და თანასწორობა», მაგრამ არ გვითქვამს, რომ განვსხვავდებით, და თანასწორნი ვართ მხოლოდ სისტემის წინაშე, ან ღმერთის წინაშე. მაგრამ რადგანაც ღმერთი არ არსებობს, რჩება სისტემა — ჩვენი ღმერთი. ღმერთის წარმომადგენელი დედამიწაზე შესაბამისად უნდა მოვაშოროთ. არ არსებობს ღმერთი და არ არსებობს მისი წარმომადგენელი. მიგვიფურთხებია ძველი გვარებისთვის, რომლებიც რწმენით და სიმართლით ემსახურებოდნენ ღმერთს. ყველა თანასწორი უნდა იყოს.

შესაბამისად, ვინ იქნება მმართველი, თუკი ყველანი თანასწორნი ვართ?

თანასწორებს შორის ვერავინ იქნება უკეთესი ან უარესი, მაღალი ან დაბალი. ე.ი. უნდა შემოვიღოთ მთელი ხალხის მმართველობა, რათა მართოს ყველამ და ყველა პასუხს აგებდეს ყველაფერზე. მაშინ ხმა მივცეთ და ავირჩიოთ ერთი ადამიანი, რომელიც გვმართავს, და ამავე დროს დავემორჩილებით მას. რა კარგი და ჭკვიანური იდეაა — «ყველასთვის ავირჩიოთ ერთი მსახური, რომელიც ყველაფერს მართავს». ამ იდეის «გონივრულობისგან» აღფრთოვანებული ვარ. მაგრამ არც თუ ისე გასაგებია — ეს რჩეული გვმართავს თუ გვემსახურება? თუ გვმართავს, მაშინ რით განსხვავდება მეფისგან? ალბათ მხოლოდ იმით, რომ არ განაცხადებს — მეფე ვარო და არ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ მმართველობაზე. ხოლო თუ გვემსახურება, მაშინ როგორ ემსახურება ყველას ერთად? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ყველას ერთი მსახური გვყავს. ანუ ერთი მსახური ემსახურება არათუ ორ ბატონს, არამედ მრავალს. მაგალითად, თუ მე მინდა, რომ ჩემმა მსახურმა ერთი საქმე გააკეთოს, ჩემს მეზობელს კი სხვა რაღაც უნდა, როგორ მოიქცევა ჩვენი საერთო მსახური?



შედეგად ჩვენ ავირჩიეთ «მმართველი», რომელიც ამბობს, რომ ჩვენი «მსახურია». პასუხისმგებლობას თავის მართვაზე არ იღებს, რადგანაც იგი მხოლოდ «მსახურია», და მას უბრალოდ არ შეუძლია ყველას ემსახუროს — რაც არ უნდა იყოს «მმართველია». მაგრამ მთელი აბსურდი იმაშია, რომ თუ ეს ჩემი «მსახური» არ აკეთებს იმას, რასაც ვეუბნები, ვერც კი გავაგდებ მას. და თუ იგი პასუხისმგებლობას არ იღებს ჩემზე მართვაში, მე ვერ ვანდობ მას საკუთარ თავს. ვერ გავაკეთებ იმას, რასაც მეტყვის.

ყოველი, ვინც ამას წაიკითხავს იტყვის: «მართალია, სწორედ ასეა ყველაფერი. დაე ჩვენმა მმართველებმა გადაწყვიტონ, ვინ არიან, მსახურები თუ მმართველები».

მაგრამ სინამდვილეში ეს კითხვა მიმართულია ყოველი ცნობიერი ადამიანისადმი: — მაშ, ვის ვემსახურებით? ან ვის ვმართავთ?

ეს ხომ ჩვენ გვინდა დემოკრატია — ხალხის მმართველობა. ეს ხომ ჩვენ გვინდა არჩევნებზე დეპუტატები და პრეზიდენტი. ეს ხომ ჩვენ ვმუშაობთ სისტემაზე, რომელშიც არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს. ეს ხომ ჩვენ მიგვყავს ჩვენი ბავშვები სკოლაში, სადაც არაფერს ასწავლიან გარდა იმისა, თუ როგორ იმუშაონ — როგორ იმუშაონ სისტემაზე, სადაც არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს. ეს ხომ ჩვენ მივდივართ ექიმებთან, რომლებიც აღარ იღებენ ჩვენზე პასუხისმგებლობას, თუკი მკურნალობის დროს ჯანდაცვის სისტემის ყველა ინსტრუქციას შეასრულებენ. გამოდის, რომ გვმკურნალობს არა ექიმი, არამედ ჯანდაცვის სისტემა. გამოდის, ჩვენს ბავშვებს ასწავლის არა მასწავლებელი, არამედ განათლების სისტემა. გამოდის, ქვეყანას მართავს არა მმართველი, არამედ სახელმწიფო სისტემა თავისი კონსტიტუციით.

მთელი თანამედროვე საზოგადოება სისტემით იმართება. ამის დაჯერება რთულია, მაგრამ ე ასეა.

სისტემა იმდენად ძლიერი გახდა, რომ მისი შეცვლა ცალკეული ქვეყნის პრეზიდენტსაც კი არ შეუძლია. პრეზიდენტი ხომ მსოფლიო სისტემას ემორჩილება. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაბედავს მსოფლიო სისტემის საწინააღმდეგოდ წასვლას. და არც უნდა ეს, უბრალოდ იმიტომ, რომ კომფორტულია სისტემაში ყოფნა. იგი გვაჭმევს და გვასმევს, გვამღებს განათლებას და წამლებს, უზრუნველგვყოფს ფინანსებით და ენერგორესურსებით, უზრუნველგვყოფს ჩვენს დაცვას და გვპირდება სტაბილურობის გარანტიას. სისტემისადმი მსახურებამ ჩვენს მმართველად, ჩვენს ღმერთად აქცია იგი.

მაგრამ ვერც ერთი სისტემა ვერ იარსებებს ცოცხალი სულის გარეშე. ის, თუ როგორი სული მართავს სისტემას, შეგვიძია დავინახოთ ამ სისტემის თვისებებით, როგორია მასშვ ყველა ელემენტის (ადამიანების) ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი, რამდენად ჯანმრთელია ეს სისტემა, რამდენად ლამაზია, ჰარმონიულია, მშვიდობიანია. სისტემა — ეს ხომ რომელიღაც სულის სხეულია. ნათელი სული თავის გარშემო სინათლის სხეულს ქმნის. იქ, სადაც სინათლეა, ყოველთვის ჩანს მისი წყარო — მმართველი, რომელიც ამბობს: «მე ვაგებ პასუხს ყველაფერზე».





ჩვენი სისტემაც არსებობს, შესაბამისად მასაც აქვს სული. მაგრამ როგორი ბუნებისაა ეს სული? თუ იგი სინათლეა, მაშინ უნდა ვხედავდეთ იმას, ვინც იღებს პასუხისმგებლობას. თუ მას ვერ ვხედავთ, ე.ი. ეს სიბნელეა. სიბნელის წყაროს ვერავინ ვერ ხედავს. სიბნელის მმართველს ვერავინ დაინახავს. «ბნელი» — ამ სიტყვით შეგვიძლია შევცვალოთ სიტყვა «უმრავლესობა». როცა ბევრი (უმრავლესობა) იწყებს მართვას — რეალურად სიბნელეა მმართველი, რომელშიც არავინ იღებს საკუთარ თავზე მმართველობას. ჩვენი სისტემის ცენტრში იმყოფება დიადი სიცარიელე — ცარიელი ადგილი, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით. ამ ცარიელ ადგილას პირობითად შეგვიძლია ნებისმიერი ადამიანი დავაყენოთ, მიუხედავად მისი სულიერი და მორალური თვისებებისა, რომელიც მხოლოდ ფორმალურად უნდა იყოს მმართველი, სინამდვილეში კი სისტემას, მის სტაბილურობას და საიმედოობას უნდა ემსახუროს. ადამიანები შეგვიძლია შევცვალოთ, სისტემა კი ურღვევი და უცვლელია. ამასთან სისტემისთვის სულ ერთია, ვინ შეავსებს მას — მამაკაცები თუ ქალები, ძლიერები თუ სუსტები, გონიერები თუ სულელები. მთავარია, რომ სისტემა შენარჩუნებული იყოს ცოცხალი ადამიანებით. რაც მეტია ჩართული სისტემაში, და რაც ნაკლებად იციან მათ ცხოვრების კანონების არსებობის, და არა სისტემის კანონების შესახებ, მით უფრო მნიშვნელოვნად და ძლიერად გრძნობს თავს სისტემა.

ცარიელ ადგილს თავისი დამხმარე ცარიელი ადგილები ჰყავს, მათ თავის მხრივ სხვა დამხმარე ცარიელი ადგილები, და ასე იზრდება სისტემა მრავალ ცარიელ ადგილად. ჩვენ მათ ვუწოდებთ «თანამდებობებს», ან «სამუშაო ადგილებს», ან «ვაკანსიებს». ყოველი ეს ცარიელი ადგილი ელოდება თავის თავყანისმცემლებს, რომლებიც იცვლებიან და მთელი ძალით იბრძვიან, რომ საჭირო ცარიელ ადგილას მოხვდნენ, ცხოვრების მთავარ მიზნად თვლიან მას. ცარიელი ადგილი ხომ ძალაუფლებას, სიმდიდრეს, ძალას, შესაძლებლობებს და უფლებამოსილებებს იძლევა სისტემაში.

სისტემა განადიდებს თავის მნიშვნელობას და აკნინებს სულის, ანუ არსის ფასეულობას. ფორმის ძალა დომინანტი ხდება არსის ძალაზე. სხეული სულზე მნიშვნელოვანია, მატერია ღმერთზე მნიშვნელოვანია, პროფესია პროფესიონალზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ხალხზე მნიშვნელოვანია, პასპორტი ადამიანზე მნიშვნელოვანია, ფული ადამიანურ ურთიერთობებზე უფრო მნიშვნელოვანია.

მმართველობა ცარიელია, ფული ცარიელია, განათლება ცარიელია, კულტურა ცარიელია, მსოფლმხედველობა ცარიელია, ადამიანები ცარიელნი არიან — აი შედეგი ცარიელი მოვლენის — სისტემის მმართველობისა.

## ჯორჯ ბაირონის «კაენი»

ორჯ ბაირონის «კაენი» ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით არის ღვთისგმობელი. ამ ნაწარმოებით მოხიბლული იყო სერ უოლტერ სკოტი, ხოლო აკრიტიკებდნენ ჰობსაუსი და უილიამ ბლეიკი. სკეპტიკოსები ამბობენ, რომ «კაენი» არის ქრისტიანობისთვის ძირის გამოთხრა, კოლრიჯის აზრით ბაირონი ლუციფერის პირით ლაპარაკობდა და არ იყო ანგელოზების მხარეზე.

მანიკეისტების რწმენით, ბნელეთის მოციქულის მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება მეტი ადამიანი შეიტყუოს თავის ხაფანგში. მათ ასევე სჯეროდათ მართლ-მეტყველების, არაძალადობისა და დღეში ოთხჯერ ლოცულობდნენ. ეშმაკი კი მხარს უჭერს ძალადობას და უარყოფს ლოცვას.

ლუციფერს თავდაპირველად ვერ გაურკვევია თავისი როლი სამყაროში. როდესაც კაენი ეკითხება მას, ჰგავს თუ არა უზენაეს შემოქმედს, ლუციფერი პასუხობს მე არაფერი ვარო. როდესაც კაენი კვლავ ეკითხება მას, არის თუ არა ის დიდი შემოქმედის თანასწორი, ლუციფერი ორაზროვან, გაურკვეველ პასუხს აძლევს. მისი მხრიდან პირველი მინიშნება თანასწორობაზე მეორე მოქმედების ბოლოს კეთდება, როდესაც ამბობს: ვინც ღმერთს არ სცემს თავყვანს, ის ჩემი თავყვანისმცემელია. ეს ფრაზა შინაარსით მსგავსია ქრისტეს სიტყვისა: «ვინც ჩემთან არაა, ის ჩემს წინააღმდეგაა».

მოქმედების განვითარებასთან ერთად ნათელი ხდება ეშმაკის მტკიცებულებები. ამბობს, რომ სამყაროს შექმნაში წვლილი მასაც მიუძღვის, აგრეთვე შეუძლია კაენის გადარჩენა. ბოლოს ლუციფერი ამბობს: მე და ღმერთი ერთად ვმართავთ სამყაროს, მაგრამ სხვადასხვა ადგილსამყოფელი გვაქვს. დუალიზმიდან გამომდინარე საკუთარ თავს მიიჩნევს კეთილად, შემოქმედს კი ბოროტად.

ბაირონი ამბობს: უაზრობა იქნებოდა კაენისაგან, რომელიც საკუთარი ძმის მკვლელი და შემოქმედის წინააღმდეგ მემბოხება, მოლოდინი ღვთისმოშიშობისა და მორჩილების. კაენი უარყოფს ქრისტიანთა მოსაზრებას, რომლის თანახმადაც კეთილთან ერთად არსებობს ბოროტი, რადგანაც ჩვენ ვიმსახურებთ ამას. იგი ჩვენი ცოდვების გამო უბედურების სახით გვევლინება. ადამიანის ტანჯვა სამართლიანი, რადგანაც ღმერთს სურს, რომ ბოროტების, განსაცდელის მოვლინებით სიკეთეს ვემთხვიოთ. ბაირონი გვიჩვენებს კაენის სკეპტიციზმს, მაგრამ ამას აკეთებს არა იმიტომ რომ ქრისტიანობას ძირი გამოუთხაროს, არამედ მივინდოთ და ვიწამოთ დიდი შემოქმედი ღმერთის ძალის და არა ადამიანის ხელის.

კაენი ადას უბრალო და თავმდაბალი რწმენის შესახებ საუბრობს, რომელიც ეფუძნება სიყვარულს და არა შეცნობას. ადას პავლე მოციქულის მსგავსად სურს დაივიწყოს წარსული, უფრო იმედიანადაა განწყობილი, კაენს კი ეუბნება: «რატომ მისტირი დაკარგულ სამოთხეს, ხომ შეიძლება ისევ დაბრუნებული იქნასო». ადას საკუთარ თავს პატივს სცემს, როგორც ღვთის ქმნილებას, მაგრამ კაენი თავს მიიჩნევს არარაობად. ადას სჯერა ღმერთის გულმოდგინების და იმედი აქვს, რომ



მხოლოდ მონანიებითაა შესაძლებელი ადამიანთა ჯოჯოხეთიდან გამოხსნა.კაენს შეუძლია ადას სიყვარულში სიმშვიდე იპოვოს.როდესაც მასზე ფიქრს იწყებს, მაშინ ყველაზე უფრო ახლოსაა ბედნიერებასთან.

პოემის დასაწყისში კაენი მორჩილების ზღვარზეა, მაგრამ როგორც კი არჩევანის წინაშე დგება-ღვთის სიყვარული თუ ყველაფრის შეცნობა, არჩევანს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ აკეთებს, მიუხედავად ადას თხოვნისა: «ოჰ კაენ, აირჩიე სიყვარული» კაენი რეალურ სიყვარულს აბსტრაქციულ ცოდნას არჩევს.მისი არჩევანი უბედური და საბრალოა, არ ანიჭებს მას არც ბედნიერებას და არც კმაყოფილებას.ახელი სავსებით მართებულად ეუბნება, რომ ეს დაღონება და მწუხარება კარგს არაფერს მოგიტანსო.კაენი ეძებს ცოდნას, როგორც გზას ბედნიერებისაკენ, მაგრამ სრულიად საპირისპირო შედეგს იღებს.

როდესაც კაენი რწმენას გონებას ანაცვლებს, მისი ცხოვრება შფოთიანი და მტანჯველია.იგი მარცხდება როდესაც ცდილობს რაციონალური ახსნა მოუძებნოს თავის ღმერთისადმი შეწირულ მსხვერპლს და კლავს საკუთარ ძმას.იგი სინანულის ცრემლით აღვსილი მშვიდობას ითხოვს.

ბაირონს სიცოცხლის ბოლო დღეებში, როდესაც სარეცელს იყო მიჯაჭვული, ოდნავი რწმენა გაუჩნდა, რწმენა რომელსაც მთელი ცხოვრება გაურბოდა.ასეთი რამ უთქვამს: «სამყარო და მარადიულობა ჩემამდეა და მადლობა ღმერთს, რომ ბედნიერი და მშვიდი ვარ.მარადიულ ცხოვრებაზე და ამქვეყნად კვლავ მოსვლაზე ფიქრი უდიდესი ბედნიერებაა.ღმერთს ყველაფრის გადაწყვეტა შეუძლია, მისთვის დრო და სივრცე არ არსებობს.მე მწამს მისი».

შესაძლოა სიმშვიდის თხოვნა, რომელიც კაენისთვისაა დამახასიათებელი, თვით ბაირონს მიესადაგებოდეს.

## მასონთა გეგმა

II მსოფლიო ომის შემდგომი სამოქმედო გეგმა,  
შემუშავებული ამერიკის მთავარი სადაზვერვო სამსახურის მეთაურის,  
ალენ დალესის მიერ  
(ნაწყვეტი)

დავთესავთ ქაოსს და შეუმჩნევლად გავუყალბებთ მათ ფასეულობებს და იძულებულს ვყოფთ, ირწმუნონ ისინი. ამისათვის მოვძებნით თანამოაზრეებს, მოკავშირეებსა და დამხმარეთ. ერთმანეთის მიყოლებით გათამაშდება უდიდესი უბედურება დედამიწის ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის თვითშეგნების საბოლოო და შეუქცევადი გაქრობისა. «ლიტერატურიდან», ხელოვნებიდან ჩვენ ამოვშანთავთ მათ ყოფით რაობას, განვაცალკევებთ მხატვრებს, გავუქრობთ სახვითი ხელოვნებით დაკავების სურვილს და იმ არსის ძიებისასაც, რასაც ხალხთა მასების სულის სიღრმეში აქვს ადგილი. მწერლობა, თეატრი, კინო, გამოცემები — ყველაფერი უნდა გამოსახავდეს და ქებას შეასხამდეს ადამიანის ყველაზე დაცემულ გრძნობებს. ჩვენ ყველანაირად დავუჭერთ მხარს და წინ წამოვწევთ ისეთ ხელოვანთ, რომელნიც ადამიანთა ცნობიერებაში დაამკვიდრებენ და დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ სექსის, ძალადობის, ღალატის კულტს — ერთი სიტყვით, ყველანაირ უზნეობას.

სახელმწიფოს მმართველობაში შევქმნით ქაოსსა და გაუგებრობას; შეუმჩნევლად, მაგრამ გამძაფრებულად და მუდმივად შევუწყობთ ხელს მოხელეთა და მექრთამეთა თვითნებობას, უზნეობას. თავხედობა და საქმეთა გაჭიანურება აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე.

პატიოსნება და წესიერება წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა, გამასხარავდება და აღარავის დასჭირდება. უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და ტყუილი, ლოთობა და ნარკომანია, ერთიმეორის ცხოველური შიში და ურცხვობა, გამცემლობა და გაუტანლობა და ერთა შორის, აღმსარებლობათა შორის და თაობათა შორის მტრობა — ყოველივე ამას ოსტატურად და შეუმჩნევლად დავნერგავთ, ეს ყველაფერი აყვავდება.

მხოლოდ ცოტანი, ძლიერ მცირენი თუ მიხვდებიან და გაიგებენ იმას, რაც ხდება, მაგრამ მათ უმწეო მდგომარეობაში ჩავავდებთ, ხალხის სამასხაროდ გავხდით, გამოვძებნით ხერხს, რათა მათ ცილი დასწამონ და გამოაცხადონ საზოგადოების ნაძირლებად... ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანთა გარყვნისათვის ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან, ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვთაფლოთ და გავხრწნათ ისინი. ახალგაზრდებისაგან შევქმნით ზნედაცემულ, სულიერებისაგან დაცლილ ჯაშუშებსა და მოღალატეებს.



ვისაც გაგიჩნდათ კითხვა როდის და რა მიზნით შეიქმნა ეს გეგმა შეგიძლიათ წაიკითხოთ ისტორიკოსის სოსო მაქნჯავიძის აზრი:

ალენ დალესი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მესამე დირექტორი იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს დალესი ევროპის პოლიტიკურ დაზვერვას ხელმძღვანელობდა და მკვეთრად ანტიკომუნისტური განწყობის ადამიანი და ცივი ომის იდეოლოგი იყო. დალესის დოქტრინა, როგორც დოკუმენტი, არ გამოქვეყნებულა და არც მისი ორიგინალი არსებობს. ყველაზე ახლოს ამ დოკუმენტთან არის 1948 წლის აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მოხსენება, რომელიც ამერიკის თავდაცვის მინისტრ ჯეიმს ფორესტოლის მოთხოვნით გაკეთდა.

ეს მოხსენება ეხებოდა იმას, თუ რა უნდა გაეკეთებინათ ამერიკელებს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების დასანგრევად. გეგმაში მოცემულია საბჭოთა კავშირში რა სახის იდეოლოგიური დივერსია უნდა მოეწყოს, როგორ უნდა დაინგრეს ეკონომიკა, რა ტიპის სახელმწიფოდ უნდა გადააქციონ საბჭოთა კავშირი და ა.შ.

დალესის გეგმა გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყანაში მარიონეტული ხელისუფლების დასმასა და ეთნიკური სიძულვილის გაღრმავებას (სახელმწიფოს წარმომქმნელი ერებისადმი მცირე ერების სიძულვილის გაღვივებას). საქართველოს ბოლო 20 წლის ისტორია, სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები შეიძლება ამ ჭრილში განვიხილოთ

დალესის გეგმა გულისხმობს, რომ ზესახელმწიფოს რაც შეიძლება მეტი ქვეყანა ჰყავდეს დამორჩილებული. ჩვენ არც ერთი დიდი სისტემის ნაწილი არა ვართ. აზერბაიჯანი, თურქეთი და შუა აზია თურქული მოდგმით დასახლებული სახელმწიფოებია, რომელთაც ერთმანეთის მიმართ ბუნებრივი სოლიდარობა აქვთ.

ამიტომაც როგორც ჩვენზე ტარდება ექსპერიმენტი, ისე ამ ქვეყნებში ექსპერიმენტის ჩატარება გაძნელდება. სომხეთს ძლიერი დიასპორა ჰყავს მთელ მსოფლიოში და ეს შველის. ჩვენ კი უმოკავშირედ ვართ და რუსეთთან დაპირისპირების შემდეგ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ერთადერთი მშველელი იქ არის, სადაც ეს (დალესის) გეგმა დაიწერა.

ამიტომაც გვაქვს ქვეყანაში ასეთი ვითარება. დალესის გეგმის თანახმად, მთავარი სამიზნე ხალხის ეთნიკური და მსოფლშეგნების ცენტრებია (მწერლობა, უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია და ეკლესია).

ამიტომაც მწერალთა კავშირი დაშალეს. ეს იმიტომ იყო აუცილებელი, რომ სწორედ ჩვენი მწერლობაა ქართული ეთნიკური ცნობიერების მატარებელი. თუ ერში მყარი ეთნიკური ერთობა არის, არის ეროვნული იდეალები და ჰყავთ ავტორიტეტები, იმ ერის მართვა ძალზე რთულია.

მიზნის მისაღწევად აუცილებელია ეროვნული ცნობიერების დაშლა. ეს კი სწორედ ეროვნული ცნობიერების ბურჯების გამოცლით ხდება. ტრაგედიაა, როდესაც თეა თუთბერიძე და ლევან რამიშვილი აკრიტიკებენ ეკლესიას. ისინი



ხომ ქართული ინსტიტუტების ნგრევის აგენტები არიან. მათი ამოცანა ეროვნული ცნობიერების დანგრევაა.

ამათ კარგად იციან, რომ საზოგადოების გაკონტროლებისთვის ეკლესიაა უმთავრესი ძალა. ეკლესიიდან მოდის ის ნათელი, რაც ადამიანს ზნეობრივს ხდის. ზნეობრივ ადამიანს კი ვერც ერთ სქემაში ვერ ჩასვამ. ამიტომაც ამკვიდრებენ უზნეობასა და ლაფს ასხამენ ავტორიტეტებს.

ავტორიტეტი არ უნდა არსებობდეს, რადგან ის საზოგადოების თვითრეგულაციის მექანიზმია. უავტორიტეტოდ ხალხი ვერ გაერთიანდება, ერთიან აზრს ვერ გამოიმუშავებს და ვერც კონსოლიდირებულად იმოქმედებს. ამიტომაც მიზანმიმართულად ანადგურებენ ავტორიტეტებს ზოგიერთი მედიასაშუალებების მეშვეობით.

საინფორმაციო საშუალებები საზოგადოების გარყვნისთვის ყველა ხერხს მიმართავენ. თუ ბავშვმა არ ისწავლა მოწიწება, პატივისცემა და თავშეკავება, თუ ბავშვობიდანვე უყურა ავტორიტეტების შეურაცხყოფას, ის ადამიანად ვეღარ ჩამოყალიბდება. ის იქნება ინფორმაციულ-ბიოლოგიური არსება, რომელიც სრულ მართვას ექვემდებარება. ასეთ ადამიანებს ზომბებს, სულმოპარულებს უწოდებენ. სახარებაში წერია: «რა არს კაცისთვის, უკეთუ მოიპოვოს მთელი ქვეყანა და სული თვისი დაკარგოსო». თუ კაცს სული არა აქვს, რად უნდა, მთელი მსოფლიოც მის ფეხქვეშ რომ იყოს? ხელისუფლებაში ისეთი ხალხია, ვინც საკუთარ თავს ქართული კულტურის ორგანულ ნაწილად არ განიხილავს და ძალაუფლებას შურისძიების იარაღად იყენებს.

დააკვირდით, რისკენ მოუწოდებს ქვეყნის პირველი პირი. მოზარდებს ეუბნება, ბუჩქებში გაერთეთო და ეს ნიშნავს, რომ სრულად არის ჩართული მომავალი თაობის გარყვნის პროგრამა. როგორ შეიძლება პიროვნებას ავითარებდეს ადამიანის უპატივცემულობა, ტყუილი, მახეზღარობა? სახარებაში წერია, ვაი მას, ვისი პირიდანაც საცდური გამოდის, რომ იცოდნენ, რა ელოდებათ, ურჩევნიათ, თავიანთი ხელით დაიკიდონ ლოდი და დაინთქან უფსკრულთა შინა ზღვისასაო. ადამიანები ადვილად რომ მართონ, მათში სოლიდარობის განცდას კლავენ. არ უნდათ, რომ ხალხში თანაგრძნობა და თანაგანცდა არსებობდეს.

ამ ვითარებას შევადარებდი ანტილოპების ჯოგზე ლომების შეტევას. როდესაც მტაცებელი ანტილოპას მოიხელთებს, მისი თანამომძმეები მხოლოდ კუნტრუმობენ და ვერ აცნობიერებენ, ხვალ თავადაც რომ მოელით მტაცებლის კლანჭებში სულის დაღევა. არ უნდა გადავიქცეთ ჩლიქოსნებად!... სხვა გამოსავალი არ არის, უნდა დავჭკვიანდეთ, უნდა ვიფიქროთ, სოლიდარობის განცდა არ უნდა დავკარგოთ და ამ სისტემას ერთობით დავუპირისპირდეთ!

ქართველი ერის დეპოპულაცია მიმდინარეობს და ვინც გადავრჩით, ისინი მაინც გავერთიანდეთ. თუ გავერთიანდებით, ვერავინ გვმართავს. თუ ასე არ მოვიქცით, ამ ქვეყნის პატრონები აღარ ვიქნებით. გვახსოვდეს, ღმერთს თავისუფალი ადამიანი უყვარს!

## საგანგებო: მომაკვდავი მასონის აღსარება

ეს არის ერთ-ერთი ნავთობმაგნატის აღსარება, რომელიც მისი თქმით მასონი იყო... შეიძლება ცოტა დაუჯერებელია, შეიძლება დამაჯერებელიც, მაგრამ არავის ვაძალე დაიჯეროს ეს ყველაფერი,

რადგან არც მე ვარ ამაში 100%-ით დარწმუნებული. თუმცა ინტერნეტში ასეთ მასალასაც წავაწყდი, ბევრი წავიკითხე და ბევრიც დაემთხვა, თქვენ თვითონ შეაფასეთ.

სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვულმა ნავთობბარონმა და «თავისუფალმა ქვისმთელელმა» ერთ პასტორს 2011 წლის დასაწყისში აღსარება ჩააბარა. ის ამბობს, რომ ჩინეთი დაიკავებს წამყვან ადგილს მსოფლიოში და უახლოეს მომავალში აშშ-ს ჩაენაცვლება. მსოფლიოს ჭეშმარიტი მმართველები დღემდე გასაიდუმლოებული ილუმინატები არიან, სანამ ჩინეთი ახალ პოზიციას დაიკავებდეს მთელს მსოფლიოში. მან პასტორს უთხრა, რომ ზოგიერთ მოვლენას ბიძგი უკვე 2012 წელს მიეცემა და განაცხადა, რომ ჩინეთი გახდება ახალი ზესახელმწიფო, რომლის უკან «ილუმინატები» დგანან და წინ წამოსწევენ ჩინეთის ფუნქციას, ხოლო თვით მასონები ისევ ჩრდილში დარჩებიან.

ქვემოთ პუნქტობრივად არის ჩამოყალიბებული მომაკვდავი მასონის აღსარება, რომელშიც მოცემულია დამატები ინფორმაცია ზოგიერთი ფაქტის შესახებ, რომელსაც ამზადებს გლობალური მასონობა. მასალა გამოქვეყნებულია ინტერნეტით, მასობრივი საინფორმაციო საშუალების ამ ალტერნატიული წყაროთი, რომელსაც, საბედნიეროდ, მასონები მთლიანად ვერ აკონტროლებენ.

**პუნქტი 1.** ომი ირანის წინააღმდეგ დაიწყება უახლოეს ორ წელიწადში და მთელს მსოფლიოს მოედება. ეს იქნება უეცარი დარყმა, რომელიც ძალიან მალე მესამე მსოფლიო ომში გადაიზრდება. ამ სამხედრო-პოლიტიკურ პროვოკაციას მილიონობით ადამიანი შეეწირება.

**პუნქტი 2.** ამერიკულს დოლარს «სული ამოხდება». ვალუტები გაუფასურდება, რადგან მსოფლიო საიდუმლო მთავრობა დააკანონებს ახალ მსოფლიო ვალუტას (იხ. ახალი მსოფლიო ვალუტის პრეზენტაცია. ფოტორეპორტაჟი). ძალიან მალე მსოფლიო ისეთი აღარ იქნება, როგორც ის დღეს არის. გამოიტანე შენი ფული ბანკიდან და გამოიყენე სწრაფად და გონივრულად! ახალი გლობალური მსოფლიო ვალუტა მალე გამოჩნდება და ევროც დაეცემა. ოქროსა და ვერცხლის ღირებულება დღემდე არნახულ ასტრონომიულ ფასს მიაღწევს. ჩინეთი მსოფლიო მთავრობის ყურმოჭრილი მონა იქნება და დედამიწაზე ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას გააკონტროლებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ფინანსთა მინისტრი ტიმოტი გეიტნერი და ავსტრალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი კევინ რადი თავისუფლად ლაპარაკობენ ჩინურად. მოვლენები დედამიწის მოსახლეობის





კონტროლის შესაბამისად განვითარდება. ამისთვის შემოიტანენ სავალდებულო RFID ჩიპებს \*(Radio Frequency IDentification, რადიოსიხშირული იდენტიფიკაცია. უფრო დაწვრილ. იხ. ვიკიპედია: [Only admins are allowed to see this link] ან საიტზე: [Only admins are allowed to see this link] ადამიანთა მასები ისეთ სიღარიბემდე მივლენ, რომ აჯანყების თავიც არ ექნებათ. გარდა ამისა გამოიყენებენ HAARP-ის საიდუმლო, ფსიქოტრონულ იარაღს, რომელსაც ჰჰინოზის ეფექტი გააჩნია. ადამიანები უცნაურ, მოდუნებულ მდგომარეობაში ჩაიძირებიან. ეს იარაღი შეასუსტებს მათ ნებისყოფას, რომლის შედეგად ადამიანთა უმეტესობას ინერტული განწობა დაეუფლება.

**პუნქტი 3.** ჩინეთი საოცრად გაძლიერდება! ის წარმოადგენს ახალ მსოფლიო მთავრობასა და პოლიციურ სახელმწიფოს. ამერიკული ლიდერობა მესამე ქვეყნების დონეზე ჩამოქვეითდება. ოქრო და ვერცხლი — ის საშუალებაა, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს. შეისყიდეთ ოქრო და ვერცხლი. ილუმინატები ძალიან მალე დაიწყებენ ბანკების გაკოტრებას. ჩვენ მივისწრაფვით ისეთი კრიზისისკენ, სადაც ყველანი უკიდურესად გაღარიბდებიან. გვინდა თუ არა, მრავალ ჩვენგანს მოუწევს მიუბრუნდეს გლეხურ ყოფას, რადგან სიღარიბის გამო ქალაქებში ცხოვრება შეუძლებელი გახდება. ინვესტიციებისა და უძრავი ქონების იმედი ნუ გექნებათ, რადგან ადამიანებს სახლების შესყიდვის შესაძლებლობა არ ექნებათ, რის გამოც, ფასები უძრავ ქონებაზე მკვეთრად დაეცემა. მდიდრულად ცხოვრების იმედი ნურავის ექნება, ან კიდევ მემკვიდრეობით მიღებული ქონებისა და ინვესტიციებისა, რადგან ეს ყველაფერი იმ დღეს გაქრება, რა დღესაც ყველა ბანკი ერთი მეორის მიყოლებით გაკოტრდება.

**პუნქტი 4.** ნავთობი გაძვირდება. ერთი ბარელის ფასი 150-200 დოლარამდე აიწევს. ამაზე დიდ გავლენას ახდენს ჯანყი და რევოლუცია არაბულ ქვეყნებში, რომლის გამოც გაძვირდება გადაზიდვები, პროდუქტები და ა. შ.

**პუნქტი 5.** აშშ-ში თუ კრედიტი გადახდილი არ გაქვთ, ბანკს შეუძლია სახლი ჩამოგართვათ. ბანკის ვალი თუ გაქვთ სასწრაფოდ გადაიხადეთ! თუ გადახდა არ შეგიძლიათ — გაყიდეთ სახლი და იყიდეთ უფრო პატარა, რომლის შესყიდვასაც მოერევით, თუნდაც ეს ქოხი იყოს. მილიონობით ადამიანი დაკარგავს თავის სახლს.

**პუნქტი 6.** ობამასეული ჯანდაცვის სისტემა ეს არის მაკონტროლებელი საშუალება, რომლებსაც ბანკირები აკონტროლებენ და სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ. ეს არის ძალაუფლება, რომელიც კრძალავს იარაღის გამოყენების უფლებას, ევთანაზიას და ა. შ.

**პუნქტი 7.** აშს-ს მთავრობამ პანამის არხი ჩინეთს დიდი ხნის წინათ გადასცა. ეს იყო საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოსა (CFR) და სამმხრივი კომისიის (TriLats) (გლობალისტების ცნობილი ორგანიზაციები) სტრატეგია.

**პუნქტი 8.** ყველა ბერძნული პორტი ჩინეთის მფლობელობაშია.

**პუნქტი 9.** მთელი ბუნებრივი რესურსების 90%, მინერალები, ტექნოლოგიები, იარაღი და ა. შ. ასევე ჩინეთის მფლობელობაშია. აშშ-ს არმიისთვის იარაღის დეტალების 80% ჩინეთი ამზადებს. ამერიკა ჩინეთის კმაყოფაზეა.



**პუნქტი 10.** ჩინეთის მფლობელობაშია ავსტრალიის მადაროების ნახევარი. ის აწარმოებს წიაღისეულის მოპოვებას აფრიკაში, ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და კანადაში. ჩინეთი ფლობს მინერალების მსოფლიო მარაგის 90%. ის მონოპოლისტია.

**პუნქტი 11.** ჩინეთი ყიდულობს და ყიდის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ვალუტას.

**პუნქტი 12.** რუსეთი არის ნავთობისა და ბუნებრივი აირის უდიდესი მწარმოებელი. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ ჩინეთსა და რუსეთს. აშშ ვერასოდეს მოიგებს ომს მათ წინააღმდეგ, რადგან ამერიკამ მთელი წარმოება ჩინეთში გადაიტანა, სადაც აწარმოებენ ყველაფერს, რას აშშ-ს სჭირდება.

**პუნქტი 13.** ახალი მსოფლიო წესრიგის მომხრეებს, ელიტას და გლობალისტებს სურთ კრიზისის გაღვივება ახლო აღმოსავლეთში. ბანკები Goldman Sachs Bank, IMF и City Bank უკვე არსებობენ ირანში და ე. წ. «შავი გასასვლელიდან» ძირს უთხრიან ფინანსურ სიტუაციას, ვიდრე ომს დაიწყებდნენ ირანის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ამერიკა და ევროპა ირანში ჰყიდიდნენ კომპიუტერებს, რომლებიც შეიცავენ ვირუსებს და კომპიუტერულ «ჭიებს». ეს წინასწარგანზრახული დარყტმა იყო ირანის წინააღმდეგ. სამხედროები მზადყოფნაში არიან. ომი ირანთან შესაძლოა ძალიან მალე დაიწყოს.

**პუნქტი 14.** პროექტი «ემმაკის მისია». მომაკვდავმა მაგნატმა თქვა: «ახალი მსოფლიო წესრიგის სრულ ძალაუფლებაში შესასვლელად საჭიროა ღმრთის უარყოფა». სატანის მისია ნიშნავს გარყვნილებას, ყოველივე ბუნების საწინააღმდეგო ქმედებას, რადგან მათ, ანუ ილუმინატებს, ქრისტიანულ სამყაროში არ ძალუძთ ემმაკის მისიის დამკვიდრება. ახლა ჩვენ ვხვდებით რაში სჭირდებათ მათ ჰომოსექსუალიზმი, აბორტები, ევთანაზია, პორნოგრაფია, გარყვნილი და თითქმის განშიშვლებული ჩაცმულობა, ოკულტიზმი და მაგია. ეს ყველაფერი კაცობრიობას საინფორმაციო საშუალებათა მეშვეობით მოახვიეს, რათა მოამზადონ ანტიქრისტეს მოსვლა.

**პუნქტი 15.** ილუმინატები, წარმოადგენენ სისტემას, სადაც იქნება მხოლოდ ერთი მსოფლიო რელიგია. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მასონები აფინანსებენ. მასონები უღმრთო ხალხია. მასონი ორგანიზატორები არიან როკფელერი, კარნეგი და Fond Foundation. მიაქციეთ ყურადღება, რომ რელიგიური ორგანიზაციები — ეს არის გასაღები, რომლის მეშვეობითაც შემოდის დამახინჯებული ოიკუმენა.

**პუნქტი 16.** აშშ-ს ზოგიერთ ოლქში ძალაში შევიდა კანონები, რომლებიც ადგილობრივ პოლიციელს უფლებას აძლევენ, მაგალითად, პასუხისგებაში მისცენ პასტორი, თუ ის ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ იქადაგებს. მას ეს ადამიანის უფლებების დარღვევად და სქესობრივ უმცირესობათა დისკრიმინაციად ჩაეთვლება. ეს კანონები და პოლიციის ჩარევა რელიგიის საქმეებში იმისთვის ხორციელდება, რათა შესაძლებლობა მიეცეთ დახურონ ეკლესიები, როგორც ეს ჩინეთში მოხდა.



**პუნქტი 17.** მომაკვდავმა ნავთობბარონმა თქვა: «მასონებს ექნებათ საკუთარი სახალხო მედია არხი, რომელიც ახალი მსოფლიო წესრიგის მეზარაბტრე იქნება!» და ეს უკვე ხორციელდება. ელიტა აკონტროლებს ჩინეთისა და რუსეთის ყველა მედია არხს, ასევე აშშ-ს პრეზიდენტსა და კონგრესს.

აშშ-ს კონგრესი ცდილობს მოიპოვოს კონტროლი ინტერნეტზე (Cyber Security Act) და დააწესოს გადასახადი ნახშირორჟანგზე, რომელსაც ავტომობილების მფლობელებს დააწერენ. ამერიკელი გადამხდელებისგან იღებენ 3 ტრილიონამდე დოლარს, რომელსაც დიდ ბანკებს აძლევენ. მაშინ დიდი ბანკები შეისყიდებიან მცირე ბანკებს, რითაც დაამყარებენ კონტროლსა და მონოპოლიას. ამგვარად, მცირე ბანკები ვერ იხსნიან ეკონომიკას. ამ თამაშს «კონტროლი» ეწოდება. მათ სურთ ჩვენი ფინანსების, სახლების, მანქანების და მთელი თქვენი ცხოვრების გაკონტროლება.

### P.S.

ეს იყო აღსარება ადამიანისა, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მასონურ წრეებს ეკუთვნოდა. ამ უღმრთოებს იმდენი სახსრები გააჩნიათ, რომ მათი უმნიშვნელო ნაწილის გახარჯვაც კი არ შეუძლიათ. მათ სურთ აბსოლუტური ძალაუფლება, მთელი მსოფლიოს გაკონტროლება. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ ისინი გზას უმზადებენ სატანას ადამიანის მეშვეობით, რომელსაც ექნება უსაზღვრო ძალაუფლება მთელს მსოფლიოზე; და ამ სუპერ-დიქტატორის სახელწოდება არის — მხეცი, ანუ ანტიქრისტე. ცრუ წინასწარმეტყველი (ანუ ანტიქრისტეს ჰებელსი). ილუმინატებსა და მხეცს (ანტიქრისტეს) სურთ რათა დედამიწის თითოეულმა ადამიანმა თაყვანი სცეს კაცობრიობის უკანასკნელ ფიურერს.

მსოფლიო კავშირი, ერთიანი მსოფლიო ვალუტა და მსოფლიო მთავრობაზე სრული დამოკიდებულება — ეს არის ახალი მსოფლიო წესრიგი, ახალი საკონცენტრაციო ბანაკი, რომელიც ანტიქრისტეს მმართველობის ქვეშ აღმოჩნდება. ევრო კავშირი — ეს არის ყალბი გზა, რომელსაც მონობამდე მივყავართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის მსოფლიო ბატონობის საცდელი ეტაპი.

როდესაც ილუმინატები თავიანთ კლანჭებში მოაქცევენ მთელს მსოფლიოს და ტოტალურ კონტროლს დაამყარებენ, შემოიყვანენ ანტიქრისტეს, რომლის ბატონობა მხოლოდ 7 წელიწადს გაგრძელდება, დანიელის წინასწარმეტყველების მიხედვით. თავისი ტირანიის ბოლო 3 წელიწად ნახევარს ის გააფთრებული დაერევა კაცობრიობას, განსაკუთრებით მის ქრისტიანულ ნაწილს, ქრისტეს ეკლესიას.

მიუხედავად ამ მოჩვენებითი ძალაუფლებისა და ძლიერებისა, სატანის მხედრობა, თავისი მეთაურითურთ სასტიკად დამარცხდება, რადგან ეშმაკი, რომელმაც აცდუნა კაცობრიობა, «ჩაგდებულ იქნება ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც არიან მხეცი და ცრუ წინასწარმეტყველი; და ეწამებიან დღე და ღამ უკუნითი უკუნისამდე» (გამოცხ. 20:10). ამენ.



## სტენლი კუბრიკის საიდუმლო სიკვდილი

საინტერესო სტატიაა.სტენლი კუბრიკმა (1928-1999) კინემატოგრაფიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კვალი დატოვა.

მისი ფილმები გამოირჩეოდნენ განსხვავებული ვიზუალური სტილით და გადაღების ტექნიკით.კუბრიკის ფილმებში თითოეულ დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება.მას უმუშავია უამრავ ჟანრში: საშინელებათა, დრამა, ისტორიულ, სამეცნიერო-ფანტასტიკურში. მის თითოეულ ფილმს ახასიათებს ირონია, პესიმიზმი, ადამიანის ბოროტი მხარეების წარმოჩენა და სავსეა სურეალისტური და ექსპრესიონისტული ელემენტებით.

სტენლი კუბრიკი ჩემი თვალთახედვით პირველ ადგილზე დგას მსოფლიო რეჟისორებს შორის.მის ტექნიკებს ეხლაც იყენებენ ისეთი ცნობილი რეჟისორები, როგორებიც არიან კრისტოფერ ნოლანი, პოლ ტომას ანდერსონი, ვუდი ალენი, სტივენ სპილბერგი.ალბათ ვინც ჩახედულია თანამედროვე კინემატოგრაფიაში კარგად ეცნობა ეს სახელები.მე პირადად მისი რამდენიმე ფილმი მაქვს ნანახი და გამოვარჩევი მექანიკურ ფორთოხალს (clockwork orange) და ნათებას (Shining).კუბრიკის გენიალობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ imdb-ის ტოპ-250-ში მისი 9 ფილმი შედის, თან მოწინავე პოზიციებზე.

1. (8.60) — Paths of glory (1957)
2. (8.60) — Dr.strangelove 1964)
3. (8.50) — The Shining (1980)
4. (8.50) — A Clockwork Orange (1971)
5. (8.40) — 2001 A Space Odyssey (1968)
6. (8.40) — Full Metal Jacket (1987)
7. (8.20) — The Killing (1956)
8. (8.10) — Barry Lyndon (1975)
9. (8.00) — Spartacus (1960)

### სტენლი კუბრიკის გარდაცვალება

1999 წლის 7 მარტს, ფართოდ დახუჭული თვალების (Eyes Wide Shut) ბოლო მონტაჟიდან რამდენიმე დღეში, სტენლი კუბრიკი ძილში გულის შეტევით გარდაიცვალა.ოჯახის

წევრებმა უარი თქვეს გარდაცვალების ზუსტი თარიღის დასახელებაზე.კუბრიკმა დატოვა უამრავი მესიჯი და გაფრთხილება კაცობრიობაში გაზრდილ ტირანის და გაბატონებული ადამიანთა ჯგუფის შესახებ.მისი გარდაცვალება მაშინვე უამრავი კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა.ბევრმა



მისი სიკვდილი ილუმინატებს დააბრალა. აღარ დავიწყებ ილუმინატების ფართო დახასიათებას. მოკლედ რომ ვთქვათ ეს არის საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც დამკვიდრდა 1776 წელს და სავარაუდოდ ეხლაც განაგებენ მსოფლიო პოლიტიკურ ამინდს. ისინი ცვლიან და გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე მათი ნებისდა მიხედვით.

რეალურად 21 საუკუნეში ძალიან რთულია მოკლა ადამიანი და რაიმე მტკიცებულება არ დატოვო. პოლიციამ კუბრიკის სხეულზე და ორგანიზმში მისი მოკვლის მცდელობის ვერანაირი კვალი ვერ აღმოაჩინა. თუმცა კუბრიკი არ ავადმყოფობდა და არც გული აწუხებდა. მის მეგობრებს თუ დაუჯერებთ ის წინა დღეებში მშვენივრად გრძნობდა თავს. გვაქვს ორი ვარიანტი: 1. სტენლის უცებ გულის შეტევა დაემართა და გარდაიცვალა 2. 21 საუკუნეში, როგორც მტკიცებულების, ასევე დანაშაულის დამალვაა ადვილი და სავსებით რეალურია კუბრიკი ისე მოეშორებინათ, რომ ვერავის გაეგო. მოდით უფრო ჩავუღრმავდეთ და გავარკვიოთ რა იყო ილუმინატების შურისძიების მიზეზი?

### ფართოდ დახუჭული თვალები

კრიტიკოსებმა და საზოგადოებამ სტენლი კუბრიკის ბოლო ფილმი «ფართოდ დახუჭული თვალები» საკმაოდ უარყოფითად შეაფასა. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ ფილმის ნელი, უაზრო განვითარებით და იდიოტური დიალოგებით. თითქოს ფილმის უარყოფით რეცენზიებს უნდა დაეწყნარებინა საიდუმლო ორგანიზაციები. თუმცა ალბათ ეს კრიტიკაც ხელოვნური იყო და მოდიოდა მათ მიერ კონტროლირებადი მედიიდან. (ბევრის ვარაუდით ილუმინატები ამზადებენ საფუძველს ტოტალიტარული ტირანიის დასამყარებლად). გულახდილი ვიქნები და გეტყვით, რომ ამ ფილმმა ბავშვობაში ჩემზეც არ დატოვა დიდი შთაბეჭდილება. გადავწყვიტე თავიდან მეყურებინა და აღმოვაჩინე ბევრი ისეთი რამ, რასაც ჩემი თვალი ვერ ამჩნევდა. ფილმი დატვირთულია სიმბოლოების ელემენტებით, მასში ოკულტური და ილუმინატური სიმბოლოები მიზანმიმართულად არის გამოყენებული სატირულ კონტექსტში. ფილმი უამრავ თემატიკას ეხება დაწყებული ღალატთან და კორუპციიდან დამთავრებული ძალაუფლების ურჩად გამოყენებით. კუბრიკი საიდუმლო ორგანიზაციებს ამხელს თაღლითობაში, გონების კონტროლში, ხალხის დამონებაში. ფილმში აღწერილია საიდუმლო ორგანიზაციების შეხვედრები, მათი ამბიცია ფინანსულ და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. აღარ დავწვრილმანდები და ვიდეოს შემოგთავაზებთ, სადაც ფილმში გამოყენებული ყველა სიმბოლო ჩემებია დახასიათებული.

## დასასრული

ბევრს სასაცილოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ სტენლი გარდაიცვალა 1999 წლის 7 მარტს, ახალი წლიდან 66 დღის შემდეგ. ხოლო 7 მარტიდან 2001 წლის 1 იანვრამდე 666 დღეა დარჩენილი.

იბადება კითხვები ილუმინატებთან დაკავშირებითაც — რატომ არ მოკლეს სტენლი გადაღების დაწყებამდე, თუ მისი მოშორება სურდათ?... ყველამ ვიცით, რომ ფილმის ზოგადი სცენარი მიუწვდომელი არ იქნებოდა, მითუმეტეს ასეთი ორგანიზაციისთვის. ზოგი თავად კუბრიკს მიაკუთვნებს მათ რიგებს და ამტკიცებს, რომ სტენლი ამ მიზეზის გამო წარმოაჩენდა აე მკაფიოდ აზოგადობის მანკიერებებს. შეგვიძლია სტენლი ილუმინატების ან რაიმე სხვა ორგანიზაციის პროდუქტადაც ჩავთვალოთ, თუმცა კინემატოგრაფიამ უდიდესი რეჟისორი დაკარგა მისის სახით. მისი თითოეული ფილმი შედეგრი გახლდათ. კუბრიკის მისტიური სიკვდილი იმაზე მიუთითებს, რომ ის გენიოსი იყო. შემოგთავაზებთ მის რამდენიმე ფრაზას.



## საქართველოში აღდგა ქართული მასონური ლოჟები

თითქმის 100 წლიანი წყვეტის შემდგომ საქართველოში აღდგა ქართული ლოჟები!!! საქართველოში არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი, ქართული მასონური იურისდიქცია. ქართველი მასონები რუსეთში მოღვაწეობდნენ და მხოლოდ 19ე საუკუნის ბოლოს, 20ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში ორი ლოჟა დაფუძნდა (ქართული, მაგრამ ისევ და ისევ «რუსეთის ხალხთა დიადი აღმოსავლეთის» ჩრდილ ქვეშ, ანუ დაქვემდებარებაში, რომელიც თავის მხრივ საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთის ნაწილი იყო და 19ე საუკუნის ბოლოდა არა-რეგულარულად ითვლებოდა, ანუ არა «კანონიკურად», ვინაიდან სდა-ამ რეგულარული ორდენისთვის უმნიშვნელოვანესი ფასეულობაზე თქვა უარი — ღმერთი, შემქნელის, სამყაროს მშენებელი უარყო!) — ერთი ქ. თბილისში, მეტწილად «ჭრელი» — სომხები, რუსები, ებრაელები, პოლონელები, ქართველები, ყველა ერთად, ნამდვილი ჰარმონილი «ტოლერანტობა» და მეორე, აქტიური, ქართული, ძლიერი — ქუთაისში, რომელსაც «კავკასია» ერქვა.

ქართველი ძმები, რომლებზეც დღეს უჭველი დადასტურებული (დოკუმენტურად) მასალა:

- გიორგი იოანეს ძე ბაგრატიონი — «გაერთიანებული მეგობრები» 3;
- მიხეილ ბარათაშვილი — «კეთილშობილების გასაღები», სიბირსკი, 1818;
- დავით ვაჩნაძე — «პრომეთე» — 1927, პარიზი;
- გიორგი გვაზავა — «პრომეთე» — 1927, პარიზი;
- შალვა ქარუმიძე — «პრომეთე» — 1927, პარიზი;
- სპირიდონ კედია — «პრომეთე» — 1927, პარიზი;
- ირაკლი ორბელიანი — «პრომეთე» — 1927, პარიზი;
- იაკობ ხოჩალავა — «პრომეთე» — 1927, პარიზი;
- დავით შირტლაძე — «პრომეთე» — 1927, პარიზი;
- კიტა აბაშიძე — «კავკასიური» — 1915, ქუთაისი;
- იასონ ბაქრაძე — «კავკასიური» — 1915, ქუთაისი;
- ევგენი გეგეჭკორი — «კავკასიური» — 1915, ქუთაისი (უმალღესი საბჭოს წევრი, რუსეთი), პეტერბურგში «ჩრდილოეთის ნათების», შემდგომ კი გადარქმეული ლოჟა «გეგეჭკორი»-ს წევრი. «ვარდების ლოჟის» წევრი;
- ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე — «კავკასიური» — 1915, ქუთაისი;
- ალექსანდრე დიოსამიძე — «კავკასიური» — 1915, ქუთაისი;





- გიორგი ჟდანოვი (მაიაშვილი) — «კავკასიური» — 1915, ქუთაისი;
- პეტრე ყიფიანი — «კავკასიური» — 1915, ქუთაისი;
- სერგო ურუსოვი — «კავკასიური» — 1915, ქუთაისი;
- ალექსანდრე სუმბათაშვილი (იუჟინი) — «აღორძინება» — 1908, მოსკოვი;
- გიორგი დიმიტრის — ძე სიდამონ-ერისტოვი (სიდამონიძე-ერისტავი)- 1910 რუსეთის ხალხთა დიდი აღმოსავლეთის უმაღლესი საბჭოს წევრი; «ჩრდილოეთის ნათება» (პეტერბურგი) და «პოლარული ვარსკვლავის», ასევე ლოჟა «გალპერნა»-ს წევრი.;
- ვარლამ ლევანის ძე გელოვანი — «პოლარული ვარსკვლავი» — 1907, პეტერბურგი;
- ალექსანდრე ხატისოვი — თბილისი; «თავისუფალი რუსეთი», პარიზი;
- აკაკი ჩხენკელი — «ვარდების ლოჟა» — ე.წ. მეოთხე მოწვევის რუსეთის სათათბიროს ლოჟა;
- ქრისტოფორე ავაკუმის ძე ვერმიშევი — თბილისი, «რუსეთის ხალხთა დიდი აღმოსავლეთი»;
- გიორგი მიხეილის ძე თუმანოვი (თუმანიშვილი) — თბილისი, «რუსეთის ხალხთა დიდი აღმოსავლეთი»;
- ნოე რამიშვილი;
- ალექსანდრე ამილახვარი — «ოქროს საწმისი», პარიზი, 1925;
- არჩილ ანდრონიკაშვილი — «ოქროს საწმისი», პარიზი, 1925;
- ირაკლი ვაჩნაძე — «ოქროს საწმისი», პარიზი, 1925;
- სოსო გობეჩია — «ოქროს საწმისი», პარიზი, 1925;
- კონსტანტინე ჯაყელი — «ლოტოსი», პარიზი — 1932;
- ვლადიმერ დავითის ძე ნიჟარაძე;
- სერგო ფიცხელაური;
- ირაკლი წერეთელი;
- ნოე ჟორდანიას;
- ალექსანდრე ასათიანი;
- შალვა ამირეჯიბი.

რა მოხდა ახლა, 1921 წლამდე არქივები ან არ იყო (ანუ გამიზნულად ნადგურდებოდა), ან შემდგომ განადგურდა («ან» — ანუ ასეც იყო) და/ან რუსეთში იყო და იქ დაიკარგა და განადგურდა, მოკლედ მწირია ქართველებზე ინფორმაცია 1921 წლამდე, რუსულ წყაროებში თუ გამოვძებნით რამეს და მომავალში პირად არქივებში თუ იქნა აღმოჩენილი რაიმე. აი 1921 წლიდან როდესაც ქართველების უმეტესობა გადაბრგდა საფრანგეთში და იქ ფრანგული იურისდიქციის ქვეშ ლოჟები შექმნეს ან გაწევრიანდნენ, მას შემდგომ არქივებიც არის და გვინახავს კიდევ.4. ჯერ შეიქმნა პარიზში «ოქროს საწმისი», რომელიც მერე გაიყო — სომხები და რუსები წავიდნენ ცალკე და შექმნეს ლოჟა «იუპიტერი», ხოლო ქართველები და ჩრდილო კავკასიელები და მუსლიმები წავიდნენ ცალკე და დაარსეს ლოჟა



«პრომეთე», ქართველები სხვა ფრანგულ ლოჟებშიც იყვნენ, ასევე არგენტინაში, პოლონეთში, ნიუ-იორკში და ლონდონში, ასევე გერმანიაში. მაგრამ, რასაც ქვია «ქართული ლოჟა» — ეს იყო «პრომეთე» საფრანგეთში.5. ბოლო ქართველი ლოჟაში 1962 წელს მიიღეს, ლოჟა შემდგომ დაიხურა, არ იყო შემოდინება «ახალი ქართული სისხლის» საფრანგეთში.6. 2011 წლის ნოემბერში, ერევანში დაფუძნდა ლოჟა «ოქროს საწმისი» (8) — ქართველებისათვის — რა პარადოქსია... ისევ და ისევ «ოქროს საწმისი» — რომელსაც ქართველებისთვის კარგი არაფერი მოუტანია, საფრანგეთში... ჩვენ ამ «ოქროს საწმისთან» კავშირი არ გვაქვს, თუმცა რიგ ქართველებს ვიცნობთ, მათ ნაწილს პატივს ვცემთ კიდევ და ვიმედოვნებთ, რომ ოდესმე «ერთი ტაძრის ჭერ-ქვეშ» ვიქნებით.7. 2013 წლის თებერვალში დაარსდა ქართული ლოჟები «პრომეთე» (1004) ბათუმში, თურქეთის დიადი ლოჟის დახმარებით და «წმინდა გიორგი» (10) თბილისში, უკრაინის დიადი ლოჟის დახმარებით. ეს ლოჟები სხვადასხვა რიტუალში მუშაობენ და სხვადასხვა იურისდიქციას მიეკუთვნებიან, მაგრამ თანამშრომლობენ, ასე ვთქვათ და მიზნად ისახავენ, ღირსეული, პატრიოტი და «ნამდვილი» ქართველი მასონის გაერთიანებას მომავალში საქართველოს ნაციონალურ დიად ლოჟაში.8. ამ ლოჟებში მიღებულ იქნა, როგორც სომხეთის დიადი ლოჟიდან დროულად წამოსული ძმების, ასევე ახალი კანდიდატების, ასევე იმ ძმების რომლებიც სხვადასხვა იურისდიქციას მიეკუთვნებიან, ქართველები ინიცირებულნი მსოფიოს სხვადასხვა ქვეყანაში, იურისდიქციაში, მ.შ. — ნიუ-იორკი, გერმანიის გაერთიანებული დიადი ლოჟა (ამერიკულ-კანადური დიდი ლოჟა), კალიფორნია, მისური, საბერძნეთი, შვედეთი, ა.შ.9. დარწმუნებულნი ვართ, რომ მალე კიდევ ბევრი ძმა შემოგვიერთდება, რადგან მასონური ჯაჭვით გავრცელდა ინფორმაცია, სიტყვა, რომ საქართველოში აღდგა ჭეშმარიტი სინათლე, მასონური სამო აღდგა და დროა გაბნეული ქვეების შეგროვების, გათლილი ქვეების, ქვრივის შვილების.10. ახლო მომავალში იგეგმება კიდევ ერთი ქართული ლოჟის დაარსება ქ. ქუთაისში.11. ამასთანავე დაინტერესება გამოთქვა რუსეთის დიადმა ლოჟამ. აქ ოდნავ რთული სიტუაციაა მათი მხრიდან ქართული იურისდიქციის აღიარებისა, ვინაიდან ტერიტორიის აღიარების პრინციპი უნდა დაიცვან მაშინ... მაგრამ მაინც... შეიქმნეს სასწრაფოდ რუსეთის დიადი ლოჟის ჩრდილ ქვეშ მასონური დისტრიქტი, რომელსაც «კავკასია» ქვია, ხელმძღვანელობს ღირსეული ქართველი, და რომელშიც შევა ლოჟა ქართველებისათვის მოსკოვში, თბილისში და ჩვენდა სამწუხაროდ — სოხუმში. სამწუხაროდ იმიტომ, რომ სასურველი არ იყო ამ ეტაპზე და არ იყო მეგობრული ნაბიჯი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ქართველების დაუკითხავად ლოჟის გახსნა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ქართველები და რუსები, ძმები, მასონები, გამოძებნიან საერთო ენას და რა თქმა უნდა მოხდება საერთო ძალებით საქართველოს ნაციონალური დიადი ლოჟის შენება, საქართველოს ინტერესების სრული დაცვით და რუსეთის კეთილმეზობლური ინტერესების გათვალისწინებით.12. ამასთანავე, საქართველოში მასონური ორდენის გაძლიერებას, დაფუძნებას — პირველრიგში, და საერთოდ სინათის შემოტანას უნდა ვუმაძღოდეთ ავსტრიის დიად ლოჟას,



უკრაინის დიადი ლოჟას, თურქეთის დიად ლოჟას, ლიტვის დიად ლოჟას, ლატვიის დიად ლოჟას, ესტონეთის დიად ლოჟას, შვეიცარია-ალპინას და შოტლანდიელ ძმებს.13. რას ვაპირებთ? სომხები — კიდევ 2 ლოჟის გახსნას, მალ-მალე კანდიდატების მიღება-«გაზრდას» და საქართველოს დიადი ლოჟის დაფუძნებას, სავარაუდო გეგმაში წლის ბოლო აქვთ. ჩვენ, ქართველები (12ე პუნქტში ჩამოთვლილი მეგობართა ჯგუფთან ერთად) კი არ ვჩაქრობთ, მთავარია ხარისხი და მთავარია თავისი დრო იყოს... ჩვენ 2014 წელზე ვფიქრობთ, თუმცა ყველაფერი უფლის ნებაა. ფაქტია, რომ საქართველოში იქნება დიადი ლოჟა და თუნდაც იყოს ორი, საბოლოოდ მაინც ერთი და ძლიერი დარჩება.14. ზემოთ მოცემულ ინფორმაციაში — საიდუმლო არაფერია, არც წარსულში, არც აწყმომი და არც მომავალში. 15. რაც ეხება «გრძნობებს» (და ამით ვასრულებ):მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე, მასონებზე, უამრავი ჭორი დადის, უამრავი სიბეცე, უამრავი ვიდეო და აუდიო მასალაა შეთითხნილი და გამოქვეყნებული ინტერნეტში, უამრავი უნიჭო სტატია, წიგნი, ნიუსია გავრცელებული ტექსტის სახით, ასევე ინტერნეტში თუ ბეჭდვით საშუალებებში და მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტიზმის მომხრეები ცდილობენ შთააგონენ მათ, ვინც არ არის ნაზიარები ჭეშმარიტებას და სინათლეს, რომ მასონობა სიბნელეა, რომ ჩვენ ვითომდა გვსურს თქვენი «გარყვნა», მრწამსის მოშლა და დამონება, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს სიბეცე და სიცრუეა და მიუხედავ იმისა, რომ ჩვენ არ ვერევიტ არც პოლიტიკაში, არც რელიგიურ საკითხებში და არც ეთნიკურ თემებში, მიუხედავად, ასევე, იმისა, რომ ეს ბოლო 4 წელი ჩვენ გავიღეთ ყველაფერი რაც გვექონდა — ჩვენი დრო, ენერგია, ჯანმრთელობა, მატერიალური რესურსი, მთელი ჩვენი შემართება და ა.შ.

მოკლედ, მიუხედავად ეკლიანი და უუურთულესი გზისა — დღეს თითოეული ქართველი მასონი ამაყია, ამაყია და ბედნიერია, იმიტომ, რომ საქართველოში დაბრუნდა სინათლე, რომ ჩვენმა 4 წლიანმა «ცივმა ომმა», ჯაფამ, შრომამ, სიყვარულმა და ქარიშხლისგან, მზისგან და შურიანი თვალისგან დაცულმა ნერგმა, იხარა, გაძლიერდა და დაიწყო აღმოცენება!დიახ, ჩვენ ძველი, თავისუფალი, აღიარებული ქვის მთლელები — მასონები ვართ, დიახ, აქ სოციალურ ქსელშიც ვართ და დიახ ჩვენ ამ ქსელი მიღმაც ვართ, თქვენ გვერდზე, თქვენს სამეზობლოდ, თქვენს ქუჩაზე და თქვენს ქალაქში, რაც მთავარია — ჩვენს საქართველოში, თქვენი, მათი და ყველასი ერთად — ჩვენს საქართველოში, რომელიც ჩვენი იმდენად, რამდენადაც მისი შვილები ვართ, უფალმა მოგვცა მადლი და ნება აქ დავბადებულიყავით, და მოგვცა შესაძლებლობა გვიყვარდეს და ვიცავდეთ ყოველისგან ბოროტისაგან ჩვენის სახელმწიფო, ერთად ვიდგეთ მის სადაროჯოზე, ჩვენი საზოგადოების გაძლიერებისაკენ და განათლებისაკენ ვისწრაფოთ და საკუთარი თავის განვითარებით განვაავითაროთ ჩვენს გარშემო მყოფნი!დიახ, ჩვენი ქართველი მასონები ვართ, ვისწავლეთ მოსმენა, სიყვარული, ჰარმონია, ძმობა, თანასწორობა, გვიყვარს და ვაფასებთ თავისუფლებას, გვიყვარს ჩვენი საქართველო, ჩვენი ქართული, ჩვენი თანამოქალაქეები და ჩვენი ოჯახები, ჩვენი ორდენი და აპრიორია ჩვენთვის სიმართლე, ღირსება და ჭეშმარიტება!ადარ



შეგაწყენთ, დარწმუნებული ვარ, რომ მაისის თვეში გაიხარებთ 2-3 ახალი წიგნის წაკითხვით, მათ შორის «ქართველი ძმები — ისტორიის ბურუსში», «მორალი და დოგმა; რელიგია, ადამიანი, მასონობა» და «ანდერსონის კონსტიტუცია» (თარგმანი, კომენტარებით), ხოლო ზაფხულში ვვარადობთ დიდი გამოცემის წარმოდგენას — «მასონური მისტერიები» (650 გვერდი), რომელში ვისაუბრებთ უფრო ღრმა და საინტერესო საკითხებზე — ეზოთერიკა, კაბალა, ოკულტიზმი, ტამპლიერები, სიმბოლიზმი, საკრალური გეომეტრია, ასტროლოგია, მაგია და მრავალ სხვა საკითხზე, რომელიც კავშირშია ან უბრალოდ გვაკავშირებენ, ჩვენ, მასონებს. დარწმუნებული ვარ, რომ 2013 წლის ბოლო იქნება გარდამტეხი მომენტი საქართველოში მასონობის განვითარების პროცესში. მთავარი ერთია — სტრუქტურა არაფერია ადამიანების გარეშე, ლოჟები არაფერია მასონი-ძმების გარეშე, მათი ფასეულობების, მათი ცოდნისა და მათი ჭეშმარიტების სიყვარულის გარეშე. ჩვენ არ ვაშენებთ პარტიულ ან სექტანტურ სტრუქტურას, არც რაიმე «ცეხავშიკურ» ორგანიზაციას, მასონობა ცხოვრების ფილოსოფიაა, დაფუძნებული მორალზე, საკუთარი სისუსტეების გამოვლენაზე და მათთან ბრძოლაზე, ძმებისადმი და ოჯახისადმი სიყვარულზე, ჯენტლიმენობაზე, სულიერ სიმტკიცეზე, ცოდნაზე, უფლის მიებაში საკუთარ თავში, კარგი ადამიანისაგან უკეთესის განვითარებაზე და ა.შ. და ეს ყველაფერი გამოხატულია სიმბოლიკით, რიტუალურ ალეგორიებში და ისტორიის განმავლობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებაში.



## ცნობილი მასონები

- 1 ჯორჯ ვაშინგტონი — ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი;
- 2 ჯეიმს მონრო — აშშ-ის მე-5 პრეზიდენტი;
- 3 ენდრიუ ჯექსონი — აშშ-ის მე-7 პრეზიდენტი;
- 4 ჯეიმს ნოქს პოლკი — აშშ-ის მე-11 პრეზიდენტი;
- 5 ენდრიუ ჯონსონი — აშშ-ის მე-17 პრეზიდენტი;
- 6 ჯეიმზ ბიუკენენი — აშშ-ის მე-15 პრეზიდენტი;
- 7 ჯეიმს გარფილდი — აშშ-ის მე-20 პრეზიდენტი;
- 8 უილიამ მაკ-კინლი — აშშ-ის 25-ე პრეზიდენტი;
- 9 თეოდორ რუზველტი — აშშ-ის 26-ე პრეზიდენტი;
- 10 უილიამ ჰოვარდ ტაფტი — აშშ-ის 27-ე პრეზიდენტი;
- 11 უორენ გამალიელ ჰარდინგი — აშშ-ის 29-ე პრეზიდენტი;
- 12 ფრანკლინ დელანო რუზველტი — აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი;
- 13 ჰარი ტრუმენი — აშშ-ის 33-ე პრეზიდენტი;
- 14 ლინდონ ბეინს ჯონსონი — აშშ-ის 36-ე პრეზიდენტი;
- 15 ჯერალდ ფორდი — აშშ-ის 38-ე პრეზიდენტი;
- 16 ბენჯამინ ფრანკლინი — აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დამფუძნებელი, ამერიკის რევოლუციის სულისჩამდგმელი;
- 17 უინსტონ ჩერჩილი — გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში, «დიდი სამეულის» ერთ-ერთი წევრი. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში;
- 18 მუსტაფა ქემალ ათათურქი — თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი;
- 19 სილვიო ბერლუსკონი — იტალიის პრემიერ-მინისტრი 1994-95, 2001-06 და 2008-11 წლებში;
- 20 ჯუზეპე გარიბალდი — იტალიის სახალხო გმირი;
- 21 სიმონ ბოლივარი — დამოუკიდებლობის რამდენიმე მოძრაობის ლიდერი სამხრეთ ამერიკაში;
- 22 ჯონ ედგარ ჰუვერი — ფედერალური საგამომიებო ბიუროს (FBI) პირველი დირექტორი;
- 23 ანდერს ბერინგ ბრევიკი — ნორვეგიელი ტერორისტი და მემარჯვენე ექსტრემისტი;
- 24 ედვინ «ბაზ» ოლდრინი — კოსმონავტი;
- 25 ჯონ ჯეიკობ ასტორი — პირველი მულტიმილიონერი აშშ-ში;
- 26 ანდრე სიტროენი — ფრანგი ინდუსტრიალისტი და ინჟინერი;



- 27 **სამუელ კოლტი** — ამერიკელი გამომგონებელი, ცნობილი კოლტის პატენტის დამაარსებელი;
- 28 **ალექსანდრ ფლემინგი** — შოტლანდიელი ბიოლოგი, პენიცილინის აღმომჩენი;
- 29 **გუსტავ ეიფელი** — ფრანგი ინჟინერი და არქიტექტორი;
- 30 **ჯეიმს ვატი** — შოტლანდიელი ინჟინერ-გამომგონებელი და მათემატიკოსი;
- 31 **სტივ ვოზნიაკი** — «Apple»-ის თანადამფუძნებელი;
- 32 **ართურ კონან დოილი** — შოტლანდიელი მწერალი, შერლოკ ჰოლმსის პერსონაჟის შემქმნელი;
- 33 **იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე** — გერმანელი პოეტი და მოაზროვნე;
- 34 **ჰერმან ჰესე** — გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურიატი;
- 35 **რადიარდ კიპლინგი** — ინგლისელი მწერალი;
- 36 **ალექსანდრე პუშკინი** — რუსი მწერალი;
- 37 **ჟან-ჟაკ რუსო** — ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი;
- 38 **ფრიდრიხ შილერი** — გერმანელი პოეტი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი;
- 39 **უოლტერ სკოტი** — შოტლანდიელი პოეტი;
- 40 **მარკ ტვენი** — ამერიკელი მწერალი;
- 41 **ოსკარ უაილდი** — ირლანდიური წარმოშობის ინგლისელი დრამატურგი, მწერალი და პოეტი;
- 42 **ფრანც ლისტი** — უნგრელი კომპოზიტორი და პიანისტი;
- 43 **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი** — ავსტრიელი კომპოზიტორი;
- 44 **კლარკ გეიბლი** — ამერიკელი კინოვარსკვლავი, «ჰოლივუდის მეფე»;
- 45 **ჯაკომო კაზანოვა** — იტალიელი მოგზაური;
- 46 **ალისტერ კროული** — ცნობილი ბრიტანელი ოკულტისტი და მისტიკოსი;
- 47 **იოსებ სმითი** — მორმონთა ეკლესიის დამაარსებელი;
- 48 **სვამი ვივეკანანდა** — ინდუისტი სულიერი ლიდერი;
- 49 **ადამ ვაისჰაუპტი** — გერმანელი ფილოსოფოსი, ილუმინატების საზოგადოების დამფუძნებელი.

## მასონური ტერმინების ლექსიკონი

- 1813 წლის აქტი** — ისტორიული აქტი, რომლის დროსაც შეიქმნა ინგლისის დიდი ლოჟა.
- აგაპა** — ერთობლივი სადილი, რითიც მთავრდება ლოჟის თავშეყრა. ადამი — მომდინარეობს ებრაული სიტყვიდან «აადამახ», რაც ნიშნავს მიწას, ძველი აღთქმის თამახმად. პირველი პატრიარქი, რომელსაც მასონები ორდენის დამაარსებლად თვლიან.
- ად ვიტამ** — (Ad Vitam) ლათინური გამოთქმაა, ნიშნავს «სიცოცხლის ბოლომდე»; ამ ტერმინით აღინიშნება მასონური იერარქიის მე-20 საფეხური.
- ადეპი** — მოსწავლე ან შეგირდი, რომელიც ეუფლება მასონურ იდეოლოგიას.
- აკაციის ტოტი** — აღნიშნავს სულის უკვდავებას.
- აკკოლადა** — მასონური ხელდასხმის ერთ-ერთი რიტუალი, რომლის დროსაც მახვილით ეხებიან ახალწვეულის მხრებსა და თავს.
- ალლოკუცია** — სიტყვიერი მიმართვა იმ ოფიცრისადმი, მინც სხდომას თავჯდომარეობს.
- ამერიკული წესდება** — იორკის ძველი სისტემის ახლებური ვარიანტი, რომლის შემადგენლობაში შედის ლოჟა, საბჭო, კაპიტალი და საკამანდრო.
- ამინ** — ჭემმარიტების დამადასტურებელი ტერმინი მასონურ რიტუალებში, რომლის წარმოთქმის შემდეგაც პასუხობენ «ასე იყოს».
- ანამნეზი** — პლატონური ფილოსოფიის ტერმინი, ნიშნავს სულის მეხსიერებას წინა ცხოვრების შესახებ. გამოიყენება მასონთა ფილოსოფიურ დოქტრინებსი.
- ანკეტა** — რომელსაც ავსებს მასონური ლოჯის ახალწვეული.
- არარეგალური მასონური ლოჟა** — წარმოადგენს ისეთ ლოჯას, რომლის საქმიანობაც დროებით შეჩერებულია დიდი ლოჯის მიერ, ან უკანონოდ მომქმედი ლოჟაა.
- არეოპაგი** — იერარქიის 30-ე გრადუსი, იგივე «კადოშის რაინდი».
- არქივი** — ადგილი, სადაც ინახება ლოჯის საიდუმლო დოკუმენტები.
- არქიტექტოსრის წიგნი** — იგივეა რაც დიდი ლოჯის კონსტიტუცია.
- არწივი** — მასონების ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა. შოტლანდიურ წესდებაში მიღებულია გერბები ორთავიანი არწივის გამოსახულებით.
- არხეტისი** — ყოველივეს შემქმნელი, საწყისი ფორმა ან პრინციპი.
- ასპირანტი** — მასონური ორდენის წევრი, რომელიც საიდუმლო ხელსახმის კანდიდატია.
- ასსამბლეა** — დიდი ლოჯის წევრთა ყოველწლიური შეკრება.
- აპილიაცია** — მასონურ ლოჟაში მიღების პროცესი.
- აღმოსავლეთი** — წმინდა მხარე.



- აღმოსავლეთის სკამი** — საპატიო ადგილი ლოჟაში, სადაც ჯდება ღირსეული ოსტატი.
- აჰიმან რეზონი** — «ძმის დახმარება», ინგლისური მასონური კონსტიტუციის სათაური.
- ბალატირება** — საიდუმლო კენჭისყრა, რომლის დროსაც ირჩევენ მთავარ მაგისტრს ან წყვეტენ მნიშვნელოვან საკითხებს.
- ბალდერიკი** — მასონური ლენტა (ნაჭრის ზონარი) რომელსაც მასონები იხვევენ მხარზე.
- ბატარეა** — მასონთა ბანკეტებზე ღვინით სავსე ბოკალი.
- ბოზანი** — ტამბლიერთა ორდენის სამხედრო ალამი.
- გასაღები** — მასონური საიდუმლოს სიმბოლო.
- გველი, რომელიც კბენს საკუთარ კუდს** — უძველესი გნოსტიკური სიმბოლო, რომელიც ასახავს მარადიულობას და მსოფლიო გნოზისს.
- «დედა ლოჟა»** — ადგილი სადაც მოწაფე პირველად იქნა ხელდასხმული, ყველა მასონისთვის ითვლება წმინდა ადგილად. ოფიციალურად მსოფლიოს ყველა დიდი ლოჟისათვის «დედა ლოჟებად» ითვლება ინგლისის და შოტლანდიის დიდი ლოჟები.
- დიდი აღმოსავლეთი** — ადგილი სადაც იკრიბებიან მსოფლიოს უდიდესი ლოჟები და იღებენ ახალ მითითებებსა და ედიქტებს.
- დიდი ოსტატი** — დიდი ლოჯის ხელმძღვანელი.
- დიდი საქმე** — (მაგნუმ ოპუს) როზენკრაიციერთა სიმბოლიკაში ნისნავს საქმეს, რომელიც დაასრულა ჭეშმარიტების მაძიებელმა ადაპტერმა.
- ეგვიპტური ფრანკმასონობა** — ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1776 წელს ლონდონში, მის დამაარსებლად თვლიან გრაფ კალიოსტროს.
- ველური ლოჟა** — ნიშნავს არალეგალურ ლოჟას.
- ვებები** — (ლანდმარკები) ორდენის უძველესი წესები, სათავეს იღებს შუასაუკუნეებში, დროთა მანძილზე განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია.
- ზაპონი** — სასონური ფართუკი.
- თავისუფალი მეცნიერება** — მასონური იდეოლოგიით ესენია: გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია.
- თეთრი ხელთათმანი** — სულიერი სისუფთავის და სიწმინდის ნიშანი.
- თვალი სამკუთხედში** — მასონური სიმბოლო, რომლის მიხედვითაც ღმერთი ყოველთვის გვადევნებს თვალს.
- თუბალ-კაენი** — მასონური ფილოსოფიის თანახმად პირველი დიდი ოსტატი, ძველი ლეგენდის თანახმად იგი ითვლება ოსტატ ჰირამის მასწავლებლად.
- ინაუგურაცია** — ლოჟაში დიდი მაგისტრის არჩევის ცერემონია.
- კადოში** — მასონურ იერარქიაში ერთ-ერთი გრადუსის დასახელება, მომდინარეობს ძველებრეული სიტყვიდან «კადოში» — «წმინდა».
- კანდიდატი** — პიროვნება, რომელიც აპირებს მასონურ ლოჟაში შესვლას. პირველი გამოცდის შემდეგ იგი ხდება მოწაფე.



- კაპიტალი** — მასონურ იერარქიაში, როზენკრეიცერთა 17-18 გრადუსი.
- კვატუარ კორონატი** — ლონდონური ლოჟის № 2076 ლათინური სახელი, რომელიც სათავეს იღებს ძველი რომაული ლეგენდიდან.
- კლასობრივი ლოჟა** — წარმოადგენს ისეთი ტიპის ლოჟას, სადაც თავმოყრილია ერთი სპეციალობის მასონები.
- კომანდორი** — იორკის წესდების თანახმად, უდიდესი თამამდებობა მასონურ საბჭოში.
- კონვერტი** — ევროპის დიდ ლოჟაში საერთაშორისო შეხვედრა, სადაც წყდება გლობალური მამტაბის სტრატეგიული საკითხები.
- კონკლავი** — ტაძრის რაინდთა საერთო შეკრება.
- კონსისტორია** — შოტლანდიური წესდების თანახმად, 19დან 32 გრადუსამდე ხელდასხმულ მასონთა შკრება.
- კუბო** — უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი ხელდასხმის რიტუალებში, კანდიდატს ათავსებენ კუბოში, საიდანაც ამოიყვანენ გარკვეული მაგიური ლოცვების შემდეგ, ნიშნავს «თავიდან დაბადებას».
- ლენტა** — მასონური ტანსაცმლის ჰერალდიკური ატრიბუტი, ძირითადად გამოიყენება ტალისმანის სატარებლად.
- ლომის თათი** — დიდი ოსტატის ხარისხის სიმბოლური სახელწოდება.
- ლოჟა** — მასონთა თავშეყრის ადგილი, თავისუფალ ქვისმთელთა გილდეების შეცვლელი.
- ლუფტონი** — მასონის შვილი ან შვილიშვილი, ლოჟაში მიღების დროს სარგებლობს გარკვეული პრივილეგიით.
- მასონთა ასაკი** — განისაზღვრება თვითოეულ იერარქიულ საფეხურზე გატარებული დროის მიხედვით.
- მასონი** — ფრანგული სიტყვა, ნიშნავს «თავისუფალ ქვისმთელს, მშენებელს».
- მასონური გილდეები** — ორგანიზაციები, რომლებიც არსებობდა ოპერატიული მასონების შექმნა შექმნაზე.
- მასონური დიპლომი** — ლოჟის წევრობის დამადასტურებელი საბუთი.
- მასონური კალენდარი** — წარმოადგენს საკმაოდ რთულ სისტემას, რომელიც დაფუძნებულია ისტორიული ფაქტების პერიოდიზაციაზე.
- მასონური კატეხიზმო** — მასონურ სწავლებათა კრებული, კითხვა პასუხის სახით.
- მასონური ორიენტირები** — წარმოადგენს ქვეყნის ოთხივე მხარის ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმად აღმოსავლეთი არის სიბრძნე, დასავლეთი ძალა, სამხრეთი სილამაზე და ჩრდილოეთი სიბნელე.
- მასონური პაროლები** — მინიშნებები და სიტყვიერი ტერმინები, წარმოადგენს მასონურ რიტუალების ძირითად ქვაკუთხედს. მომდინარეობს უძველესი ქარტიებიდან.
- მასონური პროტოკოლები** — მასონური დოკუმენტების კრებული.
- მასონური ტაძარი** — იგივეა, რაც მასონური ლოჟა.

**მასონური ტაძრის ორიენტაცია** — უძველესი ტრადიციის თანახმად, მასონური ლოჟა მართკუთხა ფორმისაა, სიგრძით იგი განლაგებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, სიგანით ჩრდილოეთიდან სამხრეთით. სხდომის დღოს მთავარი მაგისტრი ჯდება სავარძელში, რომელიც უმზერს აღმოსავლეთს, როგორც მარადიული სიბრძნის მხარეს.

**მასონური ფიცი** — ნეოფიტის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც წმინდაა ყველა მასონისთვის.

**მასონური წელთაღრიცხვა** — კალენდარი, რომელიც სათავეს იღებს ბიბლიური პირველი დღიდან.

**მახვილი** — გულახდილობის და სამართლიანობის სიმბოლო, ფართოდ გამოიყენება მასონურ რიტუალებში.

**მემფის მისრამი** — უძველესი ლოჟა, დაარსდა 1858 წელს ბრიუსელში.

**მზე და მთვარე** — ორი უძველესი მასონური სიმბოლო, ასახავს სინათლეს და სიბრძნეს.

**მოზაიკური იატაკი** — ასახავს სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების უსასრულო ციკლს.

**მონიტორი** — ძირითადი მასონური რიტუალების მცირე კრებული, ცნობარის სახით ატარებს ყველა მასონი. სიბრძნე, ძალა და სილამაზე-მასონური ტაძრის სამი ძირითადი ქვაკუთხედი.

**მძინარე ლოჟა** — მასონური ლოჟა, რომელიც არ ეწევა აქტიურ საქმიანობას.

**ნეოფიტი** — მოწაფე, ახალხელდასხმული.

**ნოაჰეტი** — 21-ე ხარისხის საფეხური შოტლანდიურ წესდებაში, ასოცირდება ბიბლიურ ნოესთან.

**ოკულტური მასონობა** — მასონობის ფილოსოფიურ-მისტიკური მიმართულება, რომელიც მხოლოდ მაღალი იერარქიული წარმომადგენლების პრეროგატივაა.

**ოპერატიული მასონობა** — ამ ტერმინით მოიხსენიება შუა საუკუნეების ევროპულ ქვისმთლელებს და არქიტექტორებს.

**ორდენის კოდექსი** — დიდი ლოჟის კანონთა წიგნი.

**ოსტატი ჰირამი** — მასონთა ნახევრად მითიური გმირი, პირველი ლეგენდარული ოსტატი, რომელიც სოლომონის ტაძარს აგებდა. გადმოცემის თანახმად, იგი ვერაგულად მოჰკლა მისმა სამმა მოწაფემ.

**ოფიცრები** — მაღალი იერარქიული საფეხურის წარმომადგენლები.

**პატენტი** — გარანტირებული პრივილეგიაა, რომელიც დამოწმებულია გარკვეული ხარისხის სერტიფიკატით ან დიპლომით.

**პელიკანი** — შოტლანდიურ წესდებაში, როზენკრეიცერთა იერარქიული საფეხური, შეესაბამება მე-17-18 გრადუსს.

**პენტაგრამა** — ხუთქიმიანი ვარსკვლავი, უძველესი სიმბოლო, რომელსაც იყენებდნენ ჯერ კიდევ ძველებერძნულ მისტერიებში, შეესაბამება ოსტატის ხარისხს.

- «პროფანი»** — ტერმინი, რომელითაც მასონები მოიხსენიებენ ყველა არამასონს, ე.ი. არახელდასხმულს.
- რაინდული მასონობა** — იგივეა, რაც ფრანკმასონობა, წარმოადგენს რაინდული ხარისხების იერარქიულ საფეხურს.
- რეგულარული ლოჟა** — მასონური ლოჟა, რომელიც ფუნქციონირებს მასონური ქარტიის თანახმად, ჰყავს თავისი მაგისტრი.
- რეგულიარიზაცია** — მასონური ხელდასხმის განმეორება.
- რეჟიემი** — ჰიმი, რომელიც ეძღვნება გარდაცვლილ მასონებს.
- რქა** — მასონური სიმბოლო, ასახავს ნაყოფიერებას და სიუხვეს.
- საიდუმლო მასონობა** — განდობილთა საბჭო, სადაც ძირითადად მაღალი იერარქიული ხარისხის ფრანკმასონები შედიან.
- საკურთხეველი** — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი მასონურ რიტუალებში, მის გვერდით მოთავსებულია სამ სანთლიანი შანდალი და წმინდა კანონის წიგნი, ასევე ფარგალი და გონიო.
- სამყაროს უდიდესი არქიტექტორი** — მასონური იდეოლოგიის ცენტრი, ნიშნავს ღმერთს, შემოქმედს. (იგივე ბაფომეტი, სატანა).
- საღამო** — სიკვდილის სიმბოლო, დრო რომელსაც მუშაობას წყვეტენ მასონები.
- საწევრო შესატანი** — ყოველწლიური ფულადი თანხა, რის შეტანაც ევალება ლოჟის ყველა წევრს.
- სიკვდილი** — სიმბოლოა სრულყოფილი ხელდასხმის (ინიციაცია) მასონური იდეოლოგიით, სიკვდილით იწყება სულიერი სიცოცხლე.
- «სინათლის შვილები»** — მასონური გადმოცემით, მათი უძველესი სახლი, ამ ტერმინით მათ მოიხსენიებდნენ ეგვიპტური პირამიდებისა და სოლომონის ტაძრის მშენებლობის დროს.
- ტაბელი** — სიმბოლოებით გამოსახული ნოხი ან ფარდაგი, რომელსაც აგებენ ლოჟის იატაკზე.
- ტალისმანები** — ოფიციალური ემბლემები რომლებსაც ატარებენ ოფიცრები სამკერდე თასმებზე.
- უძველესი ქარტიები** — კანონთა და წესდებათა კრებულები, რომლებიც უდიდეს სიწმინდეებად ითვლება.
- უხეში ქვა** — ასოცირდება ახალხელდასხმულ მმასთან.
- ფარგალი** — მასონური რიტუალების განუყრელი ატრიბუტი, ფრანკმასონთა ერთ-ერთი მთვარი ატრიბუტი.
- ქარტია** — ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიღების შემდეგ, ახალ ლოჟას უფლება ეძლევა მსოფლიო მასონური ლოჟების სრულფასოვანი წევრი გახდებეს.
- ქვიშის საათი** — გავლილი დროის სიმბოლო.
- ქვრივის ქოთანნი** — ჭურჭელი, სადაც იკრიბება საქველმოქმედო თანხა, სამმოს წევრთა დასახმარებლად.

**ქვრივის შვილები** — მასონური სამმოს სახელი. უკავშირდება ბიბლიურ ეპიზოდს ოსტატ ჰირამის შესახებ...

**შუადღე** — დრო, როდესაც მუშაობას იწყებენ თავისუფალი ქვისმთლელები.

**ჩაქერი** — თავისუფალ ქვისმთლელთა განუყრელი ატრიბუტი და სიმბოლო, გამოიყენება მასონთა სხდომების დროსაც.

**ცარცი, ნახშირი და თიხა** — სამი ელემენტი, რაც მასონური იდეოლოგიით ნიშნავს თავისუფლებას, მისწრაფებასა და.

**ცეცხლმოდებული ვარსკვლავი** — სინათლისა და ღვთაებრიობის სიმბოლო, ასახავს ადამიანის მოგზაურობას მიწიერი არსებობის დროს.

**ცისფერი ლოჟა** — მასონურ იერარქიაში ნისნავს პირველ სამ საფეხურს.

**ძმათა ჯაჭვი** — სიმბოლო მასონთა მსოფლიო ერთიანობისა.

**წმინდა დელტა** — იგივეა რაც «თვალი პირამიდაში».

**წმინდა იოანეს ლოჟა** — მასონური ლეგენდის თანახმად, პირველი «დედა ლოჟა», რომელიც იერუსალიმში დაარსდა ატარებდა იოანე ნათლიმცემლის სახელს, მოგვიანებით კი იოანე ღვთისმეტყველისა.

**«წმინდა იოანეს ხალხი»** — ეწოდათ იმ მასონებს, რომლებიც მე-18 საუკუნეში ვერ შევიდნენ ინგლისის «დედა ლოჟაში», თუმცა ნება დაერთოთ შეექმნათ რეგულარული ლოჟები.

**წმინდა ტრიადა** — მასონური ფილოსოფიის ქვაკუთხედი, სათავეს იღებს კაბალისგან, სადაც «სეფიროტ ხოკმა» არის — სიბრძნე მამა; «ბინა» — აზრი ნიჭი, არის დედა, რომლის შობს «კეთერს» — მეფობას, განდიდებას, ბრწყინვალეობას.

**ხორბალი, ღვინო და ზეთი** — მასონური ხელდასხმის სამი უმთავრესი ელემენტი; საუკუნეების მანძილზე ითვლებოდა სიმდიდრისა და აღორძინების სიმბოლოდ.

**ჰერმეს ტრისმეგისტრი** — ეზოთერული ცოდნის ფუძემდებელი, აიგივებენ ძველ ეგვიპტურ ღვთაება ტოტთან.



ფენ-შუი



## ფენ-შუი

ფენ-შუი არის უძველესი ჩინური მეცნიერება, ადამიანისა და გარესამყაროს შესახებ და დანიშნულება მისი არის ამ ურთიერთობაში ჰარმონიის მიღწევა, ადამიანი რომ იყოს უფრო ბედნიერი და მშვიდი გარემოსთან ურთიერთობით.

გაუცნობიერებელი და უხილავი ძალები, რაც ჩვენზე ახდენს გავლენას არის ის ენერგიები, რაც აქვს ბუნებას და იმ ყველა ნივთს რაც გარშემოა. ისინი მოქმედებენ ჩვენზე მიუხედავად იმისა, გვჯერა თუ არა მათი.

სინამდვილეში კი ჩვენ თავად შეგვიძლია ვიმოქმედოთ მათზე, უფრო სწორედ ვამოქმედოთ ისინი ჩვენთვის სასარგებლოდ, როცა გვეცოდინება ელემენტარული «ფორმულები» და ურთიერთდამოკიდებულებების კანონები, როცა გვექნება ცოდნა თუ როგორ გამოვიყენოთ ისინი.

შეისწავლო ფენ შუი, დააკვირდე მოვლენებს რაც გარშემო ხდება, გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ კანონები რომელიც მართავს სამყაროს და ჩვენ თავად გავხდეთ ჩვენი ცხოვრების წამმართველნი, არ ვიყოთ დამოკიდებული არანაირ ხილულ ან უხილავ ენერგიებზე რაც ჩვენზე მოქმედებს.

კლასიკური ფენ-შუი გულისხმობს რომ ადამიანის ცხოვრებაზე მოქმედებს სამი ასპექტი: «პირველ ადგილზეა-ბედი, მეორე ადგილზეა-გამართლება, მესამე ადგილზეა-ფენ-შუი».

და თუ ბედს ჩვენ ვერ ვწერთ წინასწარ და გამართლებასაც ვერ დავუგეგმავთ თავს, ამ სამი ერთი ასპექტი ნამდვილად შეგვიძლია შევისწავლოთ და ვმართოთ ჩვენს სასარგებლოდ.

\*

წარმოიდგინეთ რომ, დაბადებიდანყოველ ჩვენთაგან უმაღლესმაძალებმა მისცეს რუკა, რომელზეც ნაჩვენებიაგზა თუ როგორ უნდა ვიმოგზაუროთ სამყაროშიდა შევასრულოთ ჩვენთვის განკუთვნილიცხოვრებისეული მისიები.

შევადართო ჩვენი მოგზაურობა, მსოფლიოსგარშემო მოგზაურობას, რომელიც ერთი მხრივშეიძლება იყოს მშვიდი და სასიმოვნო, ასევექარიშხლიანი და საშიში.

იმის მიხედვით თუ რამდენად გავუგებთსამყაროს კანონებს, როგორ არჩევანს გავაკეთებთსდაროგორ მოვიქცევით, ჩვენი ცხოვრების გზაც, ჩვენი დანიშნულების მიხედვით გამარტივდებაან გართულდება.

წარმოვიდგინოთ, რომ თან გვაძლევენდამატებით დამხმრე ინსტრუმენტად: ნავს, რომელშიც ვჯდებით და მივემგზავრებით. შეიძლებაშეგვხვდეს პატარა ნავი, მოგვეცეს ორი ნაჭერი პური და ერთი ბოთლი წყალი. შეიძლება შეგვხვდესდიდი გემი, მრავალფეროვანი გასართობი ოთახებით და მრავალფეროვანი კერძებითდახუნძლული. თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს, შეიძლება გემში ცხოვრებით გართული აცდექემმარიტ დანიშნულებას და რიფზე აღმოჩნდე და



პატარა ნავში მჯდომი კი უფრო ყურადღებითიყო და უფრო სწრაფად მივიდეს სადაც საჭიროა, შეიძლება პირიქითად.

ორივე შემთხვევაში ეს სომბოლური შედარებააჩვენს სახლთან, ჩვენს ოჯახთან სადაცდავიბადეთ, იმ სახლთან. გემიც და ნავიც, არისჩვენი სახლი ძირითადი სამყოფელი დასაყრდენი ცხოვრების გზაზე.

გზაზე ბევრი ადამიანი შეგხვდება, ზოგიდამხმარე, ზოგი თავისდაუნებურად ხელისშემშლელი... შეიძლება ერთმა აფრების გაშლაგვასწავლოს, მეორემ კი უდრო დროს ჩაკეცოსისინი.

ჩინური მეტაფიზიკა გვჩვენებს რომ ჩვენი ნავიმოვაწყით უფრო მოხერხებულად, უფროეფექტური იყოს ჩვენთვის და სასარგებლო.მზად ის ყველა შესაძლო ამინდისთვის დაშეგვიწყოს ხელი უფრო მშვიდად გავიაროთ ეს გზა, შეიძლება ნავში ჩაჯდომისთანავე მძიმერკინის უსარგებლო სკულპტურა დაგხვდეს, რაც რეალურად ხელს გვშლის, ეს უნდა მოვიშოროთდა რაც გვჭირდება იმის მიხედვით მოვაწყოთ ჩვენი ნავი ან გემი, ანუ ჩვენი სახლი სადაცცხოვრობთ.

სწორი ფენ შუი ნავში, სახლში არის ერთ-ერთი ძლიერი დამხმარე ძალა რომ დაგვეხმაროსრეალურად უფრო მშვიდად და სწორად გავიაროთ ჩვენი გზა. როგორ გავმართოთ აფრები, დიდგემში რომელი კაიუტები გავაუქმოთ ან შევცვალოთ, რომელი გასართობი კაიუტა შევცვალოთმეცნიერული კვლევებისთვის ან პირიქით. მოკლედ ფენ-შუი არის რაც, რაც დაგვეხმარება ჩვენიძირითადი სამყოფელი მოვაწყოთ ჩვენთვის მაქსიმალურად სასარგებლოდ, სწორად და პირდაპირიგზით რომ მიგვიყვანოს მიზენბამდე და საბოლოოდ მთავარ მიზნამდე. რამდენადაც ამაზე ბუნებისკანონები გვამლევს ცოდნას.

\*

ფენ შუი ძველი ჩინური ხელოვნებაა და ნიშნავს ქარს და წყალს.

ქარსაც და წყალსაც უდიდესი ენერჯია აქვს, რაც დადებითი აურით გვავსებს. ფენ შუი ნიშნავს ცხოვრების ძირითადი ელემენტების (ყველაფერი, რაც გარს გვაკრავს) მოწესრიგებას ოპტიმალური და ჰარმონიული ენერჯიის (წყლისა და ჰაერის მსგავსი) ნაკადის შესაქმნელად.

ფენ შუი ძირითადად საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის მოწყობის ფორმულაა, თუმცა იგი ასევე იძლევა რჩევებს, ცხოვრების წესის გასაუმჯობესებლად და სულიერი ჰარმონიის მისაღწევად.

თუ რატომ ავადმყოფობს ადამიანი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. სამაგიეროდ, ნათელია ერთი რამ: სულიერი წონასწორობა და ჰარმონიული გარემო ალაღვენს შერყეულ ჯანმრთელობას. გაიხედეთ ფანჯარაში: რას ხედავთ? პარკს, ბავშვების სათამაშო მოედანს? ე.ი. გაგიმართლათ. მაგრამ თუ თქვენი ფანჯრის წინ საავადმყოფო ან სასაფლაოა, მაშინ რაღაც უნდა იღონოთ. თუ უახლოეს მომავალში ბინის შეცვლას არ აპირებთ, ეცადეთ შეასუსტოთ,



გაანეიტრალოთ ცუდი გარემო — ფანჯარაზე ახალი კუბოკრული შტორები დაჰკიდეთ, რაფაზე კი ხასხასა წითელყვავილებიანი ქოთნები დადგით.

სახლში კარგი გარემოს შესანარჩუნებლად პირველ რიგში უნდა გადაყაროთ ყველა ის ნივთი, რომელიც არ გჭირდებათ, ან არ გსიამოვნებთ, იქონიეთ მცენარეები, ოღონდ განათავსეთ ისინი ბაგუას (ფენ შუის რვაკუთხედი) მიხედვით...

ჯანმრთელობის გაუარესება მაშინაა მოსალოდნელი, თუ ბინას, რომელიც ვინმესგან იყიდეთ, ძველი პატრონები «ახსოვს». ამიტომ გირჩევთ, გადასვლამდე ასეთი ბინა გაწმინდოთ და დროდადრო «განბანოთ». ერთ ვედრო წყალში რამდენიმე წვეთი ვარდის წყალი ჩააპკურეთ და გაწმინდეთ კარი, ფანჯრის რაფები და ავეჯის ზედაპირი. თუ ბინას ხშირად გაანიავებთ და დაალაგებთ, ნეგატიური ენერჯისგან განიწმინდება.

ფენ შუის მიხედვით, სახლებში არსებობს ზონები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ნაწილზე არის პასუხისმგებელი. ჯანმრთელობის სექტორი აღმოსავლეთით მდებარეობს, ასე რომ, უპირველესად წესრიგი იქ დაამყარეთ. ეს ხის სექტორია, ამიტომ რაც მეტ ხის ნივთს, ცოცხალ ყვავილებს და მწვანე დეტალებს შემატებთ ბინის ამ კუთხეს, მით უკეთესია. აქვე განალაგეთ აკვარიუმები, პეიზაჟიანი და მარინისტული სურათები. სექტორის გაძლიერება სიმბოლური ნივთებითაც შეიძლება. ტრადიციის თანახმად, ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე მოაქვს წეროს, ირემს, ატამს, ფიჭვს და, რა თქმა უნდა, ბამბუკს. ყველა ეს ნივთი ავადმყოფობას აგაცილებთ.

გარდა ამისა, ერიდეთ მახვილ კუთხეებს, ე.წ. «გამოშვერილ» კონსტრუქციებს, მით უმეტეს, მაშინ, თუ თქვენკენაა მომართული. ასეთებია: თაროები, სტელაჟები, კოჭები და ა.შ. ეცადეთ, ოჯახში ყველა ნივთს მომრგვალებული კუთხე ჰქონდეს.

ფენ შუის თანახმად, ჩვენს ბინებს ხშირად «სტუმრობენ» «მოხეტიალე ვარსკვლავები». ისინი ყოველ წელს იცვლიან მდებარეობას სექტორების, ანუ ბაგუას მიხედვით. მათ შორის არიან «კეთილი ვარსკვლავები», რომლებსაც ბინის პატრონებისთვის ჯანმრთელობა და წარმატება მოაქვთ. მაგრამ ზოგიერთი მტრულად არის განწყობილი ჩვენ მიმართ. ამიტომ ყოველ წელს გადაადგილეთ ავეჯი. წელს ნეგატიური ვარსკვლავები აღმოსავლეთ და სამხრეთ სექტორებშია თავმოყრილი. თუ შესაძლებელია, საძინებელი სხვა ადგილას გადაიტანეთ, ან შეეცადეთ, «უსიამოვნო სტუმრების» გაუვნებლებას. ამ ვარსკვლავების სტიქია დედამიწაა, ე.ი. სწორედ ის უნდა შეასუსტოთ. ზემოთ აღმოსავლეთ სექტორზე მოგახსენეთ, სრულიად გადაჭრის პრობლემას ხე. ის ხომ დედამიწას არღვევს. სამხრეთითაც სჯობს ხის სტიქიის გაძლიერება, თუმცა ასეთ დროს თავი აარიდეთ წყალს (ნუ დადგამთ აკვარიუმებს და ა.შ.).

ფენ შუის უძლიერესი ინსტრუმენტი ჯანმრთელობის ინდივიდუალურად გასაუმჯობესებელი «ციური მკურნალი». ყველა ადამიანს თავისი «ციური მკურნალი» ჰყავს და მისივე დაბადების დღეზეა დამოკიდებული. თავდაპირველად უნდა გამოთვალო საკუთარი რიცხვი, ე.წ. გუა. ამისთვის უნდა შეკრიბოთ დაბადების წლის ბოლო ორი ციფრი. თუ ორნიშნა ციფრს მიიღებთ,





დაიყვანეთ ერთნიშნამდე. მამაკაცებმა მიღებული ციფრი უნდა გამოაკლონ 10-ს; ქალებმა კი მიუმატონ — 5-ს. შედეგი ისევ ერთნიშნა ციფრამდე დაიყვანეთ — სწორედ ეს იქნება თქვენი ციფრი. რა ციფრიც მიიღეთ, ის იქნება თქვენი ჯანმრთელობის წარმმართველი: 1 — აღმოსავლეთი; 2 — დასავლეთი; 3 — ჩრდილოეთი; 4 — სამხრეთი; 5 — დასავლეთი მამაკაცებისთვის და სამხრეთ-დასავლეთი ქალებისთვის. 6 — ჩრდილო-აღმოსავლეთი; 7 — სამხრეთ-დასავლეთი; 8 — ჩრდილო-დასავლეთი; 9 — სამხრეთ-აღმოსავლეთი.

მიმართულების შერჩევა ძალზე მნიშვნელოვანია საწოლის დასადგმელად — თუნდაც დროებით. ავადმყოფობის დროს მაინც გადადგით საწოლი საჭირო სექტორში, «ციური მკურნალის» შესაბამისად.



## ფენ-შუი-ციფრები

ციფრები ისევე როგორც ფერები დიდი ენერჯის მატარებლები არიან როგორც დადებითი ასევე უარყოფითი. ფენ შუის ციფრებს შეუძლიათ გაგამდიდრონ ან პირიქით, მათ მოაქვთ როგორც წარმატება ასევე უბედურება არასწორად გამოყენების შემთხვევაში. ძალიან მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ მათი ენერჯეტიკა ჩვენს სასარგებლოდ, ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ მათი ფარული მნიშვნელობები.

ციფრები იყოფა «იან» და «ინ» ენერჯიებად. «იან»-ს მიეკუთვნება ყველა კენტი რიცხვი, ხოლო «ინ»-ს ლუწი. ფენ შუის მიხედვით ყველაზე «ბედნიერი» კენტი რიცხვებია. (როგორც წესი სხვადასხვა ლატარეებში სწორედ ის ბილეთები იმარჯვებენ სადაც კენტი ციფრები ჭარბობს).

**ფენ შუის მიხედვით ყველა რიცხვს თავისი მაგიური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული:**

- 1 — პატივი, მოგება.
- 2 — ადვილად.
- 3 — ზრდა.
- 4 — დიდ შრომის შედეგად მიზნის მიღწევა.
- 5 — არაფერი.
- 6 — სიმდიდრე.
- 7 — აუცილებლად, ნამდვილად.
- 8 — წარმატება.
- 9 — დიდხანს ცხოვრება.

დასავლეთში და აღმოსავლეთში ფენ შუის ნუმეროლოგიას განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს. მაგალითად თუ ადამიანი დაიბადა 23.06.1993 წელს, მაშინ დასავლეთში ყველა ეს რიცხვი ჯამდება ერთ ციფრამდე.  $(2+3+6+1+9+9+3=33(3+3)=6)$  6-იანი ნიშნავს რომ ეს პიროვნება იქნება მდიდარი. აღმოსავლეთში ყველა ეს ციფრი სათითაოდ განიხილება. ზემოთხსენებული თარიღი შემდეგნაირად იშორდება: «ადვილად», «ზრდა», «სიმდიდრე», «მოგება» «დიდხანს ცხოვრება» — პერეფრაზირების შედეგად გამოდის რომ პიროვნება მალე გაიზრდება მენტალურად, გამდიდრდება თანხის მოგების საშუალებით და დიდხანს იცოცხლებს.



**როგორ გამოვითვალეთ ჩვენი ბედნიერი რიცხვი?**

ფენ შუის მიხედვით ბედნიერი რიცხვი გამოითვლება ისევე როგორც დასავლეთში სჩვევიათ ანუ დაბადების თარიღის დაჯამებით და ერთ ციფრამდე დაყვანით.

**როგორ გამოვიყენოთ ფენ შუი ჩვენს სასარგებლოდ:**

**1. მოვიზიდოთ ფული:**

ჩაიდეთ საფულეში პატარა ფურცელი რომელზეც წარმატების მომტანი კომბინაციები ეწერება, მაგალითად:

- 68 — «ბევრი ფული»;
- 17 — «აუცილებლად მოგება»;
- 26 «ადვილი ფული» და ა.შ.

თქვენ თავადაც შეგიძლიათ შეადგინოთ თქვენთვის სასურველი ვარიანტები.

**2. გავახაროთ მცენარეები:**

იმისთვის რომ ოთახის მცენარეებმა სწრაფად გაიხარონ ამისათვის ქოთანის ძირზე მოათავსეთ 2 და 3 რიცხვის გამოსახულებიანი რკინის მონეტა, ამით თქვენ აპროგრამებთ ყვავილს სწრაფი ზრდისკენ.

**3. გავიუმჯობესოთ ჯანმრთელობა:**

ციფრი 79 დაგეხმარებათ გაიხანგრძლივოთ და გაიჯანსაღოთ ცხოვრება.

რეალურად კომბინაციების დიდი რაოდენობა არსებობს და სიფრთხილით მოეკიდეთ მათ შედგენას რომ უარყოფითი შედეგი არ მიიღოთ. მაგალითად:

- 56 — გაბანკროტებას გიქადით;
- 24 — ადვილ სიკვდილს;
- 74 — გარდაუვალ სიკვდილს მოასწავებს;
- 59 — ავადმყოფობას;
- 48 — ფული რომელიც გერგებათ მძიმე შრომის შედეგად.

თქვენ თავად შეგიძლიათ დააპროგრამოთ თქვენი ქვეცნობიერი წარმატებაზე, ჯანმრთელობაზე, წინსვლაზე და ბედნიერებაზე. განეწყვეთ პოზიტიურად და წარმატება გვერდს არ აგივლით!

## ფენ-შუი-ფერები

### I

წარმატებული ფენ შუის ერთ — ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სწორად შერჩეული ფერთა გამა. ამ უძველესი ჩინური მიმდინარეობის მიხედვით ითვლება რომ სახლის, სამოსის, აქსესუარების ფერებს შეუძლიათ გარკვეული წვლილი შეიტანონ ადამიანის ზედ-იღბალის კორექციაში.

ფენ შუის მიხედვით ფერები იყოფა «ინ» და «იან» კატეგორიებად. (სამყაროში არსებობენ ერთმანეთისაგან განუყოფელი საპირისპირო ძალები: ინ — ქალური საწყისია, იან — მამაკაცური ენერჯიაა. «ინ»და«იანი» დამოკიდებული არიან ერთი მეორეზე, ქმნიან ერთ მთლიანობას. სამყარო ამ ენერჯიების ურთიერთ ბალანსზეა დამყარებული, ჰარმონია იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც ეს ორი ენერჯია დაბალანსებულია.) სახლის დეკორირების დროს მოერიდეთ რომელიმე ერთი ფერის მაქსიმალურად გამოყენებას.

შეეცადეთ შექმნათ ჰარმონიული ფერთა გამა, ვინაიდან ადამიანი ყველაზე კარგად თავს საკუთარ სახლში უნდა გრძნობდეს, იქ სადაც სუფევს ჰარმონია და შენარჩუნებულია «ინ» — «იან» ის ბუნებრივი ბალანსი. გამოიყენეთ ფერები რომლებიც იდეალურად შეესაბამება კონკრეტული დანიშნულების ოთახებს და თქვენს მიზნებს. ნუ შეგაშინებთ ექსპერიმენტები და ინტენსიური მკვეთრი ფერები, თქვენი იდეალური სახლის ყველა ოთახი უნდა ატარებდეს ინდივიდუალურ ხასიათს და განასახიერებდეს პატრონის გემოვნებას, ჩვევებს და ხასიათის შტრიხებს. გააფერადეთ — გაალამაზეთ თქვენი საცხოვრებელი იმ ფერებში რომლებიც მოგწონთ, გსიამოვნებთ და დადებით ზეგავლენას ახდენს თქვენზე. თუ რომელიმე ფერი გაღიზიანებთ ან არ გიყვართ ნუ გამოიყენებთ მას. მიენდეთ ინტუიციას და შეძლებისდაგვარად შემატეთ თქვენს ინტერიერს ფენ შუის «სწორი» ფერები.

ჩინელებისთვის წითელი ფერი ყველაზე დადებითია და წარმატების მომტანი. წითელი განასახიერებს ზედნიერებას, ძალას, ცეცხლს და სითბოს. ჩინელები სიამოვნებით ატარებენ მაჯაზე შებმულ წითელ ლენტს იმისთვის რომ დადებითი «ცი» ენერჯია შენარჩუნდეს და თავისუფლად ცირკულირებდეს.

ვინაიდან წითელი ფერი «გულის ფერია» ამიტომ ყველა მისი ტონალობა — ღია წითელი, ბორდო, ა.შ. ასევე ნიშნავს სასიცოცხლო ძალას და იწვევს ჩინელებში დიდ პატივისცემას. მწვანე ფერი — სიმშვიდის და სიახლის სიმბოლოა. ეს გახლავთ გაზაფხულის ბუნების ფერი. ყვითელი მზის, ოპტიმიზმის ფერია და განასახიერებს ხანგძლივ ცხოვრებას. ყვითელ-ოქროსფერი ტანისამოსის ტარება სამეფო გვარის წარმომადგენლების პრივილეგია გახლდათ. თეთრი ფერი — ყველაზე უსიამოვნოა ჩინელებისთვის ვინაიდან ტრაურის ფერად აღიქმება, ანუ იგივე დატვირთვა აქვს რასაც შავ ფერს დასავლურ კულტურაში. ჩინელი არქიტექტორები ყველაზე ნაკლებად იყენებენ თეთრ და ლურჯ ფერს, ეს უკანასკნელი ცივ ფერად მიიჩნევა. ნაკლებად რეკომენდირებულია შავი, როგორც წარუმატებლობის სიმბოლო.



## II

ფერი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია რომელსაც შეუძლია დადებითი განწყობის შექმნა. სახლის თითოეულ ოთახს თავისი დანიშნულება აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ჰკითხეთ საკუთარ თავს როგორი განწყობის შექმნა გსურთ და შემდეგ შეარჩიეთ სწორი ფერი. ნუ იჩქარებთ გლობალური ცვლილებების განხორციელებას, თავიდან აჯობებს დაიწყოთ პატარა, მაგრამ მიზანმიმართული ცვლილებებით და სიახლეებით. თუ ეხლა იწყებთ სახლის რემონტს გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები, ხოლო თუ უკვე მოწყობილ ბინაში ცხოვრობთ და შეცვლის სურვილი გაგიჩნდებათ დაიწყეთ დეკორის ელემენტებით. შეიძინეთ ახალი დეკორატიული ბალიში, ახალი ბრა და თქვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდებით თქვენს მიზანს.

### მწვანე ფერი

მწვანე ფერი ხის ფერია, რომელიც ასოცირდება გაზაფხულთან და ზრდა-განვითარებასთან. იგი განასახიერებს მშვიდობას და სიმშვიდეს, კურნავს სტრესისგან, ამცირებს სულიერ ტკივილს და შფოთვას. მწვანე უხდება საძინებლებს და საერთოდ იმ ოთახებს სადაც ადამიანი ისვენებს. ღია მწვანე იდეალურია საბავშვო ოთახისთვის. თუ არ გსურთ მთლიანი ოთახის შეღებვა მწვანედ, მაშინ ამ ფერის ელემენტები შეიტანეთ ინტერიერში.

### წითელი ფერი

წითელი ცხოვრებისეული ენერჯის განმასახიერებელი, მკვეთრი და გამომწვევი ფერია, განაგებს სიძლიერეს და ვნებას. წარმატებით გამოიყენება საწინააღმდეგო სქესის მოსაზიდად. იგი ათბობს და იქცევს ყურადღებას. გონებაში ეს ფერი ასევე ასოცირდება ცეცხლთან, სიცხესთან და სიმდიდრესთან თუმცა, ასევე ის შეიძლება მეტყველებდეს სიმორცხვეზე ან კონფლიქტურობაზე.

დაუშვებელია წითელი ფერის გამოყენება საბავშვო ოთახის მოწყობისას. თუ გსურთ გქონდეთ მხურვალე და ვნებიანი პირადი ცხოვრება გაამრავალფეროვნეთ საძინებელი წითელით თუმცა მთლიანად ნუ შეღებავთ, ვინაიდან შეიძლება უძილობის მსხვერპლი გახდეთ.

უმჯობესი იქნება საძინებელი ჩალისფრად შეღებოთ და დეკორის წითელი ელემენტებით მორთოთ. ამ ფერთან არაჰარმონიულია შავი და ცისფერი — წყლის სიმბოლოს ფერები.

### ცისფერი-ლურჯი

ცისფერი ცის და ოკეანის, სიმშვიდის ფერია. მას ძლიერი დამამშვიდებელი ზეგავლენა აქვს და აღძრავს სამყაროს შეცნობის სურვილის. ლურჯი ფერი ამძაფრებს ინტუიციას და ადამიანის სულიერ მისწრაფებებს. თუ საცხოვრებელ სახლში გაქვთ მედიტაციისთვის ცალკე ოთახი მას ყველაზე კარგად ცისფერი ან ლურჯი შეეფერება. ეს ორივე ფერი ასევე იდეალურია აბაზანისთვის.



### ყვითელი ფერი

ყვითელი ფერი მზის, აყვავების და წარმატების სიმბოლოა და განასახიერებს პოზიტივს. მზის ენერგია სიცოცხლის დასაბამს აძლევს ყველაფერ მშვენიერს ჩვენს სამყაროში: მცენარეებს, ცხოველებს, ადამიანს. ყვითელი აცოცხლებს ყველაზე უღიმღამო დაწესებულებებს, ასევე განაპირობებს ადამიანში კეთილგანწყობას და სიცოცხლის ხალისს. ეს ფერი აქტიურად გამოიყენება წარმატების მისაღწევად. დაამატეთ იგი თქვენს ბინაში სულიერი სიმშვიდის, სითბოს, კარგი განწყობის და პოზიტიური აზროვნების მოსაზიდად. ყვითელი ფერი იდეალურია სასტუმრო ოთახის გასაფორმებლად. შეგიძლიათ ღია ლიმონისფრად შეღებოთ მთლიანი ოთახი ან ყვითელი ფერის ელემენტებით გაამდიდროთ ინტერიერი, როგორც სასტუმრო ოთახში, ასევე სამზარეულოში. ნეგატიურია აბაჯანისთვის. ყვითელი ასევე სტიმულაციას უწევს გონებრივ შესაძლებლობებს. ამ ფერის ტანსაცმელი ან აქსესუარები რეკომენდირებულია მორიდებული ადამიანებისათვის.

### ოქროსფერი

ოქროსფერი პატივისცემის და შენდობის ნიშანია, ამ ფერის სამოსს ჩინეთში მხოლოდ იმპერატორები ატარებდნენ, ასევე მათი ნათესავები და სამეფო კართან დაახლოებული პირები. ამ ფერის თბილ ანარეკლს შეუძლია ადამიანის ცუდი განწყობის შეცვლა, მას მოაქვს ოპტიმიზმი და აძლიერებს საკუთარი ღირსების შეგრძნებას, აღვივებს ადამიანში ყველა დადებით თვისებას. ოქროსფერი ფულის ფერია, წითელთან შეხამებაში სიმდიდრის და ბარაქის სიმბოლოა. ინტერიერში ყველაზე ხშირად სწორედ მატერიალური კეთილდღეობის მისაღწევად გამოიყენება.

### ნაცრისფერი

ნაცრისფერი იდეალური ფერია მოსაცდელი ოთახისთვის და შემოსასვლელისთვის.

### ყავისფერი

ყავისფერი სტაბილურობის ფერია უზრუნველყოფს უსაფრთხოების და დაცულობის შეგრძნებას. კარგია ჯანსაღი ურთიერთობებისათვის. იდეალური ფერია სასადილო ოთახისთვის, სამზარეულოსთვის და საძინებლისთვის.

### იასამნისფერი

ფენ შუის მიმდევრები იასამნისფერს ჯადოსნურს უწოდებენ, ის ძალაუფლებას და სიმდიდრეს განასახიერებს. მჭიდრო კავშირშია ადამიანის სულიერ მხარესთან, აღვივებს ფანტაზიის უნარს, აერთიანებს ენერგიულობას და სიმშვიდეს. არ შეეფერება ისეთ ოთახებს სადაც ადამიანი ისვენებს (გონებით და სხეულით). ამიტომ ეს ფერი ყველაზე კარგად გამოავლენს თავს სიმდიდრის ზონაში ამ უკანასკნელის გააქტიურებისათვის. თუ ზედმეტად მეოცნებე ნატურა გაქვთ მაშინ მოერიდეთ ამ ფერს.

### **სტაფილოსფერი**

სტაფილოსფერი წარმატებით მოიცავს წითელი ფერის სიძლიერეს და ყვითელი ფერის კეთილგანწყობას. ძალიან დადებითი ზეგავლენის ფერია, მოაქვს წარმატება, სიკეთე და კეთილგანწყობა. საბავშვო ზონაში პოზიტიური ენერჯის შემატება სწორედ სტაფილოსფერის საშუალებით შეგიძლიათ. მას განსწავლულობის ფერს უწოდებენ ვინაიდან ასტიმულირებს გონებრივ აქტივობას, ფანტაზიის უნარს და წარმოსახვას. სასურველია მისი გამოყენება ოფისებში, სასტუმრო და საკლასო ოთახებში (განმანათლებელ დაწესებულებებში) ის ხელს უწყობს გონებას დიდი რაოდენობის ინფორმაციების აღქმა — დამახსოვრებაში.

### **თეთრი**

თეთრი ფერი განასახიერებს ადამიანის წმინდა, უბიწო ზრახვებს. სახლში არ უნდა დომინირებდეს მხოლოდ თეთრი, ფენ შუის მიხედვით ის საკმაოდ ცივ ფერად არის მიჩნეული. გაამდიდრეთ თეთრი კედლები სხვა ფერების საშუალებით და გაიფერადეთ ცხოვრება.

სახლის მოწყობის ამ სისტემის წყალობით მრავალი ადამიანის ცხოვრებაში შემოვიდა ჰარმონია, კეთილდღეობა და წინსვლა. უკვე მრავალი წელია რაც ამერიკასა და ევროპაში შეძლებული ადამიანები ფენ შუის დახმარებით იწყობენ საცხოვრებელს. მომდევნო სტატიებში კიდევ მრავალ საინტერესო ნიუანსს შემოგთავაზებთ.

### **წითელი**

სასიცოცხლო ენერჯის ფერია. ეს არის მასტიმულირებელი და აღმგრძნები ფერი, აძლიერების ადამიანის ვნებას. ბუნებაში წითელი ფერი გამოიყენება საპირისპირო სქესის მისაზიდად. წითელი ფერი შეიძლება გამოვიყენოთ სისხლის მიმოქცევის აქტივიზაციისთვის. სახლებში და შენობებში წითელი ფერი ინტერიერში სასურველია იქ, სადაც საჭიროა ბევრი ენერჯიის აქტივზაცია. წითელი ჩაიცვით როდესაც გინდათ გამოიყურებოდეთ თამამად, ექსტრავანგანტულად და სექსუალურად.

### **შავი**

იღუმალი და ამოუცნობი ფერია. შეუცნობელის ასოციციას ტოვებს. შავი ფერი ტანსაცმელში შეიძლება გამოხატავდეს, ქვეცნობიერად ცხოვრების უარყოფას. მიანიშნებს ყველაფერში ნეგატიურობის დანახვას და დეპრესიისკენ მიდრეკილებაზე. რაც უფრო იშვიათად გამოიყენებთ ამ ფერს, თქვენთვის იქნება კარგი, ქალები განსაკუთრებით უნდა ერიდონ შავს.

შავი ფერის გამოყენება ინტერიერში ზოგადად რეკომენდირებული არ არის

## ენერგეტიკა სახლში

სახლში მოთავსებული მხატვრული ტილო, ფერწერა, სურათი ან კედლის მხატვრობა, ხელს შეუწყობს სილამაზის და ჰარმონია მიმდებარე სივრცეში. მაგრამ ასეთივე წარმატებით შეიძლება რომელიმე ცნობილი მხატვრის აღიარებულმა შედეგმა დაამახინჯოს სახლის ენერგეტიკა. კარგი ფერწერა განსაკუთრებული სიმსუბუქით და პოზიტივით ავსებს სახლს, აღვძებს კეთილ აზრებს და დადებითი ენერგეტიკით მუხტავს გარემოს. კითხვაზე, თუ როგორ უნდა განსაზღვროს, თუ რა არის კარგი პროდუქტი, პასუხი უნდა გასცეთ თქვენ! თქვენი გემოვნებით და განწყობით. ტექნიკური თვალსაზრისით შეიძლება იყოს ორიგინალურად და ვირტოზულად შესრულებული ნახატი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? თუ ის თქვენ შთაგონებას არ მოგიტანთ.

უმეტეს შემთხვევაში სურათები მოგვითხრობს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, თუ რას აირჩევს ადამიანი, ესაა მისი შინაგანი სამყაროს ანარეკლი. სხვასხვა შენობებში სხვა სიმბოლიზმი გამოიკვეთება. სახლში როგორია ცოლ-ქმრის ურთიერთობა, რა ტენდენციებია, ვისი როლია ოჯახში დომინანტი. თუ საძინებელში სამი ადამიანის გამოსახულების ფოტოა, ან ერთის, ეს არის ნიშნები. რომელთა აღმოჩენისასაც აუცილებლად უნდა შევცვალოთ ფოტო ან გადავადოთ საერთოდ.

არ არის რეკომენდირებული ჭარბი მუქი ტონალობები როგორცაა მეწამული, ნაცრისფერი, შავი, ყავისფერი, ჭაობისფერი და ა.შ... მუქ ფერს მოაქვს სიმძიმე, დეპრესია და ეს ემოციები და გვართმევს ენერგიას. კარგად დააკვირდით სურათებს რაც გაქვთ, თუ მათში იგრძნობა ოდნავ მაინც ნეგატივი გაყიდეთ ან გადაადეთ ის. აარჩიეთ ნახატები, სადაც სიცოცხლე, სინათლე, კეთილშობილება, სილალე და სიხარულია.

## ქანდაკებები

ყველაფერი ნათქვამი ზემოტ ფერწერაზე, ვრცელდება ქანდაკებაზეც. თანამედროვე ხელოვნებაში ხშირად გვხვდება დამახინჯებული ფორმები, ადამიანის ორგანოები და კიდურები ცალ-ცალკე. ეს არ არის კარგი, ეს ანგრევს ჰარმონიას და არაა სასურველი სახლში. ნეგატიური ქანდაკებები ოჯახშიც შემოიტანს კონფლიქტს, როგორი დახვეწილი და ნატიფი ნამუშევარიც არ უნდა იყოს ის. არც ვიუსტები, ანუ მკერდზე მჭრილი თავის სკულპტურა არის სასურველი ფენ შუის მხიედვით. კარგად დააკვირდით ყველაფერს, როგორც ცალკე ორგანიზმს რა მოაქვს მას, რა ინფორმაციას ატარებს ის და რა სარგებლობას მოიტანს ოთახის და ოჯახის ენერგეტიკაში.





ბევრი კულტურები, იყენებენ სარიტუალოდ ნიღბებს, ნიტებს. როდესაც ადამიანი მოგზაურობს საზღვაგრეთ, კულტურულად განსხვავებულ ქვეყანაში, ზოგჯერ ჩამოიტანს ხოლმე სუვენირს. მაგრამ დააკვირდით რა ჩამოიტანეთ რეალურად. დიდი გრძელი ჭრელი ნიღბებები, გაურკვეველი პიროვნების მიერ გამოთლილი რატქმაუნდა არ არის კარგი.

თუ მაინცდამაინც გიზიდავთ სიმბოლიზმი და სხვადასხვა ქვეყნის კულტურული ხელოვნების ნიმუშები, აქცენტი გააკეთეთ პოზიტივზე. ნათელი, სიყვარულით სავსე ნივთები მიიტანეთ სახლში.

\*

სახლში ბევრი ნივთია რომელიც ჩვენზე შეუმჩნეველად ახდენს ზემოქმედებას და მათ შორის ნეგატიურსაც, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს ჯანმრთელობაზე ან ცხოვრების სხვა რომელიმე ასპექტზე. ამიტომ უნდა მივაქციოთ ყველა საგანს სათანადო ყურადღება.

ადამიანის სულიერი სიმშვიდის მდგომარეობაზე დამოკიდებული წარმატებები ცხოვრებაში, სამსახურში და პირად ცხოვრებაში.

აღსანიშნავი ისაა რომ, გარემოს ცუდი გავლენა ჩვენზე შეიძლება ზოგჯერ არც გამოვლინდეს უცაბედად შეგრძნებითი აღქმით, მაგალითად ფოტო არ მოგვწონა და სხვა მხარეს გავიხედეთ უკმაყოფილოდ. ამ ფოტოს ჩამოვირებთ კედლიდან, ეს წამიერი აღქმაა. მაგრამ არის საგნები რომელიც ასე აშკარად არ გვაღიზიანებენ, არამედ ქვეცნობიერი იმახსოვრებს მათ და დროთა განმავლობაში გამოავლენს თავს. წლების განმავლობაში იმახსოვრებს ქვეცნობიერი მათ ხატებს, მათზე ასოციებს, გძრნობებს და გვიან ავლენს თავს.

მიზეზები შეიძლება იყოს ის მარტივი საგნები რასაც ყოველდღე ვხედავთ სახლში ან სამსახურში. ეს შეიძლება იყო გაფუჭებული ონაკნიდან წვეთად გამდინარი წყალი, მოუხერხებელი სკამი ან დივანი, მახინჯი ხედი ფანჯრიდან, კარადის მორყეული კარი, უსიამოვნო ფოტო და ა.შ... ადამიანების უმრავლესობა ვერც კი წარმოიდგენს რომ ამ ყველაფერმა შეიძლება ცუდად იმოქმედოს და არც ფიქრობენ შეწინააღმდეგებას ან შეცვლას. შედეგად კი ვიღებთ აგრესიას, ნევროზს, დეპრესიას და წარუმატებლობას ცხოვრებაში...

საბედნიეროდ ჩვენს ხელშია ძალაუფლება მათზე და შეგვიძლია გავაუნებელვყოთ ისინი.

ფენ შუიში ამას უწოდებენ «საიდუმლო» ან «მოწამლული ისრების» ენერგიას.

მავნებელი ნივთების აღმოჩენა მარტივია, ესენია: მახვილპიანი, წვერიანი, გაფუჭებული, ჭუჭყიანი და ა.შ...

კარგად მიმოხედეთ თქვენს ოთახში, დააკვირდით რა გხვდებათ თვალში ცუდად. კარგად უნდა დაათვალიეროთ ყველა კუთხე, კედელი და თარო და მერწმუნეთ აღმოაჩენთ ისეთ ნივთებს რაც წლების განმავლობაში შეუმჩნეველი იყო თქვენთვის. შეძლებისდაგვარად მოიშორეთ ისინი სახლიდან ან შეალამაზეთ, შეგიძლიათ გადააფაროთ ნაჭერი კუთხოვან ავეჯს, გაწმინდოთ ძველი



დაქანგებული ვერცხლის ნივთი, თუ ბასრ კუთხოვანი საგანი გაქვთ ან შეინახეთ ან საერთოდ გადააგდეთ.

დაიმახსოვრეთ ფენ შუის მთავარი წესი: ყველაფერი რაც თქვენს გარშემოა, უნდა უხაროდეს თქვენს თვალს, იყოს მოსახერხებელი, გამოიწვიოს მხოლოდ სასიამოვნო გრძნობები. ხოლო ძველი «მოწამლული ისრებისგან» რომელიც ნეგატიურად მოქმედებდნენ განთავისუფლდით.

### გამონათქვამები

გავიხსენოთ რამდენიმე გამონათქვამი, რომელიც დაკავშირებულია სახლთან და გავშიფროთ ისინი ფენ შუის მიხედვით:

#### 1. ნუ დაჯდები კუთხეში

ვერ გათხოვდები გეუბნებიან? მხოლოდ ეს რომ იყოს, ფენ შუის მიხედვით ნებისმიერი კუთხე, მაგიდის, კარადის, ოთახის თუ სხვა იქნება იღებს მთელი ოთახის ნეგატიურ ენერჯიას და პირდაპირ უგზავნის კუთხეს, შესაბამისად ადამიანი ვინც კუთხეში მოხვდება მიიღებს მას.

#### 2. თავს კუთხეში ნუ მოაქცევინებ

სახლის კუთხე არის როგორც სახლის ენერჯო ვამპირი, ის ართმევს ენერჯიას ადამიანს. ამიტომაც არის წესი, რომ ცელქ ბავშვებს მასწავლებლები კუთხეში აყენებენ.

#### 3. არ ჩაიხედო გაბზარულ სარკეში

ფენ შუის მიხედვით, მავნებელია არა მარტო გაბზარული, გატეხილი, მოზაიკური სარკეში, არამედ მსუბუქად მოხატულში ჩახედვაც კი. სარკე რომელიც ირეკლავს ადამიანს მას უბრუნებს თავის დანაწევრებულ გამოსახულებას, რაც პირველ რიგში მოქმედებს ცუდად ენერგეტიკაზე და ქმნის ჯანმრთელობის პრობლემებს.

#### 4. კარის ზღურბლზე ნუ დაემშვიდობებით

ამბობენ იჩხუბებთ. ყველა შემთხვევაში კარი, ეს არის ადგილი რომელიც ყოფს ორ სამყაროს, სახლის და გარესამყაროს «ჩემს» და სხვის». ნივთებიც, ენერჯიაც შიგნით და გარეთ სხვადასხვაა. გაურკვეველი ადგილიდან ადამიანთან ენერგეტიკული კონტაქტი ტოვებს გაურკვეველ ემოციას ქვეცნობიერშიც. ამიტომაც გამოდის მეგობარი ზღუბლიდან გემშვიდობება, არაა კარგი.

#### 5. გაირბინე ცისარტყელის ქვეშ — ბედნიერი იქნები!

მათ, ვინც ფიზიკა ისწავლეს, ესმით რომ ეს შუამღებელია, მაგრამ ცისარტყელის დანახვაც კი ციური სამეფოს კარების დანახვის ნიშანია. ითვლება კარგ ნიშნად. ფენ შუი კი გვირჩევს «მოვიშინაურეთ» ცისარტყელა, და მოვიყვანოთ ის ჩვენს სახლში. შევქმნათ ხელონურად, განათებით, დავხატოთ ან ფანატია როგორც შემოგვტავაზებს, ეს ძალიან კარგი ფენ შუია! ყოველთვის როცა გავივლით მის ქვეშ, ჩვენ მივიღებთ ზეციურ დაცვას.

ზოგჯერ სახლში შესვლისას გვხდება წვრილი და გრძელი კორიდორები. ასეთ შემთხვევაში ნეგატიურ ენერგიას გასვლას, ხოლო დადებით შემოსვლას ხელს უშლის ასეთი განლაგება.

ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაფართოვოთ ვიზუალური ვალისთვის მაინც ოთახი, ამისთვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდები:


1. კედლები შევღებოთ ღია ფერებში.
2. თუ ბუნებრივი არ გვაქვს, ხელოვნური განათება უნდა იყოს მუდმივი და კორიდორი იყოს განათებული. ეს დადებითად იმოქმედებს თავად თქვენზეც და თქვენი პირადი ენერჯია ცის, გააქტიურებს.
3. კედელზე აუცილებელია ერთი დიდ სარკე ეს ვიცით, მაგრამ თუ სურვილი გვაქვს, ორივე მხარეს შეგვიძლია ისე ჩამოვკიდოთ სარკეები, რომ ერთმანეთს არ ირეკლავდნენ, ესეც გაწმენდს ნეგატივს და დაეხმარება დადებით ენერგიას ცირკულირებაში.
4. შეგიძლია კედელზე შექმნათ ვიტრაჟი, ფერადი შუშებისგან შემდგარი კომპოზიცია, ნახატი, შესაბამისი ჩარჩოთი რომელიც შექმნის ფანჯრის ილუზიას. ეს რათქმაუნდა თქვენი გემოვნებით ფერებით და რისი ყურებაც გესიამოვნებათ დღის განმავლობაში.

### ჯანმრთელი ძილი

ძველი ჩინური სწავლების მიხედვით, ადამიანის ცხოვრებაში, სახლში ყველაზე მნიშვნელოვანი ოთახი არის საძინებელი. რადგან ადამიანი თავისი ცხოვრების სამ მეოთხედს სწორედ იქ ატარებს, ისვენებს, ეთიშება გარესამყაროს, თავის საზრუნავებით და პრობლემებით და ისვენებს. იძინებს და იკრებს ძალებს ახალი დღისთვის.

ჯანმრთელი ძილი კი ეს ისაა რაც აუცილებელია ყველა ადამიანისთვის. ჩვენ ეპოქაში ეს ბევრისთვის ფუფუნებაა, სამუშაო გრაფიკის და სხვა სხვა ღამის გასართობების გადამკიდე, თუმცა გავიხსენოთ როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, თუნდაც ბებია-ბაბუები სოფელში. საშუალოდ ნებისმიერი ტანამედროვე ახლგაზრდა ინატრებდა იმ ენერჯიის ნახევარს რაც მათ ქონდათ, რომელნიც ღამით დაბნელებისას იძინებდნენ და მამლის ყვილთან ერთად დგებოდნენ. ეს არის სწორი ძილის გარიკი. ახლა კი ეს ზღაპარია სამწუხაროდ, ხოლო თუ გავითვალწინებთ რამდენად ირღვევა ჩვენი ჯანმრთელობა კომპიუტერთან ჯდომით, ნოუტბუკთან მშაობით და დროის და გარემოს არჯანსაღი მოწყობით უნდა გვიკვირდეს როგორ დავდივართ კიდევ ორ ფეხზე.

ამ გარემოში და პირობებში, საძინებელი ოთახი მაინც უნდა იყოს ჰარმონიული და მშვიდი, ადგილი სადაც დავისვენებთ, მოდით გავიგოთ როგორ რეკომენდაციებს გვაძლევს ფენ შუი საძინებლის მოსაწყობად.



1. საძინებლის ფენ-შუის მიხედვით მოწყობა დაიწყეთ დიდი დასუფთავებით! და კიდევ უფრო უკეთესი იქნება კოსმეტიკური დასუფთავებით. იზრუნეთ რომ არ იყოს კედელზე ახელი ქალაღი, ლაქები ან სხვაგვარი დაზიანება, თუნდაც წვრილმანი.
2. ჭალი უნდა იყოს სუფთა და ყველა ნათურა უნდა მუშაობდეს. თუ თქვენ მთელი დღეები მუშაობთ და არ გაქვთ დრო მის მოსავლელათ, მოიფიქრეთ სხვა გვარის ნათურების დაყენება საძინებელში. დამტვრილი ნათურები და მკვდარი მწერები რაც წლების მანძილზე გროვდება საძინებლის თავზე, არათუ არ მოგიტანთ კარგ ენერგიას, არამედ ნეგატიური შა ენერგიით აგავსებთ.
3. ამის შემდეგ ჩაატარეთ რევიზია კარადაში, სავარაუდოდ იქ მოიპოვება ბევრი ნივთი რასაც წლების განმავლობაში არ იყენებთ. ნუ დაგეგნანებათ გადაყაროთ ძველი უსარგებლო ნივთები.
4. თქვენი ძალისხმევა მიმართულია წარმატებისა და მატერილური უკეთესობისკენ. ამიტომ «შავი დღისთვის» გადანახვას რაიმე ტანსაცმლის ან თეთრეულის არ გირჩევთ, შეიძლება ის დღე არასოდეს დადგეს, ხოლო დიდიხანს ასეთი შენახული საგნების იმუხტებიან ნეგატიური ენერგიით.
5. საძინებელში არ უნდა იყოს ხუთხოვანი ტუმბოები ან სხვა ავეჯი, ყველა საგანს უნდა ქონდეს მომრგვალებული კუთხე.
6. საწოლი უნდა იდგას ისე კედელთან თავით, რომ ორივე მხრიდან იყოს საკმარისი ადგილი სამოდრაოდ.
7. სასურველია საწოლის წინ, ფეხების მხარეს, დედგათ პატარა რბილი სკამი.
8. ფანაჯარა რომლიდანაც შემოდის სინათლე, უნდა იყოს სუფთა. და დადგით ცოცხალი მცენარე ან გამოიყენეთ ქვები.

## ნახატები

როდესაც ადამიანს სახლში აქვს აუცილებელი და საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთები. ის უკვე ცდილობს გარშემო ფუფუნების ნივთებიც შემოიკრიბოს. ლამაზი დიდი კარგი ნახატი სრულიად ცვლის ოთახის აურას.

ნახატები ყველას სახლში მოიპოვება, ზოგი წინაპრების ნაქონი, ზოგი ნაჩუქარი, ზოგი ნაყიდი და ჩვენც შეჩვეულები ვართ მათ როგორც სახლის ნაწილებს, მაგრამ არის კი ეს ნახატები ჩვენთვის და ჩვენი მიზნებისთვის და ბედნიერებისთვის სასარგებლო? ეს უნდა კარგად გავარკვიოთ და თუ აღმოჩნდება რომ რომელიმე თუნდაც პატარა ნახატი არ ჯდება არც ჩვენს გემოვნებაში და არც მოაქვს სიხარული, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა ჩამოხსნათ კედლიდან, ჯობია ცარიელ კედელს ვუყუროთ ვიდრე გაურკვეველი აზრების და ენერგეტიკის მატარებელ ნახატს.

ნახატებს დიდი ძალა აქვთ, არის ნახატები რომლებიც კურნავენ, სიმბოლოები, არის ნახატები რომელთაც გინდება უყურო უსასრულო, რომელიც აღგაფრთოვანებს. არის ნახატები რომელშიც შენში სათუთ ნაზ ჰარმონიულ გრნობებს იწვევს. რათქმაუნდა ასევე არის ნახატებიც რომელიც შიშს გვგვრის, გვძაბავს და ა.შ... ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ რა ჩადო მხატვარმა ნახატში. მაგალითად ხატმწერები განსაკუთრებულად ემზადებიან, სანამ ხატვას დაიწყებენ დიდ ხანს ლოცულობენ და მიდიან შესაბამის განწყობამდე.

ფენ-შუის სწავლებით ნახატებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე. მთავარია ვიცოდეთ როგორ ავარჩიოთ და როგორ განვთავსოთ ისინი.

ასე რომ შემოიარეთ თქვენ სახლში ოთახები და დაათვალიერეთ კედლები:


პირველ რიგში ნახატი თქვენში აბსოლიტურ კმაყოფილებას და კარგ ემოციებს უნდა იწვევდეს.

თუ ესე არაა და რაღაც შფოთს იგრძნობთ ან დისკომფორტს, დააკვირდით რითი შეიძლება იყოს გამოწვეული, შეიძლება რაიმე ცუდ ასოციაციას გიჩენთ, ან ავტორთან, ან ვინც გაჩუქათ იმ ადამიანთან დაკავშირებით. შეიძლება ნახატი თქვენი ცხოვრების რომელიმე ნეგატიურ მოვლენას გახსენებდეთ.

ასეთი ნახატები თქვენ კედელზე არავითარ შემთხვევაში არ დატოვოთ, არ უნდა დაუშვათ თუნდაც უმნიშვნელო დეტალი რაც უარყოფით ემოციას მოგიტანთ. ასეთი ნივთი თქვენს სახლს და ვერც შიგ მაცხოვრებლებს, ვერაფერს კარგს ვერ მისცემთ.

#### ასე განიხილავს ნახატებს ფენ-შუი:

1. მთავარი პირობაა — ნახატი უნდა მოგწონდეთ!
2. ნახატზე არ უნდა იყოს რაიმე ნეგატიური, აგრესიული, უსიცოცხლო ან სიკვდილის პირას მყოფი. (თუ თქვენ მოგწონთ ზემოთ ჩამოთვლილი დახასიათებების მქონე გამოსახულებები, შეიცვალეთ წარმოდგენები! მიმართეთ ფსიქოლოგს! ეს მავნებელია ჯანმრთელობისთვის!)
3. ფენ-შუის თვალთ სახლში სადაც ცხოვრობენ, არაა სარგებლობის მომტანი აბსტრაქტული გამოსახულებები.
4. მოზარდებს განკუთრებით ბიჭებს, უყვართ ძლიერი ცხოველების, იარაღის, თავის ქალების პოსტერები. ეცადეთ რომ მსგავსი ყველაფერი მოაშოროთ სახლს, რადგან მსგავსი ხასიათის გამოსახულებების ყურება ზადებს აგრესიას და სამომავლოდ ხასიათში ცუდი ხასიათის შტრიხებიც წარმოჩინდება.
5. საძინებელ ოთახში ან იქ სადაც დიდ დროს ატარებთ, ნუ დაკიდავთ გარდაცვლილი ნათესავების ან გარდაცვლილი მსახიობების და დიდი ადამიანების ფოტოებს. (პრეზიდენტის, ფეხბურთელის და ა.შ). რადგან ისინი ატარებენ იმ ენერგიას. ყველაზე აუცილებელ შემთხვევაში შეგიძლიათ თქვენი კუმირის ფოტო დაკიდოთ კაბინეტში ან ოფისში.



6. ბევრს უყვარს გამხმარი ყვავილების, გამხმარი პეპლების ფიტულების ჩამოკიდება კედლებზე. ეს ცუდი ფენ-შუია, განსაკუთრებით საძინებელ ოთახში.
7. ხის ან ჩალისგან შექმნილი ნამუშევრები, მიუხედავად იმისა რომ გარდაცვლილი მცენარეებია მაინც სასრგებლოა სახლისთვის.
8. ძალიან კარგი და დადებითი ენერგეტიკა აქვს ქვებისგან შექმნილ კომპოზიციებს, სახლის ცენტრში ან სასუზმე მაგიდის თავზე მათი ჩამოკიდება ფენ-შუის მხიედვიტ რეკომენდირებულია.
9. თუ თქვენ გასურთ პარტნიორთან კარგი ურთიერთობა, არავითარ შემთხვევაში საძინებელ ოთახში არ დაკიდოთ მარტოსული ადამიანის ფოტო, ორი ქალი ფოტო, ან ორი მამაკაცის ფოტო.
10. საძინებელ ოთახში უნდა იყოს ნახატები რომელიც გამოსცემენ, სტაბილურობას ან სიმშვიდეს. კარგია ყვავილები, თუ გასურთ ურთიერთობების გადახალისება კარგია პიონები.
11. დიდი მწვანელობა აქვს იმას თუ როგორ გაჩუქეს თქვენ საჩუქარი, თუ ნახატი დაგიხატეს ან შეგიჩიეს სიყავრულით და მტელი გულით მაშინ ის დამუხტული იქნება ამ ენერგიით. ხოლო თუ ვირაცას არ უყვარხართ ან დაიკლო თავის თავისთვის და ისე მოგცათ ვალდებულების გამო, იქონიებს ნეგატიურ ენერგიას და გავლენას
12. არ ღირს შერჩოთ ნახატი ინტერიერის შესაფერისად, ფერით ან ზომით. მთავარია რა არის მასზე გამოსახული და ის რომ თქვენ მოგწონდეთ.

დიდი ძალა აქვს ფოტოსურათებს, შეიძლება დიდი და ლამაზი ბუნების პეიზაჟმა სრულიად შეცვალოს ოთახის აურა, რადგან მისი შემხედვარე შენში იღვიძებს იმ ბუნებასთან დაკავშირებული ყველა ემოცია.

გარდაცვლილი ადამიანის ფოტო რომ 40 დღეზე მეტი არ უნდა იყოს სახლში ესეც ცნობილია. ადამიანების გამოსახულებით ფოტოებს ფრთხილად უნდა შერჩევა, რადგან ყოველი შეხედვისაც ადამიანში ის ადამიანი მოქმედებს როგორც «ღუზა» ანუ როგორც მასტიმულირებელი ემოციებისა. გარდაცვლილის ფოტო რომ დიდხანს ეკიდოს და ყოველ შეხვედვაზე ადამიანს ახლობლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი გაახსენდეს, გააგრძელოს გლოვა ეს იქნება ნამდვილად არასწორი და არანაირად გამართლებული. ახლაგაზრდებს ახასიათებთ თავისი კუმირების პლაკტების გაკვრა, თუმცა ასაკიან ხალხშიც კი შეიძლება ზოგჯერ იყოს ფანატიზმის გამოვლინებები და «საბჭოთა კავშირის» ან რომელიმე რევოლუციის გმირების

ფოტოებით ქონდეს მოფენილი კედლები მთავარია რომ ადამიანი აცნობიერებდეს რა ფოტოს კიდევ კედელზე და იმ ფოტოსგან როგორი «ღუზის მოქმედებას» მიიღებს თავის თავზე ყოველდღიურად. გამართლებულია ცხოვრების ბედნიერი მოვლენების ამსახველი ფოტოები. ბავშვის დაბადება, მეგობრებთან ბედნიერი გატარებული დღე, შვილის წარმატება, უნივერსიტეტის დამთავრება, ან ქორწილი.



**ასეთივე ფრთხილი დამოკიდებულე:**

ბა უნდა გვეკონდეს უბრალო ნივთებთან რაც ჩანს და თვალის ხედვის არეალში მაინც ხვდება.

ფენ-შუიმ ჩვენდა საბედნიეროდ ეს ყველაფერი საუკუნეების წინ შეისწავლა და უკვე ჩამოაყალიბა ჩვენთვის სასარგებლო რჩევები და კანონები, რასაც თუ გავითვალისწინებთ საგრძნობად შეიცვლება გარემო, ამიტომ ყველა ადამიანისთვისაა სასურველი იცოდეს თუ რა გარემოში ცხოვრობს, და რა გარემოში აცხოვრებს მისთვის ძვირფას და საყვარელ ადამიანებს ვისზეც პასუხიმგებლობა აქვს და უნდა რომ ბედნიერად ყავდეს

## სარკე

სარკე რომ ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ნივთი არაა და აქვს რაღაც მისტიური ამას ყველა აღირებს, ზღაპრებიდან, მითებიდან თუ ფილმებიდან აქვთ ადამიანებს ინფორმაცია ამ საგანზე. მაგრამ ის თუ კონკრეტულად რა დანიშნულება აქვს, რა შეუძლია და როგორ უნდა გამოვიყენოთ ის სახლში, ჩვენთვის სასარგებლოდ ცოტამ თუ იცის.

სარკეს შეუძლია გასაოცარი ცვლილებები შეიტანოს ინტერიერში. გახადოს გარემო უფრო ჰარმონიული ან პირიქით შეიტანოს ქაოსი. ფენ-შუიში ის გამოიყენება დამატებითი დადებითი ენერჯის მოსაზიდად და ნეგატიური ცი ენერჯის დასაბლოკად შენობებში.

**ტაბუები:**

დასაწყისისთვის აღვნიშნოთ ტაბუები ფენ-შუიში ამ საგანთან დაკავშირებით.

1. პირველ რიგში გვახსოვდეს რომ, სარკე ყველაფერს აორმაგებს. ის რისი ენერჯიაც ირეკლება სარკეში ორმაგდება. თუ თქვენს სარკეში ირეკლება ეზო და ეზოშია ნაგვის ყუთი, ჩათვალეთ რომ თქვენს სახლშია ნაგვის ყუთი. თუ თქვენს სახლში არის ძველი გაცვეთილი კარი და ის ირეკლება სარკეში, ჩათვალეთ რომ თქვენს სახლში ორი ძველი კარია. ამიტომ ეცადეთ სარკეში აირეკლოს ლამაზი, თქვენთვის სასურველი და სასარგებლო ნივთები.
2. არავითარ შემთხვევაში სახლში არ შეიძლება გაბზარული ან გატეხილი სარკის გაჩერება, ის სასწრაფოდ უნდა გადავადოთ.
3. მოზაიკური სარკეებიც ასევე არასასურველია ფენ-შუის მიხედვით. დაყოფილი ან დანაწილებული სარკე არის ძალიან ცუდი საბაზანოში, ამაზე ცუდი მხოლოდ შეიძლება იყოს მოზაიკური სარკე სამინებელში.

4. იკრძალება სარკის ჩამოკიდება შესავლელი კარის პირდაპირ, ისევე როგორც ცოლ-ქმრის საძინებლის პირდაპირ, ჩათვალეთ რომ სარკე მდგარი საწოლის პირდაპირ ღალატის მაპროვოცირებელია.
5. თუ შემოსასვლელი კარის პირდაპირ იქნება ჩამოკიდებული სარკე, მაშინ შემომსვლელის ენერგია უბრუნდება თავად იმ ადამიანს. ჩვენი ამოცანაა კი არის ის რომ, მივიზიდოთ სახლში კარგი ენერგია.
6. ძალიან ცუდია ითვლება ფენ-შუის მხიედვით ერთმანეთის მაყურებელი სარკეები. ითვლება რომ ამ დროს ჩნდება სარკეებს შორის კორიდოდრი, რომელიც იწვევს დაბნეულობას, შიშებს და დეპრესიას.
7. სარკე რომელიც უყურებს სამუშაო მაგიდას, ენერგეტიკულად აორმაგებს სამუშაოს. თუ ასეთი სარკე არის ოფისში მაშინ შეამჩნევდით რომ უფროსი უფრო მეტ დროს ანდომებს მუშაობას და უფრო გვიან მიდის სახლში.
8. ითვლება რომ სარკეს აქვს მეხსიერება, მართალია არა ისეთი როგორც ადამიანებს, თავისებური. მაგრამ ეს არის ნივთი რომელის მეხსიერებაც და ენერგეტიკაც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს გარემოზე. ამიტომ ფრთხილად მოეკიდეთ თქვენს ოჯახში არსებულ ყველა სარკეს, დააკვირდით და ეხადეთ იგრძნოთ მისი ემოციები, თუ რა აქვს ყველაზე მეტად დამახსოვრებული. ძველ ანტიკვარულ სარკეებსაც დიდი მოფრთხილება უნდა, თუ თქვენ გენანებათ ავეჯი ან ჩარჩო რაშიცაა ჩასმული სარკე, მაშნ შეგიძლიათ გამოცვალოთ თავად სარკე.  
ყოველ შემთხვევაში კვირაში ერთხელ მაინც გაწმინდეთ ის მარილიანი სველი ნაჭრით ან ანთებული სანთლის გააკეთეთ გარშემო სამი წრე.
9. თუ თქვენს სახლში ხშირად არიან ადამიანები ვინც ჩხუბებენ და კამათობენ, მაშინ სარკე აუცილებლად მიიღებს ამ ენერგეტიკას თავის თავზე და მისი გაწმენდა საჭიროა ყოველ დღეც კი. შეგიძლიათ სარკესთან დაანთოთ სანთელი.
10. სასურველია რომ ოჯახში ერთი სარკე იყოს იმ ზომის, რომ მასში შეეძლოს ცახედვა და თავის სრულად დანახვა ყველა ოჯახის წევრს. მაგრამ არაა სახლში საჭირო ბევრი სარკე.

არის ბევრი ხერხი სარკესთან დაკავშირებით რითაც ზოგი ხედავს მომავალს, მკითხაობენ და ა.შ... მაგრამ თქვენ არ გჭირდებათ იყო მაგი, სავსებით საკმარისია იცოდეთ ელემენტარული ფენ-შუის წესები, რომ ეს მშვენიერი ნივთი გახადოთ სახლში «თქვენი» მეგობარი და მოკავშირე წარმატებისთვის.



## სახლი და სამუშაო გარემო

ძირითადად თანამედრვეობაში გამოიყენება ღიად და აქტიურად სახლის და სამუშაო გარემოს მოწყობის ფენ-შუი, მაგრამ აქ დავწერ რამდენიმე მარტივ რეკომენდაციას რჩევასაც თავად ადამიანისთვის, თავად ადამიანის შინაგანი სამყაროს ჰარმონიაში მოყვანისთვისაა კარგი, სხვანაირად აურის გასაწმენდად. რასაც გვასწავლის ფენ-შუი.

1. ჩაიხედეთ საკუთარ გულში, ნუ შეგეშინდებათ ამის. როდესაც ამას გადალახავთ გარესამყაროში სხვა ველაფერი შეგაშინებთ. ჩაიხედოთ საკუთარ გულში და იყავით მართალი თქვენს თავთან, ეს ერთადერთი გზაა შეიცნოთ, შეცვალოთ და განავითაროთ საკუთარი თავი.

2. მხრებში გასწორდით, გაშალეთ ხელისგულები, დახუჭეთ თვალები, კონცენტრირდით თქვენს «მე»-ზე, გაეთიშეთ გარესამყაროს ყველა გამოხატულებას, ასწიეთ ხელები მაღლა, თითქოს ელით რომ ვიღაცამ უნდა აგწიოთ და გულში ჩაგიკრათ. ეს საჭიროა სამყაროსთან ერთიანობის შესაგრძნობად.

3. წარმოიდგინედ თქვენი გულიდან, ფილტვებიდან და ხელისგულებიდან გასული ენერჯია, რომელიც ეხება და გასცდება ყველაფერს რაც გზაზე შეხვდება.

4. თქვენი შინაგანი ენერჯია გაგზავნეთ თქვენი სხეულიდან, სამყაროს ყველაზე მაღალ, მიუწვდომელ ადგილებში.

5. ხმამაღლა გაიმეორეთ სიტყვები: «მე მზად ვარ ნებისმიერი სახის დადებითი ცვლილებისთვის»

მთავარია გჯეროდეთ ამის, გახსოვდეთ რომ რისიც გჯერათ ის ახდება და იმას დაგიბრუნებთ სამყარო. გჯეროდეთ რომ შეგიძლიათ გახდეთ უსაზღვროდ უკეთესები და დაინახოთ სამყარო ჰარმონიულად და იცხოვროთ ჰარმონიაში, შეიცნოთ მისი ჰარმონიულობა უფრო ღრმად და დატბედ მისით. გჯეროდეთ და იყავით მზად ცვილელებისთვის უკეთესობისკენ.

## გარემოს ზემოქმედება

ადამიანზე მოქმედებს ყველნაირი გარემო სადაც არ უნდა მოხვდეს იგი. ქუჩა, ბუნება, მეგობრის სახლი, მუზემი, სასწალებელი თუ სხვა ნებისმიერი ადგილი. ამას ყველა ადამიანი გრძნობს, მაგრამ ზუგჯერ გაცნობიერება და ახსნა არ შეუძლია რატომ.

ყველაზე დიდ დროს ადამიანი ატარებს სახლში, თუ არ ატარებს მის ცნობიერებაში სახლი მაინც ძირითადი საყრდენია და პირველი ყველაზე ახლო სამყაროა რასაც ის ეხება თავისი აღქმით. და გასაგებია რომ, სწორად სახლი თავისი ავეჯით, ნივთებით, იმ ენერჯიებით რასაც ეს ნივთები გასცემენ მოქმედებს ადამიანზე. კედლებიც კი, ცნობილი ფრაზებია «კედლებს ყურები აქვსო...», »კედლებს რომ ლაპარაკი შეეძლოთო«. სინამდვილეში ეს ლოგიკას მოკლებული გამონათქვამები არაა, სწორედ კედლები არიან მიმღებნი და შემნახავი იმ

ადამიანების ენერჯის და ემოციებით გაცემული ენერჯების რასაც მასში მცხოვრებდნი გასცემენ.

არის სახლები რომელშიც სიმშვიდეა და სიმყუდროვე, არის სახლები სადაც მძიმე აურაა და იქ დიდხანს ვერ ჩერდება ადამიანი. ამ სახლის აურას ქმნიან ადამიანები, მაგრამ იმას უკვე ვეღარ ფიქრობენ რომ ეს შექმნილი აურა ყველაზე იმოქმედებს ვინც მათ სახლში აღმოჩნდება, სინამდვილეში კი ეს ასეა.

ხდება ხოლმე როდესაც ოჯახი გაყიდის სახლს და გადავა სხვაგან, მათი ცხოვრება მოულოდნელად იცვლება, უკეთესობისკენ და უარესობისკენ. «სახლის გამოცვლამ, ბედის გახსნა იცისო» არის გამონათქვამიც. უძველესი დროიდან ეს ცოდნა ადამიანებს აქვთ, და ახლა ნახევრად ხუმრობით მაინც ამბობენ ხოლმე. ბევრ ადამიანს აქვს ბებიისგან და წინაპრებისგან ბუნებრივად ნაწავლი ზოგიერთი ფენ-შუის წესი, თითქოს არც ახსოვს საიდან იცის, იცის და იქცევა ინტუიციით ასე. მაგრამ რომ გააცნობიეროს და თავად განსაზღვროს რა სად და როგორ ჯობია გააკეთოს ძალიან კარგი იქნება.

ფენ-შუის მიხედვით ადამიანმა სახლში, ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეცვალოს ავეჯი და განაახლოს ინტერიერი. გამოცდილებით ამის გაკეთება ნამდვილად კარგად და განმაახლებლად მოქმედებს ოჯახის წევრებზეც.

კედლები და ავეჯი, ეს დიდი და მასიური საგნებია, მაგრამ მათ გარდა, წვრილმანებიც მოქმედებენ და რაც მეტ დეტალს დავაკვირდებით და აღმოვაჩინთ სალში ზედმეტს, ან დავატებთ სასურველს უკეთესი იქნება.

ახლა კი უფრო ზუსტად ვთქვათ, როგორ მოქმედებს სახლში არსებული ნივთები ადამიანზე. ფსიქოლოგია არის მეცნიერება სულის შესახებ, მე ვფიქრობ ეს არ უნდა იყოს შორს ფენ-შუისგან და ამიტომ გამოვიყენებ ერთ ფსიქოლოგიურ ტერმინს, რომელსაც «ლუნას» უწოდებენ, ანუ მასტიმულირებელს რაც ადამიანის ქვეცნობიერში აღწევს თავად ადამიანის მიერ გაუცნობიერებლად და მოქმედებს მასზე. ეს არის დიდი და რთული სისტემა, მაგრამ შეგვიძლია წარმოვდგენა როგორ მუშაობს.

ყოველი ნივთის აღქმის აქტივაზიციის მომენტში ირთვება და გააქტიურდება ის ყველაფერი რასთანაც ეს საგანი ასოცირდება. მაგალითად იასამნის სურნელი და ფერი ასოცირდება კარგთან, სასიამოვნოსთან, სასიხარულოსთან გაზაფხულთან. დამჭკნარი და უსუნო გაფუჭებული ყვავილი კი ნეგატიურთან. გამარჯვებისას მოპოვებული თასი ან მედალი იმ გამარჯვებას და სიამაყეს, წარმატების გრძნობას გვახსენებს რაც იმ მომენტში განვიცადეთ. დაჟანგებული და გამოუყენებელი, დიდი ხნის «გადასგდები» ჩაიდან კი, რომელიც არავის სჭირდება და მხოლოდ მეპატრონის სიზარმაცის გამო ტყუილად იკავებს ადგილს, ბუნებრივია რომ ცუდად იმოქმედებს.



აშო



# საუბრები იესოზე

## საუბრები იესოს იგავების შესახებ<sup>1</sup>



იოანეს სახარება — თავი პირველი:

- <sup>1</sup> დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი.
- <sup>2</sup> ის იყო დასაბამიდან ღმერთთან.
- <sup>3</sup> ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა.
- <sup>4</sup> მასში იყო სიცოცხლე, და სიცოცხლე იყო ნათელი კაცთა.
- <sup>5</sup> ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიგვა იგი.
- <sup>6</sup> იყო კაცი, მოვლინებული ღვთისგან; სახელი მისი იყო იოანე.
- <sup>7</sup> იგი მოვიდა დასამოწმებლად, რათა დაემოწმებინა ნათლის შესახებ, რათა ყველას ერწმუნა მისი მეშვეობით.
- <sup>8</sup> არ იყო ის ნათელი, არამედ რათა ემოწმებინა ნათლისათვის.
- <sup>9</sup> იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად.
- <sup>10</sup> ამ ქვეყნად იყო და ქვეყანა მის მიერ შეიქმნა, და ქვეყანამ ვერ იცნო იგი.
- <sup>11</sup> თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ შეიწყნარეს.
- <sup>12</sup> ხოლო ყველას, ვინც შეიწყნარა იგი, მისცა ხელმწიფება ღმრთის შვილებად წოდებულიყვნენ; ყველას, ვისაც სწამს მისი სახელი;

<sup>1</sup> Existence ([www.esoteric.ge](http://www.esoteric.ge)).



- <sup>13</sup> და ვინც არა სისხლისაგან, არა ხორცის ნებისაგან, არა მამაკაცის ნებისაგან, არამედ ღმრთისაგან იშვნენ.
- <sup>14</sup> სიტყვა ხორცად იქცა და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით სავსე. და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება მხოლოდშობილისა მამის მიერ.
- <sup>15</sup> იოანე მოწმობს მისთვის და ღალადით ამბობს: ეს არის იგი, ვისთვისაც ვთქვი: ჩემს შემდეგ მომავალი ჩემი წინამორბედია, ვინაიდან ჩემზე უწინარეს იყო.
- <sup>16</sup> და მისი სავსებისგან ყველამ მივიღეთ მადლი მადლისა წილ.
- <sup>17</sup> რადგან რჯული მოსეს მიერ მოგვეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მიერ იქმნა.

მე მინდა ვილაპარაკო ქრისტეზე მაგრამ არა ქრისტიანობაზე. ქრისტიანობას არაფერი აქვს საერთო ქრისტესთან. ფაქტიურად ის ისევე წინააღმდეგია ქრისტესი როგორც ბუდიზმი ბუდასი ან ჯაინიზმი მაჰავირასი. ქრისტე თავისთავადაა რაღაც ისეთი, რომლის ორგანიზებაც არ შეიძლება: მისი არსია ბუნტი და ეს ბუნტი შეუძლებელია იყოს ორგანიზებული. იმწუთში როდესაც იქნება ამის მცდელობა თქვენ მოკლავთ მას. შემდეგ დარჩება უბრალოდ გვამი რომელსაც შეგეძლებათ ეთაყვანოთ მაგრამ ის უკვე ვეღარ მოახერხებს თქვენს შეცვლას. თქვენ ათრევთ თქვენს ტვირთს საუკუნიდან საუკუნემდე მაგრამ ის მხოლოდ დაგამძიმებთ და ვარ გაგანთავისუფლებთ.

ამიტომაც დაე დასაწყისიდანვე ყველაფერი იყოს აბსოლუტურად ნათელი: მე მთლიანად და ტოტალურად ქრისტესთან ვარ ხოლო ჩემი თუნდაც უმცირესი ნაწილაკიც კი არ არის ქრისტიანობაში.

თუ თქვენ გსურთ ქრისტე, მოგიწევთ აღმოჩნდეთ ქრისტიანობის მიღმა და თუ ძალიან ეჭიდებით ქრისტიანობას, ვერ მოახერხებთ მის გაგებას იგი ყოველგვარ ეკლესიაზე მეტია. ქრისტე არის მთლიანი არსი რელიგიის, მასში რეალიზდება კაცობრიობის მთელი მისწრაფება, ის იშვიათი სინთეზია.

ჩვეულებრივ ადამიანი ცხოვრობს აგონიაში, ფორიაქში და ტკივილში ამიტომაც თუ თქვენ შეხედავთ კრიშნას ნახავთ რომ, ის სულ სხვა პოლუსს მიეკუთვნება, ის ცხოვრობს ექსტაზში აქ არ არის არანაირი აგონია ყოველგვარი ტანჯვა მასთან ქრება. თქვენ შეიყვარებთ მას, გარკვეული დროის მონაკვეთში იცეკვებთ კიდევ მასთან ერთად მაგრამ თქვენს შორის ვერ წარმოიშვება ხიდი. ის ექსტაზშია თქვენ კი აგონიაში სად შეიძლება იყოს ხიდი?

ბუდასთან კიდევ უფრო რთულდება სიტუაცია. ის არც ტანჯვაშია და არც ექსტაზში ის მთლიანად გარინდულია და მშვიდი. ის ისე შორსაა რომ, დანახვა კი შეიძლება მაგრამ დაჯერება რომ, საერთოდ არსებობს ძალიან ძნელი. ის ჩანს როგორც მითი, საკრალური სურვილი მთელი კაცობრიობის. როგორ შეიძლება ესეთი ადამიანი დადიოდეს დედამიწაზე რომლმაც გადალახა ტანჯვაც და ექსტაზიც? ის ძალიან შორს არის თქვენგან.



იესო! აი კულმინაცია ყოველგვარი მოლოდინის იგი ისევე განიცდის როგორც თქვენ, ზუსტად ისევე როგორც ნებისმიერი დაბადებული ადამიანი, ის იტანჯება ჯვარზე და ასევე ისეთივე ექსტაზშია როგორშიც იყო კრიშნა მაგრამ არის მომენტები როდესაც სულ უფრო და უფრო უახლოვდებით მას და ხედავთ რომ, მისი შინაგანი არსება არც ჯვარია და არც ექსტაზი არამედ ტრანსცედენტაცია, გადალახვა ამ ყოველივის.

ამაშია სწორედ იესოს სილამაზე: არსებობს ხიდი თქვენსა და მას შორის! თქვენ შეგიძლიათ ნელ ნელა მიუახლოვდეთ და მას კი შეუძლია მიგიყვანოთ შეუცნობელთან ისე რომ, ვერც კი შეამჩნევთ ზუსტად როდის გადახვედით საზღვარს სადაც იწყება ღმერთი.

თქვენ შეგწევთ უნარი ენდოთ მას, ის ხომ ესე გგავთ თქვენ და თან არ გგავთ, მასში თქვენი ტანჯვის ნაწილიცაა და სწორედ ამიტომ შეგიძლიათ გაიგოთ მისი ენა.

აი რატომ გახდა იესო კაცობრიობის ისტორიის ნიშანსვეტი, შემთხვევით არ არის რომ, მისი დაბადება ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღია. ეს ესეც უნდა იყოს. ქრისტემდე სხვა სამყაროა და მას შემდეგ სრულიად სხვა. ის არის დემარკაციის ხაზი კაცობრიობის ცნობიერებაში. არსებობს უამრავი კალენდარი, უამრავი თარიღის გამომთვლელი სისტემა, მაგრამ სწორედ ის კალენდარი რომელიც ეფუძნება ქრისტეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. რაღაც შეიცვალა ადამიანში მის გამოჩენასთან ერთად. მასთან ერთად რაღაც ახალმა შემოაღწია დედამიწაზე.

ბუდა სრულყოფილია, მაგრამ ის თითქოს არ ეკუთვნის ამ სამყაროს, კრიშნა შეიძლება გიყვარდეთ მაგრამ არ არსებობს ხიდი თქვენს შორის. იესო კი თავადაა ხიდი!

სწორედ აქედან გამომდინარე მე გადავწყვიტე ვილაპარაკო ქრისტეზე.

მაგრამ არ დაგავიწყდეთ რომ, მე არ ვლაპარაკობ ქრისტიანობაზე. ეკლესია ყოველთვის იესოს წინააღმდეგაა მომართული. როდესაც ორგანიზებას გაუკეთებთ ბუნტს ეს ესეც უნდა მოხდეს მან უნდა განიცადოს კრაზი. ბუნტი მხოლოდ მანამდეა ჭეშმარიტი სანამ ის არის ქაოსი როგორც ქარიშხალი, შესაძლებელია კი ქარიშხლის მოწესრიგება?

იესოსთან ერთად ქაოსი იჭრება ადამიანის ცნობიერებაში, ამიერიდან წესრიგი ვეღარ დამყარდება გარედან საზოგადოების მიერ, თქვენი შინაგანი წესრიგი თქვენვე უნდა შექმნად. იესომ შემოიტანა თქვენში ქარიშხალი ეხლა თქვენ უნდა დაიბადოთ ამ ქაოსიდან სრულიად ახალი, წესრიგი რომელიც დამყარდება თქვენი არსების ცენტრიდან არ იქნება ახალი ეკლესია, არამედ ახალი ადამიანი, ახალი ცნობიერება და არა ახალი ორგანიზაცია — ეს არის სწორედ აღმოჩენა.

სიტყვები იოანეს სახარებიდან ალბათ რადენჯერ გექნებათ ნანახი! რადენჯერ მოსმენილი! ისინი გახდნენ თითქმის არაფრის მომცემნი უკვე ტრივიალურნიც. იმდეკჯერ იმეორებდნენ მათ რომ, მათი მოსმენისას უკვე აღარანაირი ზარი აღარ რეკავს თქვენში, მათი არსი დაკარგულია, მაგრამ თუ იქნებით ცოტათი მაინც



ფხიზლად, ცოტათი უფრო მეტად ცნობიერი მათი მნიშვნელობა ისევ შეიძლება იქნას დაბრუნებული, აქ კოლოსალური პოტენციალია მაგრამ მათთვის ისევე უნდა ვიბრძოლოდ როგორი ბრძოლითაც ზღვას ართმევენ ხმელეთს. ქრისტიანობამ გაახვია ეს საოცარი სიტყვები იმდენნაირი ინტერპრეტაციის საბურველში რომ, მათი პირველადი სისუფთავე დაიკარგა მღვდელმსახურების ბაგეებში. ისინი იმეორებენ როგორც თუთიყუშები ისე რომ არც ესმით და არც თრთიან ამ სიტყვების სიწმინდით. როგორც მექანიკური რობოტები მხოლოდ იმეორებენ სიტყვებს როდესაც მათი ჟესტებიც კი არ არის ნამდვილი ესეც კი ნასწავლია.

ერთხელაც მე ვიყავი მიწვეული ინდოეთის ერთ ერთ ყველაზე დიდ ქრისტიანულ საღვთისმეტყველო კოლეჯში, ყოველ წელიწადს უამრავი მღვდელმსახური თუ ქრისტიანი მისიონერი ამთავრებს მას და როდესაც მათვალისწინებდნენ იქაურობას გაკვირვებული დავრჩი, იქ ასწავლიდნენ მათ ყველაფერს, როგორ ელაპარაკათ, როგორ მდგარიყვნენ საეკლესიო კათედრაზე, რაზე გაეკეთებინად აქცენტები, როგორი ჟესტიკულირება ქონოდათ ქადაგებისას — ეს ყველაფერი ნასწავლი უნდაყოფილიყო მათთვის! ზუსტად ესე იქცევა ყველაფერი ფარსად, თითოეული გამოიმუშავებს მხოლოდ ყალბ ჟესტიკულირებას.

სახარების ეს სიტყვები არის როგორც ცეცხლი, მხოლოდ მრავალსაუკუნოვანი თუთიყუშებრივი გამეორებებით ეს ცეცხლი დაიფარა ბევრი მტვრით. მე შევეცდები კვლავ გავაღვიო იგი. იყავით ძალიან ყურადღებით რადგან ეხლა ჩვენ შევუდგებით ოდითგანვე ცნობილ გზას სრულიად უცნობი თვალთახედვით. ჩვენ შევაბიჯებთ ზალზედ ნაცნობ ტერიტორიაზე საერთოდ ახალი დამოკიდებულებით მის მიმართ. ჩემი მცდელობა იქნება რომ მოგვით სრულებით ახალი ცნობიერება მის შესამჩნევად. მე გათხოვებთ ჩემ თვალებს რომ დაინახოთ ძველი ახლებურად, ახალი თვალებით თქვენთვის ყველაფერი იქნება ახალი, ისმინეთ:

*დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი*  
უპანიშადები ისმის როგორც სუსტი ხმა, ვედები ფერმკრთალდება აქ:  
დასაწყისში იყო სიტყვა!

მაგრამ რას გულისხმობს სახარება: «დასაწყისში»? ქრისტიანობა ინტერპრეტირებდა მას თითქოს და მართლაც იყო რაღაც დასაწყისი. ისინი იყენებდნენ ამ სიტყვას: «დასაწყისში», როგორც აღმნიშვნელს რაღაცის დროში დაწყების.

მაგრამ დროის გარეშე როგორ შეიძლება იყოს რაღაცის დასაწყისი, ამისთვის პირველ რიგში დრო უნდა არსებობდეს და თუ მანამდე არ არსებობდა დრო მაშინ რას უნდა ნიშნავდეს ეს?

«დასაწყისში» ეს თავად არის დროის ნაწილი და ის ვერ იქნება დროზე ადრე, ამიტომ «დასაწყისში» არ ნიშნავს რომ, ერთხელაც ღმერთმა შექმნა ყველაფერი. ეს აბსოლუტური სიბრიყვეა. არ შეიძლება იყოს საერთო დასაწყისი, დასაწყისი საერთოდაც არ ყოფილა ისევე როგორც ვერ იქნება საერთო დასასრული. ღმერთი





თუ მუდმივია მისი შემოქმედებითი ძალაც მუდმივია, ეს იყო ასე და ასევე დარჩება მუდამ.

ამ სიტყვის ირგვლივ «დასაწყისში» ასწლეულობის განმავლობაში მიმდინარეობდა უამრავი კამათი. არსებობდნენ სასულიერო პირები რომლებიც ცდილობდნენ კიდევ დაედგინათ ზუსტი დრო: ქრისტეს შობამდე ოთხი ათას ოთხი წლის წინ რომელიღაც ორშაბათს შეიქმნა სამყარო! და რას აკეთებდა ღმერთი მანამდე? საერთოდ არაფერს? მაშინ რატომ მოხდა რომ ერთხელაც, განსაზღვრულ დროს, მან დაიწყო მისი შემოქმედება?

ეს რჩებოდა პრობლემად მაგრამ პრობლემა წარმოიშვა სწორედ რომ არასწორი ინტერპრეტაციით. არა! სიტყვა «დასაწყისში» ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმაა, თხრობის დაწყების საშუალება. სახარება სადღაც უნდა დაწყებულიყო. სიცოცხლე მარადიულია ის არასდროს არსად არ დაწყებულა მაგრამ ნებისმიერ წმინდა წერილს აქვს დასაწყისი. ამისთვის უნდა შეირჩეს სიტყვა და ვერ მოინახებოდა უკეთესი ვიდრე «დასაწყისში», «დასაწყისში» ეს უბრალოდ ნიშნავს რომ ჩვენ არ ვიცით როდის.

სულ თავიდანვე თუ საერთოდ ქონდა მას ოდესმე თავი, ღმერთი იყო როგორც შემოქმედებითი ძალა, შეიძლება ასეც ითქვას: ღმერთი ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ქმნადობას ამიტომ თქვენ შეგიძლიათ საერთოდაც დაივიწყოთ სიტყვა ღმერთი, სახარებაც კი იწყებს თხრობას მის გარეშე: «დასაწყისში იყო სიტყვა».

*დასაწყისში იყო სიტყვა*

რა სიტყვაზე არის აქ ლაპარაკი? რას ნიშნავს ეს «სიტყვა»?

მან ვინც შეიცნო ჭეშმარიტება, კარგად იცის რომ უაზრობაა დაერქვას რაიმე სახელი ღმერთს. არ არსებობს ამისთვის სახელები, განსაზღვრებები, ყოველი სიტყვა უსუსურია რადგან არცერთ მათგანს არ შეუძლია მოიცვას მთელი.

აქაც «სიტყვა» მხოლოდ ხერხია, სტილისტიკური ფორმა მისანიშნებლად გამოუთქმელის დეფინიციის არარსებობის.

იუდაიზმა რომელიც წინ უძღოდა იესოს და რომლის სულის განვითარების მწვერვალზე თავად იგი იყო... რათქმაუნდა უარყო ქრისტე, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა, ხშირად ხდება ასე, ერთი რომელიც ცხოვრობს თქვენს შორის საკუთარ თავში ახდენს მთელი მისი ერის სულიერ თვითრეალიზებას, მაგრამ ეს თვითრეალიზება იმდენად უსაზღვროა იმდენად დიდი და თქვენ ისე დაბლა ხართ მასთან შედარებით რომ, უარს ამბობთ მასზე და ავტომატურად ხდებით მისი წინააღმდეგი.

იუდეველები ასწლეულობის მანძილზე ელოდნენ ამ ადამიანს — ნახეთ ირონია, ისინი ასწლეულობის განმავლობაში ელოდნენ რომ გამოჩნდებოდა იგი. მთელი მათი იმედები იყო დამყარებული ამ კაცზე, რომელიც შეცვლიდა მათ ყოფას და დააფუძნებდა ღვთის სასუფეველს მიწაზე მათვის. შემდეგ უეცრად ჩნდება ის და სწორედ მათ ვინც მას ასე ელოდა არ შეუძლიათ იწამონ, არ ენდობიან. რა მოხდა?





ისინი ძალიან იყვნენ გართულნი საკუთარ მოლოდინებში «თუ ეს სწორედ ის ადამიანია, ჩვენ რა უნდა ვქნათ?» მაშინ მოვიდა დრო როდესაც ეს მოლოდინები უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მათ უკვე იმდენ ხანს უცადეს რომ არაფერს გარდა მოლოდინისა აღარ აკეთებდნენ. რელიგიურ ასპექტში ფაქტიურად ეს იყო მათი ყველაფერი, ისინი ელოდნენ ღვთის შვილს. ეხლა კი უცბად ეს კაცი ჩნდება და იძახის: «აი მე აქ ვარ».

და იმის მაგივრად რომ, გაჰყვნენ მას, მათ ურჩევნიათ ისევ დაიმაღონ მოლოდინების მიღმა... რადგან ერთი მზერაც კი ამ ადამიანის ნიშნავს დასასრულს. ამის შემდეგ უკვე აღარაფერი რჩება რასაც უნდა ელოდონ. მომავლის იმედით ცხოვრებას ბოლო ედება. ეს კაცი გვაბრუნებს აწმყოში! ეს უკვე მეტის მეტია!

ძველი ცნობიერება გახდა ტყვე საკუთარი მოლოდინების, საკუთარი ტანჯვის და იმადგაცრუების.

ესე ხდება: როდესაც დიდხანს ავადმყოფობ ნელ ნელა ერწყმები შენს დაავადებას და შემდეგ გეშინია კიდევ გამოჯამრთლების. შენ გაშინებს ის რომ, მოგიწევს დაბრუნება შენს ადგილას. ორი წელი გამოთიშული იყავი, მიეცი თავს საშუალება დაგესვენა, ამაზე მეტიც შენ გითანაგრძნობდნენ კიდევ, ამით შენ გახდი ცენტრი შენი ოჯახის, მეგობრების. ყველანი იყვნენ თითქოს უფრო კეთილგანწყობილნი შენს მიმართ.

ახლა კი ისევ გიწევს დაუბრუნდე შენს უხემ, მკაცრ რეალობას და ტვინს თავზარი სცემს ამის გამო, მას ისევ უკან დახევა უნდა.

თუ ერი ძალიან დიდი ხნის მოლოდინის რეჟიმშია — იუდეველები ესეც იყვნენ... ისინი ეხლაც კი ელოდებიან, ადამიანი უკვე მოვიდა და წავიდა კიდევ, მაგრამ მათ ეს პროცესი აქციეს საკუთარ ლოცვად. სინაგოგები მეტი არაფერია თუ არა მესიის მოლოდინის დარბაზები სადაც იგი აუცილებლად მივა. მაგრამ ის უკვე იყო მანდ!


მე გეუბნებით თქვენ: თუ იესო კვლავ მოვა, რაშიც ეჭვი მეპარება რომ იგივე შეცდომა დაუშვას მან, — თუ ის კვლავ მოვა, ზუსტად იგივე შიშებით რომ მათ მოუწევთ დატოვება ციხის რომელიც უკვე კარგად მორთულ სახლად იქცა და გამოსვლა ხიფათებით სავსე ღია ცის ქვეშ უარს იტყვიან მასზე. გარეთ ხომ ხან მზე ანათებს და ხანაც თქეში წვიმაა, ხან ცხელა და ხან ძალიან ცივა — აქ დაუცველნი ხართ მათ კი თავი აქვთ შეფარებული მშვიდად.







საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია



ქეთევან ხუციშვილი

## წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები საქართველოში<sup>1</sup>

ქართველთა ძირითადი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია; არიან სუნიტიმუსლიმები (აჭარელთა და ინგილოთა ერთი ნაწილი, თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოში — ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველები) და კათოლიკეები. საკმაო რაოდენობით იყვნენ მონოფიზიტი ქართველებიც.

ამავე დროს, დღემდე შემორჩენილი უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი. ენოლითის და ბრინჯაოს ხანის საოჯახო და საკულტო ნივთების ფრაგმენტებზე გამოსახულია ასტრალური ნიშნები, გეომეტრული ფიგურები და გამოსახულებები. ამ პერიოდიდანვე შემორჩენილი დაკრძალვის სხვადასხვა ტიპი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოში დადასტურებულია მიცვალებულის მიწაში დაკრძალვის სხვადასხვა წესი: ორმოსამარხები, ქვაყუთები, კრამიტსამარხები, ეტლზე, კვერზე და ქვევრში დაკრძალვა, მთლიანნაკვეთი სარკოფაგები, აკლდემები, კოლხეთში გავრცელებული იყო მიცვალებულის ჰაერზე დაკრძალვის წესიც. გვხვდება, აგრეთვე, მეორადი დაკრძალვის წესი. ზემოთქმული იმქვეყნიური სამყაროს შესახებ რთული წარმოდგენების არსებობაზე მიუთითებს.


ქართველების კოსმოგონიური სისტემა (შეხედულებები სამყაროს აგებულებისა და შექმნის შესახებ) საკმაოდ განსხვავებულია იმ შუმერულ-ბაბილონური სისტემისაგან, რომელთანაც არის დაკავშირებული ბიბლიური ტრადიცია. ქართველებს ქრისტიანობამდე საკუთარი ყველასაგან განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ სამყაროს მოწყობაზე. სამყარო (ანუ ხილული, მყარი მატერია) გეომეტრიულად წარმოდგენილი იყო კოსმოსში განფენილი სფეროს სახით, რომელიც შემოსაზღვრული იყო ზღვით ან მთებით, ქვეყნის დასასრულს იდგა სიცოცხლის ხე (ბოძი, კოშკი, რქები, ციდან დაშვებული ჯაჭვი და სხვ.), რომელიც აერთებდა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სამყაროს, სფერო შედგებოდა სამი ჰორიზონტალური და ორი ვერტიკალური ფენისაგან, რომლებიც შემდეგნაირად იყვნენ განლაგებული: სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა შუასკნელი (მიწის ზედაპირის ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა სამყარო, შეესატყვისება წითელი ფერი), მის ზევით განფენილი იყო ზესკნელი (ზეციური, ღმერთისა და ღვთისშვილების სამყარო, ფერად თეთრი), ქვევით — ქვესკნელი (მიწისქვეშეთი, გარდაცვლილების, ქტონიური სამყარო, შავი ფერის), წინ — წინასკნელი (ნათელი, ბარაქიანი სამყარო, შეესატყვისება «აქ» გაგებას, ამასთან იგი ადამიანთა წინ განფენილი მომავლის სამყაროა) და უკან — უკანასკნელი (წარსულის სამყაროა, ბნელი, საიდუმლო, მოულოდნელობებითა და ფათერაკებით სავსე «იქ» არის, ამის

<sup>1</sup> მასალა აღებულია წიგნიდან: «საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია», თბილისი, 2010 წ.



გამო ბევრი წეს-ჩვეულების შესრულებისას იკრძალება უკან მიხედვა). ვერტიკალური სამყაროები ერთმანეთისგან გამოყოფილია ჰაერით და მიწით, ჰორიზონტალური კი შვიდი (ცხრა) მთით ან ზღვით. ეს სისტემა შემოსაზღვრული იყო გარესკნელით. ერთი სკნელიდან მეორეში გადასვლა ღვთაებებს ან გმირებს ან ნახევარღმერთებს შეეძლოთ, ადამიანი ამას მხოლოდ ღვთის ნებით დროებით ან სამუდამოდ სახეცვალების (გარდაცვალების) შედეგად ახერხებდა. სიცოცხლის ხის გარდა სამყაროებს შორის დაკავშირება შესაძლებელი იყო სასწაულმოქმედი, ფანტასტიკური არსებების (ცხენი, არწივი, ცხვარი, ფასკუნჯი და სხვ.) მეშვეობით.

ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის საფუძველზე იკვთება ფერთა სამწევრიანი სისტემა (თეთრი, შავი და წითელი ფერები). სულხან-საბას ქართულ ლექსიკონში სიტყვა ფერის განმარტებისას ამ ფერებზეა აქცენტი გაკეთებული და იგი ახსნილია შემდეგნაირად: «თეთრი, წითელი, შავი და მისთანანი». თეთრი, შავი და წითელი ფერებია არსებითი, აგრეთვე, ქართული ხალხური პოეზიის, ზღაპრებისა და მაგიური ტექსტებისათვის (წყაროს). საერთოდ, მთელი კაცობრიობისათვის უნივერსალურად ითვლება ფერთა სამწევრა კლასიფიკაცია და თეთრი-წითელი და შავი ფერების პირველადობა ადამიანის სხეულებრივი გამოცდილებით იხსნება (ტერნერი, 1983). თეთრი ფერის სინონიმებად ქართულში იხმარება ტერმინები — სპეტაკი, გაქათქათებული, ცივათ თეთრი, მთლად თეთრი, უნიშნოდ თეთრი (ნეიმანი, 1961; მენტემაშვილი, 1943). თეთრი ქართულ მითოლოგიაში ზესკნელის ფერია და შესატყვისად ასოცირდება ღმერთთან, სალოცავთან, სამზეოსთან. შავი ფერი თეთრის საწინააღმდეგოდ ყველაფერ ცუდს ნიშნავს. ამ ფერს უკავშირდება უიღბლობის, უბედურების, ჩაგვრის, გლოვის აღმნიშვნელი სიტყვები და გამოთქმები: შავად გათენება, შავბნელი დრო, შავბედიანობა, შავსვიანობა, შავი და უკუღმა დღე, შავეთი, შავი დღის დაყენება, და ა. შ. (ნეიმანი 1961: 510) წითელი ფერი კარგის მომასწავებელ ფერად ითვლება. ფერების დროსთან კავშირია ასახული ქართველ მთიელთა წარმოდგენებში შავი ჭირის (ჟამნი) შესახებ. მათი აზრით, ჟამნს იწვევენ ადამიანის მსგავსი პატარა არსებები, რომლებიც სამი ფერის ისრებს ესროდნენ ადამიანებს, «ვისაც შავს დაჰკრავდნენ, ის მაშინვე მოკვდებოდა, წითელ ისარდაკრული შედარებით დიდხანს იცოცხლებდა, ხოლო თეთრ ისარდაკრული კი რჩებოდა არ იღუპებოდა» (მინდაძე, 1981). ამ სამი ფერის განსაკუთრებული დატვირთვა მათი მაგიური მნიშვნელობითაცაა განპირობებული. როგორც ცნობილია ისინი «მაგიური ძალის შესაფერისი ხარისხით ხასიათდებოდა. თეთრი — სუსტი მაგიური ძალის მფლობელად გვევლინება, წითელი — გაცილებით ძლიერი, ხოლო შავი — მაგიურობის უმაღლესი ხარისხით იყო აღჭურვილი» (მინდაძე, 1981). მათ მაგიურ წარმოდგენებთან მიმართებაში განიხილავენ და ხაზს უსვამენ შელოცვებში და ზღაპრებში ამ ფერების განსხვავებულ შინაარსს, ერთ შემთხვევაში სამყაროს იერარქიული აგებულების გამოსახატავად მათ გამოყენებას და მეორე შემთხვევაში — მათ მაგიურ ძალაზე აპელირებას (გაგულაშვილი, 1986).



უძველესი დროიდან ქართველები თაყვანს სცემდნენ ხეებსა და წმინდა ტყეებს, ქვებსა და მთის მწვერვალებს. საქართველოში ხის თაყვანისცემის ტრადიციის ორი უძველესი საფეხური დასტურდება: საკრალური ხე — საკრალური ტყე (კორომი) (ღუდუშაური, 2005). განსაკუთრებით გამორჩეულ საკულტო ხედ იყო მიჩნეული მუხა. ქრისტიანობამდელ საქართველოში არსებობდა წმინდა მუხნარები. ფშავ-ხევსურეთში დღემდე გავრცელებულია წარმოდგენები «მუხის ანგელოზის» შესახებ. ქართლსა და სამეგრელოში მუხის ნაცვლად ცაცხვის ხე ფიგურირებს, თუმცა სახელად «რკონი» და «ჭყონდიდი» ჰქვიათ (ჯავახიშვილი, 1979). ქართველები თაყვანს სცემენ მუხას, ცაცხვს, ფიჭვის და იფნის ღვთაებებს. საკულტო ხეები განცალკევებით იდგნენ. მათ მრავალი შესაწირავითა და თეთრი ძაფებით რთავდნენ და სურვილის ასრულებას შესთხოვდნენ. ქართულ მითებში ღვთაება ხშირად წარმოგვიდგება ხის სახით, რომელიც ამოიმართება ხოლმე ქედუხრელთა კერებში. ხის კულტი გარკვეულწილად სიცოცხლის ხის შესახებ არსებულ წარმოდგენებსაც უკავშირდება, რომლის სიმბოლოსაც წარმოადგენს ქართული დარბაზის დედბოძი. სიცოცხლის ხის გამოსახულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ახალი წლის დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტი — ჩიჩილაკი. ჩიჩილაკი (ჩიჩილაგი) არის ხის ფორმის რიტუალური საგანი, რომელიც საახალწლო მილოცვისათვის მზადდებოდა. ჩიჩილაკი თხილის ხისგან კეთდებოდა. თხილის სწორ ჯოხს გაწმენდნენ ფოთლების, ტოტებისა და მერქნისაგან, ოდნავ გაახურებდნენ ცეცხლზე — მეტი დრეკადობისათვის და მსხვილი დანით ბოლოდან წვერისკენ იწყებდნენ თხელი ბურბუმელების ათლას. ბურბუმელას წვერიდან ერთი გოჯის დაშორებამდე უწყვეტად გაიტანდნენ და აკეცავდნენ.


ოსტატი ასობით გრძელ ბურბუმელას ათლიდა და აკეცავდა, შემდეგ მათ ისევ ღერძზე გადმოფენდა. ჩამოთლილი მხრიდან ჯოხს გადაჭრიდა და ასე მზადდებოდა ჩვეულებრივი ჩიჩილაკი. არსებობს ასევე კალპიანი ჩიჩილაკი. თვლიან რომ იგი ჩიჩილაკის უფრო სრულყოფილი სახეა. კალპი ლერწისგან მოწნული რგოლია. იგი ფოთლებით, სუროს ნაყოფით, კურკანტელით და თხილის ტოტებით არის შემკული. კალპი ჩიჩილაკს თავზე ეცმევა და ბურბუმელის შეკრების ადგილას მთავარ ჯოხზე ჰორიზონტალურად მაგრდება. რგოლად მოწნული ლერწის შიგნით თხილის ჯოხებია გარდიგარდმო ჯვრის სახედ დატანებული. მათი წვერები რგოლშია გაყრილი და ზედ ჩამოცმულია წითელი ვაშლები, ბროწეულები ან ვაშლის ზომის ორი გამომცხვარი ბურთი — «ყვინჩილა» ან კვერცხით შეზავებული ყველისგულიანი კვერი — ბოკელი. ამას გარდა კალპზე აცვამენ ტკბილეულს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, ქარვის მძივებს, ხანდახან კიდებენ ბუმბულგაცლილ (კუდის გარდა) შაშვს. აგრეთვე ახვევდნენ ბაფთებსა და აბრეშუმის ძაფებს. იმერეთში კი ჩიჩილაკს ენდროთიც ფერავდნენ. ახალ წელს დასავლეთ საქართველოში ყოველ ოჯახს ჰქონდა საკუთარი ჩიჩილაკი. დღესასწაულის დილას შინაური მეკვლე, უმეტეს შემთხვევაში ოჯახის უფროსი, ოჯახის სხვა მამრობითი სქესის წევრების თანხლებით, ჩიჩილაკით ხელში



შემოვივლიდა ეზოს, სახლსა და სამეურნეო ნაგებობებს და ულოცავდა მათ ახალი წლის დაადგომას.

შემდეგ მივიდოდა სახლთან და კარის გაღებას ითხოვდა. შიგნიდან ოჯახის დედა იკითხავდა, თუ რა მოჰქონდა მეკვლეს. პასუხად ჩამოთვლიდნენ სიკეთეს, გამრავლებას, მოსავლის სიუხვეს, სიმდიდრეს და ა. შ. კითხვა-პასუხის შემდეგ გაუღებდნენ კარს მეკვლეს და სახლში შეუშვებდნენ. იგი ჩიჩილაკით ხელში სამჯერ წალმა (მარჯვნიდან მარცხნივ) შემოუვლიდა ოთახს დალოცავდა ახალ წელს, ერთმანეთს მიულოცავდნენ და ამის მერე ჩიჩილაკს დაკიდებდნენ გამოსაჩენ, საპატიო ადგილას. ჩიჩილაკის მსგავსად ხის ტოტების შემკობა და საჩუქრად მირთმევა საქართველოს სხვა კუთხეებშიც იცოდნენ («ბატონებითვის» მისართმევი ხე, «მაშხალა» და ა. შ.). ჩიჩილაკის და სხვა რიტუალური ხეების რწმენა სათავეს იღებს სიცოცხლის ხესა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული იდეებიდან. როგორც ცნობილია, მსოფლიო (სიცოცხლის) ხე მრავალ ძველ ხალხში მზესთან იყო ასოცირებული, კალპიანი ჩიჩილაკიც ამგვარ კონცეფციას ასახავს, რამდენადაც აქ მზის სიმბოლო კალპი, მსოფლიო ხის სიმბოლოურ გამოსახულებასთან — ჩიჩილაკთან არის შერწყმული და ორივე ერთად კი ზამთრის მზის მობრუნების დღეობაშია მოცემული. კალპი გრაფიკულად წარმოადგენს წრეში ჩახატულ ჯვარის წვეროებზე ბურთებით — ასტრალური სიმბოლოებით, რომლებიც ცაზე მზის ოთხ მდგომარეობაზე მიგვანიშნებენ. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კალპის ჯვარზე ჩამოცმული სფერული კვერები — «ყვინჩილები», ბროწეული და ვაშლი ასტრალურ ღვთაებებთან დაკავშირებული სიმბოლოებია (სურგულაძე, 1986). ასევე მზის სიმბოლოები უნდა ყოფილიყვნენ სხივებად დაფენილი ჯვრის წკირები, მრგვალი პური — ბოკელი და ვაზისგან მოწნული რგოლი — თავად კალპი, ასევე «გვერგვი» და «გირგედი» (სვანეთი, ლეჩხუმი). ისინი მზის ღვთაების — ქალ-ბაბარის ან ნაყოფიერებისა და მცენარეული საფარის მფარველი დიდი დედა ნანას (როგორც მზის ღვთაების მთავარი იპოსტასის) სიმბოლოებია (ბარდაველიძე, 2006). მზის სიმბოლოდ მიიჩნევა ჩიჩილაკის გრძელი წვერებიც. საინტერესოა, რომ ამ წვერს «ბასილას წვერებსაც» ეძახდნენ. ბასილა არის სახელი, რომელიც აერთიანებს ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწის ბასილი დიდისა (ჯვ საუკუნე) და უძველესი ქართული ღვთაების — ბოსელის კულტებს. ბოსელი იყო ნაყოფიერებისა და გამრავლების, უმთავრესად საქონლის მფარველი ღვთაება ძველ საქართველოში. მიწათმოქმედებისა და შესაბამისად ასტრალური კულტების განვითარებასთან ერთად იგი სამიწათმოქმედო მეურნეობას დაუკავშირდა, ასტრალურ ღვთაებათა წრეში მოექცა, ანთროპომორფული სახე მიიღო და მისი გაფართოებული ფუნქციები ახალი წლის ციკლის დღეობებში გამოვლინდა.

ღვთაება ბოსელის სვანური სახელი ჩიჩილაკის სვანური სახელის იდენტურია — ბომბლა. ბომბლა «ხელის გახსნის» რიტუალთანაა დაკავშირებული. იგი წარმოადგენს ფქვილიან ჯამში ჩამაგრებულ მუხის ან თხილის ტოტს, რომელიც შალისა და კანაფის ძაფებით იყო მორთული (ბარდაველიძე, 1957). ჩიჩილაკი ავლენს, ერთი მხრივ, ხის კულტის განვითარების უძველეს საფეხურს,



მეორე მხრივ კი სიცოცხლისა და ნაყოფიერების ასტრალურ ღვთაებებთან, კერძოდ მზის კულტთან კავშირს. ხეთა თაყვანისცემას უკავშირდება ისეთი ღვთაებების არსებობა როგორცაა ტყაში მაფა, მესეფი, მინდორთ ბატონი და მისი ასული, ნადირთ პატრონი.

ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებში უდიდესი ადგილი ეკავა ირმის, ცხენის, თევზის, ძაღლის, მგლის, გველის კულტებს. ცხოველთა კულტი მფარველ ნაყოფიერების ღვთაებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ყოველ ნადირს ღვთაება ჰყავდა, რომელიც ანთროპომორფული ან ზოომორფული სახისა იყო. იგი ხშირად ირმის სახით მოეწოდებოდა მონადირეებს. ესენი «წილიანი» (ღვთის წილი) ცხოველები იყვნენ, რომლებიც რაიმე განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩეოდნენ დანარჩენი ნადირისაგან. მაგალითად ოქროს რქებით, თეთრი ფერით, თეთრი ლაქით (რობაქიმე, 1941). ნადირთ ღვთაების ანთროპომორფული სახეა სვანური დალი, რომლის კულტიც დაახლოებული ჩანს ჯგრაგის კულტთან (ფანცხავა, 1988). თავდაპირველად დალი და ჯგრაგი ტყის არსებანი უნდა ყოფილიყვნენ. დალი ცხოველებისა და ფრინველების, ხოლო ჯგრაგი მცენარეების სულთა განსახიერება. შემდგომ მათ მიიღეს ანთროპომორფული სახე და იქცნენ მდედრობით (დალი) და მამრობითი (ჯგრაგი) სქესის ნადირთ პატრონებად. ასტრალური რელიგიის განვითარების პერიოდიდან კი დაუკავშირდნენ ღამის დიდ მნათობს და მთებს (ბარდაველიძე, 1953). დალიცა და ჯგრაგიც ნადირთ პატრონები იყვნენ ოჩოპინტრეს, სამძივარის, ტყაში მაფას მსგავსად. ოჩოპინტრე ნადირთ მეფედ იყო წარმოდგენილი, იგი განაგებდა მონადირის წარმატებას. თავად უხილავი იყო, მაგრამ ტოვებდა ნაფეხურებს (ბავშვის ზომის ნაფეხურებს). ოჩოპინტრე სასტიკი ღვთაებაა და სჯის ურჩებს. მას სწირავენ პატარა პერანგებს, რომლებსაც ტყეში ხის კენწეროებზე ჰკიდებდნენ. მოგვიანებით სამონადირეო მოტივები აგრარულ და კოსმოგონიურ წარმოდგენებს შეერწყა. ცხოველთა მფარველი ღვთაებები ხშირად «წილიანი» ცხოველის სახით ევლინებოდნენ ადამიანებს (მონადირეებს).

ზოომორფული მოტივების სიუხვეს სხვადასხვა ახსნა მოეპოვება. მათგან ერთერთის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ზოომორფული მოტივებით გამოხატავდნენ თავიანთ კოსმოგონიურ შეხედულებებს. ისინი გარემოს მათთვის გასაგები ცნებებით აღწერდნენ.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია ფრინველთან დაკავშირებული მეტად საინტერესო რიტუალები და რწმენა-წარმოდგენები. ახალი წლის წეს-ჩვეულებათა ციკლში მას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მამლისადმი დამოკიდებულება. «ეს ფრინველი ცასთან და მზესთან არის დაკავშირებული და მზის ფრინველად ითვლება» (რუხაძე, 1976).

ღვთაება ბარბალეს კულტში ჭარბად წარმოდგენილია შინაური ფრინველები, განსაკუთრებით მამალი (თვალის ტკივილთან დაკავშირებით მამლის შეწირვა, რწმენა, რომ ბარბალე შინაურ ფრინველთა მომწმენებელია და სხვ.). მამლის კულტი ერთ-ერთი უძველესი კულტია. მამალი, როგორც განთიადის მაუწყებელი






ფრინველი უმეტეს შემთხვევაში მზესთან იყო ასოცირებული (ბარდაველიძე, 1941). მამალთან დაკავშირებული მაგიურ-რელიგიური რწმენა-წარმოდგენები მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ფრინველებს უკავშირებდნენ მზის ბუნობას, მაგალითად, სვანეთში მიიჩნევდნენ, რომ ზამთრის ბუნობის დროს მზე მამლის ერთ ან სამ ნახტომს აკეთებს და ამის მერე დღე მატულობს. გურულების შეხედულებით ბარბალოზიდან დღე მატულობს ქათმის თითო ფეხის ნაბიჯზე. ეს შედარებები მეტაფორულია, მის გამოცნობას აადვილებს ცოდნა, რომ მამალი და ზოგადად ქათამი ბარბალეს შესაწირავი საყვარელი ფრინველია, რომელიც მას, როგორც მზის ღვთაებას ისე უკავშირდება (ბარდაველიძე, 1941).

არსებობს შეხედულებები, რომ მზის ბუნობა მზის მიერ ვერძის ერთი ან სამი ნახტომითაა გამოწვეული. ვერძი — ცხვარი, ქართველებში მეტად გავრცელებული სამსხვერპლო ცხოველი იყო. ტერმინ «კურეტზე» დაყრდნობით წინარექრისტიანული მსხვერპლშეწირვის განვითარების გზას შემდეგნაირად წარმოადგენენ:

1. ადამიანი-კურეტის შეწირვა, 2. ხარი-კურეტის შეწირვა, 3. ცხვარი-კურეტის შეწირვა და 4. დიდი ზომის ქადის — კოტორის შეწირვა საკლავის მაგიერად (აზიკური, 1981). ცხვარი სოლარულ კულტანაა დაკავშირებული და მიიჩნეოდა, რომ მზის გულის მოგება ცხვრის შეწირვით შეიძლებოდა.

საქართველოში გავრცელებულ ზოომორფულ სახეთაგან საინტერესოა ცხენის გამოსახულებები. ისინი გვხვდება კოლხურ ცულებზე, ბრინჯაოს შუბისპირებზე, სატევრებზე და სხვ. არქეოლოგიურ მასალაში ცხენის ხშირი მონაცვლეობა ირმისა და ხარის გამოსახულებებთან და სვანურ საწესო ხელოვნებაში მისი სექსუალური ნიშნის ხაზგასმა უნდა ადასტურებდეს მის კავშირს ნაყოფიერების ზოგად იდეასთან. ამასთან, მკაფიოდ ჩანს მისი კავშირი მზის კულტანთან. ირემი ქართულ ფოლკლორში ზებუნებრივი ძალის მატარებელ ღვთაებათა სამყაროსთან დამაკავშირებელ არსებად გვევლინება. იგი არის მზისა და მთვარის ასულის მხლებელი, მისი რქების მეშვეობით შეიძლება ზესკნელში ასვლა, ირმის რძე და მისი წველა ღვთაებათა ხვედრია. ირემი ნადირთ ღვთაების ზოომორფული სახე უნდა იყოს. ამასთან იგი ნაყოფიერების ღვთაებასაც უკავშირდება. ირმის სიმბოლოს ერწყმის მცენარეული მოტივიც და სიცოცხლის ხის მოტივიც, თვალების აქცენტირება კი ასტრალურ კულტანს აკავშირებს.

ხარის კულტი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანიდან. ამ პერიოდში მთელი კავკასიისათვის დამახასიათებელია სარიტუალო დანიშნულების რქისებრი და ნავისებრი სადგარები, რომელთა შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული, მაგრამ უმეტესად მათ ხარის გამოსახულებად და ხარის კულტანს დაკავშირებულ ძეგლებად თვლიან. მეცნიერთა ნაწილი ხარს მთვარის «ნაწილიან» არსებად მიიჩნევს. ხარის რქებს მთვარის სიმბოლოებად მიიჩნევდნენ (ჯავახიშვილი, 1979). სხვები მას უკავშირებენ სიცოცხლის ხეს. ქართულ ხალხურ წარმოდგენებში ხარის რქები და ხე იდენტური მნიშვნელობის მქონე საკრალური ობიექტებია. ხშირია ხარის გამოსახულებები არქეოლოგიურ ატრევაქტებზე,



გრაფიკულ ხელოვნებაში, კერამიკულ ჭურჭელზე. მისი სახეა მოცემული მრავალ ხალხურ ლექსსა თუ ზღაპარში.


ხარის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა სხვა კულტებთან, კერძოდ მცენარეულ, ნაყოფიერების, ასტრალურ კულტებთან მჭიდროდ დაკავშირებული.

აღსანიშნავია მგლისა და ძაღლის კულტების არსებობა. ძველ ქართულ ტრადიციაში მგელი და ძაღლი ერთ სახეში ერთიანდება. მწევრები იგივდებიან ღვთაებათა მწევარ-მგლებთან. ქართულ კულტურულ ტრადიციაში ძაღლისა და მასთან ასოცირებული მგლის სიმბოლო მრავალ კონტექსტში ვლინდება: ციური ძაღლი — ელვის განსახიერება, წყლის ძაღლი, რომელიც მოიცავს რწმენა-წარმოდგენათა მთელ კმპლექსს, საიქიოს ძაღლი, მგელი, როგორც მთელი კოლექტივის სიმბოლო (რიტუალში აშანგელო, შაშანგელო), ძაღლის პარასკევი და ძაღლის ოთხშაბათი, ე. წ. ძაღლის უქმეები დღეობათა კალენდარში, მგლები მორიგე ღმერთის დამხმარენი და სხვ. (აბაკელია, 1997). «მწევართა და ლაშქართა კულტი იმდენად იყო განვითარებული, რომ მათ სახელზე საგანგებო დღეობებიც იმართებოდა. მათ სახელზე წარმოთქვამდნენ ხუცობასა და სადიდებელთაის» (ბარდაველიძე, 1963).

თევზის კულტის არსებობაზე მიუთითებს მეგალითური კულტურის ძეგლები, რითაც მდიდარია საქართველო. მათ ვეშაპები ან ვეშაპოიდები ეწოდებათ. ამას გარდა, დღესაც შემორჩენილია წარმოდგენები წმინდა წყლისა და თევზის (კალმახის) სამკურნალო ძალის შესახებ.


ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და მითოლოგიური მასალიდან ჩანს, რომ ცხოველთა კულტი (ძაღლი, მგელი, გველი, ირემი, ცხენი, თევზი) ცხოველთა მფარველ ნაყოფიერებისა და ასტრალურ ღვთაებებთან იყო დაკავშირებული.

მსოფლიოში არსებულ კულტთაგან ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანია ასტრალური კულტები, რაც ციურ მნათობთა თაყვანისცემასთანაა დაკავშირებული. მნათობთა თაყვანისცემა უძველეს ხანაში ჩამოყალიბდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა კი მიენიჭა სამიწათმოქმედო კულტურებში, მათ შორის, ქართველთა რწმენა-წარმოდგენებშიც. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე ქართველების ღვთაებათა პანთეონს შეადგენდნენ ციური სხეულები ან მათი განმასახიერებელი ღვთაებები, მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავი (თოფჩიშვილი, 2006). საქართველოში არსებულ უძველეს რელიგიად მიიჩვედა მნათობთა თაყვანისცემას ლეონტი მროველიც: «და იქმნეს მსახური მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა სხუათა». ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ მონაცემებში ასტრალურ სიმბოლოთაგან ფიგურირებს მზის, მთვარის და ვარსკვლავების სიმბოლოები, რომლებიც კარგის, კეთილის, ზოგჯერ სალოცავის მნიშვნელობის მქონეა. ხალხურ ლექსებში დიდი უბედურების, სიკვდილის მომასწავებელია მზე-მთვარის ჩასვლა (დაბრძანება). ქართული მითებისათვის დამახასიათებელია მზის, მთვარისა და სხვა მნათობთა პერსონოფიცირება: მთვარე — მამაკაცია, მზე — ქალი; ისინი ხან და-ძმად, ხან ცოლ-ქმრად ხან კი დედა-შვილად წარმოიდგინებიან. მზე ქართველთა უმაღლეს პანთეონში იყო ჩართული,



ეს სოლარული კულტის მაღალ განვითარებაზე მიუთითებს. მზის კულტი დაკავშირებული იყო ცხოველურ ატრიბუტებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა «ნაწილიანი» არსებების საკითხი. საქართველოში ადამიანების გარდა, მზის «ნაწილიანებად» ითვლებოდნენ მამალი, ცხვარი, ირემი, ცხენი, ხარი, ძროხა, ლომი. სიტყვა «ნაწილი» ქართულ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც «წილი თუ კერძი» (ორბელიანი, 1966) ან «არშივი» (ჩუბინაშვილი, 1961). აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობდა შვილის აღმნიშვნელი ტერმინი — «წული». ამ სიტყვის ერთ-ერთი ფორმაა წილი, აგრეთვე — ნაწილი. ტერმინი შეიცავს შვილის (ვაჟის ან ქალის) გაგებას, როგორც მშობლის ნაწილისა და წარმოადგენს შეხედულებას მშობელთა და შვილთა ერთგვაროვნობის შესახებ. ასტრალური რელიგიის განვითარების მაღალ საფეხურზე მოხდა უმაღლესი ღვთაებების ურიცხვი შვილების ანუ წილების გაჩენა. წილიანი ღვთაებების კულტი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა სოლარულ კულტთან კავშირში, როცა მაღალ განვითარებას მიაღწია დიდი დედა ნანას კულტმა. როდესაც ასტრალური ღვთაებები წილის სახით ვლინდებიან, ისინი განიხილებიან როგორც ერთი, და ამავე დროს მრავალი, რის გამოც შეიძლება ერთდროულად არსებობდეს რამდენიმე ობიექტში მისთვის დამახასიათებელი რაიმე სპეციფიკური ნიშნით, ე. ი. «წილით» ამ «წილის» მატარებელ ადმიანებს ან ცხოველებს «ნაწილიანებს» უწოდებენ. მათ სხეულზე «წილი» — მანათობელი ნიშანია, რომელიც უპირატესად ბეჭზე ან ბეჭებზე უხით. ამ ნიშნის დანახვა უცხოს მიერ «ნაწილიანს» დალუპვას უქადის (სურგულაძე, 1986). ადამიანი შეიძლება «ნაწილიანი» დაიბადოს ან შემდეგ იქცეს მის მატარებლად. «ამბობენ «ნაწილიან ბავშვს» ღამით აკვანში მწოლარეს სახეზე ნათელი ადგებაო, იგი თურმე უჩვეულოდ ღამაზია, დედამ ასეთ ბავშვის დაბადება მაინცადამანც არ უხარია, რადგან იგი იშვიათ შემთხვევაში გაიზრდებოდა. თუ მის ნაწილიანობას დედაზე უწინ სხვა შეამჩნევდა იგი აუცილებლად მოკვდებოდა» (ცოცანიძე, 1987). მათ, აგრეთვე, ცხოვრებაშიც და სიკვდილის შემდეგაც გველები ეტანებოდნენ, რათა წაერთმიათ მისთვის «ნაწილი». წილის ნიშანი, სავარაუდოა, ყოველ ცალკეულ ღვთაებას თავისი ჰქონოდა (სურგულაძე, 1986). მზის ღმერთის ნიშნები, ალბათ, მისი წრიული, ან ჯვრის სისტემის სიმბოლოები იქნებოდა. ნაწილიანებად ითვლებიან ქართული უძველესი მითური გმირის ამირანის ძმები, რომელთაგან ერთს ბეჭებზეა მზის მსგავსი ნიშანი ჰქონდა, მეორეს კი ამავე ადგილას მთვარის მსგავსი ნიშანი აჩნდა (ჩიქოვანი, 1986). თავად ამირანიც მზიური არსებაა, რაჭული ვერსიით «მუბლმზიანი», რომელიც «ყველგან მზის შუქს აყენებს». მზისა და მთვარის ნიშნების ხსენება ასტრალური კულტის მაღალი განვითარების ანარეკლი უნდა იყოს.

ხოლო მზის ნიშნის მარჯვენა მხარეს დასმა — სოლარული კულტის უპირატესობაზე მეტყველებს., რადგან ცნობილია ქართველთა შეხედულება მარჯვენა მხარის სიწმინდისა და უპირატესობის შესახებ. «ნაწილიანებად» უნდა მივიჩნიოთ არქეოლოგიურ ძეგლებზე სხვადასხვა სიმბოლოებით აღბეჭდილი ადამიანები და ცხოველები, ისინი სწორედ ღვთაებათა რჩეული, ბუნებრივი ნიჭით



დაჯილდოებული არსებები უნდა ყოფილიყვნენ, რაზეც მიგვითითებს მათ სხეულზე არსებული სიმბოლო-ნიშნები (სურგულაძე, 1986). საერთოდ, ცხოველთა სიმბოლიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ზოომორფული მოტივები ფართოდაა გავრცელებული. თავდაპირველად ამ მოტივებს მაგიურ-რელიგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. სამიწათმოქმედო მეურნეობაში განზოგადებული ხდება მსოფლმხედველობა, რომელშიც ჩართულია კოსმოგონიური, ციურ სხეულთა როტაციული მოძრაობისა და მოვლენათა ციკლების განმეორების პროცესის ამსახველი შეხედულებები. მართალია, ყველაფერი ეს შემოსილია მითური სამოსელით, მაგრამ უკვე სისტემად ყალიბდება წარმოდგენები ბუნებაზე, საზოგადოებაზე, ადამიანზე. ასეთი ნიშან-თვისებები ტოტემიზმის გაქრობისა და გარდაქმნის პროცესში აღმოცენდება და მიწათმოქმედებისა და მკვიდრი მოსახლეობის ხანაში გამყარდა ადამიანთა გონებაში. ყოველივე ეს ეხება სიმბოლიკის აღმოცენებას, საერთოდ და, კერძოდ, ზოომორფულ სიმბოლიკას, რომელმაც ადრემიწათმოქმედთა კერამიკაში მოიკიდა ფეხი და იშვიათი მრავალფეროვნებით აისახა ბრინჯაოს კულტურზე (სურგულაძე, 1986). ზოომორფული კოსმოგონიური სიმბოლიკა განვითარებული ჰქონიათ ქართველთა წინაპარ ტომებსაც. ეს აისახა ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ფოლკლორულ მონაცემებში. მზის სიმბოლოებად ითვლებიან: მწერებიდან — ობობა, ფრინველებიდან — მამალი, ცხოველებიდან — ირემი, ცხვარი, ცხენი, ძროხა, ხარი, ლომი. განვითარებული იყო მთვარის თაყვანისცემა. ლუნარული კულტიც ერთ-ერთი უძველეს კულტურაა. ყველგან სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალია შემორჩენილი. ამის გამო, მთვარის, როგორც ერთ-ერთი უზენაესი ღვთაების თაყვანისცემა ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად მიიჩნევა (ჯავახიშვილი, 1979). ასტრალური კულტი, ასევე, ცა-ღრუბლის ღვთაება, ჭექა-ქუხილისა და ელვის ღვთაებები, რომელნიც ამინდის გამგებლად ითვლებიან.

ქართული წარმართული პანთეონი იერარქიულია, უზენაესი ღმერთია მორიგე ღმერთი, მერე მოდიან კვირია, პირიმზე, უფრო დაბალ საფეხურზე არიან ე. წ. ღვთისშვილები, სხვადასხვა სახის სალოცავები და უფრო ქვევით კი — ადგილის დედა და სხვა ადგილის, ტერიტორიების მფარველი სულები. არსებობენ, აგრეთვე, ავი სულებიც (დევეები, ჭინკები და ა.შ.). ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი პანთეონი ვ. ბარდაველიძის აზრით მიეკუთვნება ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების ერთ-ერთ გვიანდელ საფეხურს., რადგან უფროს ღვთაებათა შვიდეულს წარმოგვიდგენს, რომელიც შვიდ მნათობს უკავშირდება და მთვარის კალენდრის თითო-თითო დღესთან იყვნენ დაკავშირებული (ბარდაველიძე, 1959). ასტრალურ ღვთაებათა პანთეონი თანმიმდევრული სარწმუნოებრივი სისტემის ნაწილს წარმოადგენს.


არსებობდა ორი რიგის ღვთაებები: უფროსი ანუ უმაღლესი და ადგილობრივი. უფროს ღვთაებებად მიაჩნდათ ღმერთი ანუ მორიგე ღმერთი, ქალ-ღვთაება მზე, იგივე მზე-ქალი ანუ დღედღესინდელი და კვირია. ადგილობრივი ღვთაებებიც ორი რიგისა იყო: ჯვარი და ხატი და ღვთისშვილი (ბარდაველიძე, 1959). სალოცავები მთის მწვერვალებზე იყო. შემორჩენილია ჯვრის სახელით



ცნობილი საკულტო ნაგებობები. ჯვარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ზეციურ არსებათა ამქვეყნიურ საბრძანის წარმოადგენდა. ამავე სახელით მოიხსენიებიან ღვთაებები. ქართული მითოლოგიური გადმოცემების ძველი ფენა ანდრეზები, რომლებიც ძირითადად ჯვარხატა წარმოშობა-დაარსების ახსნას, საგმირო საქმეების ამსახველ და სხვა სიუჟეტებს შეიცავს. ასეთ გადმოცემებს «ჯვართ ანდრეზი» ეწოდება. ანდრეზში მოთხრობილია ღვთაების მიერ მთავარ სამკვიდრომდე მისვლამდე სხვადასხვა ადგილებში «კოჭის მოკიდების» შესახებ, სადაც შემდეგ მისი სახელობის ნიშები არსდება (ოჩიაური, 20007). ჯვარ-ხატების უზენაეს ტრიადას წარმოადგენდნენ მორიგე ღმერთი, მზექალი და კვირია.

არსებულის გამგებელი. ღმერთი, რომელიც, მართალია, ზოგიერთ ფუნქციას ინაწილებს სხვა ღვთაებებთან, მაგრამ არსებითად ერთადერთია სამყაროში წესრიგის შემომტანი და მისი მცველი, ყოველივე არსებულის გამგებელი. იგი მეშვიდე ცაზე იმყოფება და მისი ნების გარეშე არაფერი არ წყდება მზის ქვეშაც და გარდაცვლილთა სამყაროშიც (ქრისტიანობის გავრცელების მერე ღმერთი იდენტიფიცირებულ იქნა მამაღმერთთან). მორიგე ღმერთის თანმხლები იყვნენ მწევრები, მგლები და იასაულები. ქალღვთაება მზექალი (დღედღესინდელი, ნანა, ბარბაღე) მზის ფუნქციის მატარებელი სინათლის, ნაყოფიერების, ფურობის, მკურნალობის მფარველია. მისი თანმხლები არიან მზისმყოლი ანგელოზები, დობილები, ბატონები. ღვთისშვილთა შორის მთავარი ხმელეთის გამგებელი კვირია (კარვიანი, ხმელთმოურავი) სამართლიანობის, მიწიერი ცხოვრების და ოჯახის მფარველი იყო. კვირია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წარმოდგენით ღვთისშვილთა წინამდგომია. სალოცავებში ღმერთის შემდგომ მეორე ან მესამე ადგილას იხსენიება. მას საპატიო ადგილი ეკავა ღვთის კარზე, დანარჩენ ღვთისშვილთა შეკრებისას. კვირია ითვლება ერთადერთ ღვთაებად, რომელსაც ღმერთთან მისვლა შეეძლო და ეკისრებდა შუამავლობა დანარჩენ ღვთისშვილთა და უზენაეს შორის. კვირია უშუალოდ მართავდა ქვეყნიერებას უზენაესი ღვთაების მიერ დადგენილი წესით. მისი ეპითეტებია «ხმელთ მოურავი», «კარავიანი», «ღვთის კარზე მოარული», «დიდი», «ძალი ღვთისა» და სხვ. სვანეთში კვირია აგრარულ ღვთაებად ითვლებოდა. განაგებდა ტაროსს, მიწის ნაყოფიერებას, ადამიანთა და ცხოველთა გამრავლებას. ხალხური გადმოცემით კვირია იხსენიება «წყლის ბერად», «ცის მზედ», «მიწად», «ცისა და მიწის მონაწილედ». მის სახელზე ადრესაგაზაფხულო დღეობათა მთელი ციკლი იმართებოდა, სადაც კვირია წარმოდგენილი იყო სქესობრივი ძალის მფარველად, ნაყოფიერების მამრობით ღვთაებად. დასავლურ ქართული მითების მიხედვით იგი ნაყოფიერების ფალიკური ღვთაებაა.

სხვა ღვთაებები — ღვთისშვილნი (ბერი ბაადური, პირქუში, იახსარი, კოპალა) ლოკალური ღვთაებები იყვნენ. პირველი ღვთისშვილი, რომელიც მორიგე მიწაზე გამოუშვა არის ბერი ბაადური., რომელიც თვით მორიგე აღჭურვა მხედრულად და უბოძა თეთრი ბედის ბედაური, ბაადურს მწვანე სამოსი აცვია, თეთრი ქუდი ხურავს და მათრახი უჭირავს. იგი ადამიანების შემწე და შუამავალია. კოპალა წინაქრისტიანული სათემო ღვთაებაა აღმოსავლეთ



საქართველოს მთაში. მისი ძირითადი სალოცავი იყო ფშავსა (სოფელი უძილაურთა) და ხევსურეთში (ლიქოკის ხეობა, ჭალაისსოფელი). კოპალას სალოცავები იყო აგრეთვე თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარსა და ქართლ-კახეთის ჩრდილო ზოლში. კოპალა გაღვთიშვილებულ ხორციელად ითვლებოდა, რომლისთვისაც იახსართან ერთად მორიგე ღმერთს დაუკისრებია ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე ოდესღაც მობინადრე დევ-კერპების განადგურება, მასვე მიაწერენ ავსულებთან ბრძოლის ფუნქციას, საკუთარი საყმოსაა და სხვა ხორციელთა დაცვას ბოროტი ძალებისაგან. იმავე წარმოდგენით კოპალა, როგორც სათემო ღვთაება თავის ყმებს მფარველობდა გასაჭირში, თან ახლდა ლაშქრობებში და ხელს უმართავდა. ამ ფუნქციათა დამთხვევის გამო კოპალა და იახსარი მოძმე ღვთისშვილებად მიაჩნიათ. კოპალას ჰქონდა მამულები, სათიბები, ზვრები კახეთში, კურატების ჯოგი, სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებანი, სამეურნეო ინვენტარი, ფლობდა განძს და ა. შ.

იახსარის კულტი გავრცელებული იყო ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, ერწო-თიანეთში. მისი ხატი ქისტაურთა თემის მთავარ სალოცავად ითვლებოდა. საკულტო ცენტრი იყო ფშავში (სოფელი შუაფხო) ხშირად მოიხსენიება მითებსა და თქმულებებში, ლექსებსა და ბალადებში და სასულიერო ტექსტებში. სხვა ღვთისშვილებისგან განსხვავებით, იახსარი ზეციდან მოვლენად მიაჩნდათ შიბის, ჯვრის ან სვეტის სახით («სვეტად ჩამოსული»). მას მიეწერება ფშავ-ხევსურეთში ავსულებთან (დევები, ქაჯები, ეშმაკები) შეურიგებელი ბრძოლა, საკუთარი საყმოს წევრებისა და მისი მავედრებელი უცხო მლოცველების მფარველობა. იახსარის დროშით ხევისბერები ცდილობდნენ სულით ავადმყოფისგან ბოროტი ძალების განდევნას, არაბუნებრივი სიკვდილით (ზვავში დაღუპულთა, მეხდაცემულთა, წყალში დამხრჩვალთა) «სულის გამოხსნას» და ა.შ. პირქუში ფშავის საყმთა მფარველი ღვთისშვილია, რომელიც ხორციელი დავიტ მგელაისშვილი ყოფილა, მჭედელი და სიკვდილის შემდეგ ღვთისშვილი გამხდარა. იგი დევებთან მეზრძოლი, მჭედლების პატრონი და შთამაგონებელია. მისგან სწავლობენ სამჭედლო საქმეს. ამიტომაც მას ამგვარად იხსენიებენ: «დიდება შენთვის, პირქუმის წმინდაო გიორგიო, ახადის გორზე ბრძანებულო, რკინა-მახვილთა, ჯაჭვთა, პერანგთა მკეთებელო, ურჯულოთ დასაღვეადა ხმლებისა და ხანჯლების მკეთებელო». პირქუმის ზედწოდებებია: «ლეკურთას მობურთალი», «ცეცხლისალიანი».

ღვთისშვილნი შუამავლის როლს ასრულებდნენ ადამიანებსა და მორიგე ღმერთს შორის. ღმერთის ნებას ღვთისშვილები მეენებეს ან ქადაგებს ამცნობდნენ, ეს უკანასკნელნი კი — ხალხს. ღვთისშვილთა თანაშემწენი იყვნენ მექილიკენი, კეთილი ანგელოზები, მეყურადენი, ურჩნი და გველფერნი. სიზმარში გამოცხადებული ღვთის ნებით ხდებიან მკითხავებად, ქადაგებად, ხევისბერებად და ა.შ. სიზმარი, როგორც ღმერთთან, სალოცავთან ურთიერთობის საშუალება, გარკვეულ მნიშვნელობას იძენს სალოცავის მსახურთა არჩევაში. მას «მთიელთა რწმენის თანახმად ხატი აიძულებს დატოვოს ძველი ასპარეზი და ხევისბერად მოუხმობს. ჩვეულებრივ, ყოველივე სიზმრით გაცხადდებოდა» (კანდელაკი, 1999).



ეს განსაკუთრებით კარგად აისახება საქართველოს მთიანეთის ყოფაში. სალოცავი თავად ირჩევს თავის ყმებს და რათა ეს არჩევნი ნათელი გახდეს რჩეულისა და საზოგადოებისათვის ამიზეზებს მას. სალოცავის მიერ დამიზეზებულებს, დამონებულებს, შეპყრობილებს, დაჭერილებს და ა.შ. უწოდებენ. მათ თითქმის ერთნაირი გზის გავლა უხდებათ საბოლოო არჩევანის გაკეთებამდე. საერთოდ, დამიზეზება სხვადასხვა სახის დაავადებაში, ხილვებში, წინასწარმეტყველურ სიზმრებში, ნერვულ გამოვლინებებში, სულიერ ტანჯვაში, ზოგჯერ კი დასჯის მიზნით მატერიალურ ზარალშიც ვლინდება. ასეთი კანდიდატი «ჯერ უგუნებოდ ხდება თურმე, ხშირად ბოდავს და ძილში მას ხატები ელანდება. ბოლოს ის მკითხავთან მიდის მიზეზის გასაგებად; მას მკითხავი ეტყვის, ხატმა ხუცად გინდომათ.» (მაკალათია, 1984), ან თავად სალოცავი გამოუცხადებს თავის ნებას ისევ სიზმრებში. თუ რომელი სალოცავის მიერაა იგი არჩეული, ამასაც ძირითადად ფთილების, სიზმრების, ჰალუცინაციების მეშვეობით გეზულობს (აბაკელია 1982).

ნ. მინდაძეს დამოწმებული აქვს ფშაველი ხევისბერის პეტრე კუწაშვილის (სოფ. მუქო) მონათხრობი, თუ როგორ ამიზეზებდა ხატი და ამის სხვადასხვა გამოვლინებების გვერდით სიზმრითაც ანიშნებდა, რომ არჩეული ჰყავდა: «სიზმარში ვხედავდი, რომ ხატში როცა მივდიოდი, ხევისბერები უკან იხევდნენ და საქმეს მე მაკეთებინებდნენ» (მინდაძე, 1981). მრავალი მსგავსი მაგალითია დამოწმებული ქართველ ეთნოგრაფთა შრომებში. სიზმარი ყველგან კვანძის გამხსნელის ფუნქციას ასრულებს. იგი ხდება ახალი ყოფის დაწყების მიზეზი და სხვა შემთხვევებში ისევ მისი მეშვეობით ხდება სალოცავის ვალისაგან განთავისუფლება, მაგალითად, სალოცავისათვის კურატად შეთქმული თავისი მსახურობის ვადის გათავებას სიზმრის (ანდა ქადაგის) მეშვეობით იგებდა. ღვთაებათა უფროს და უმცროს ჯგუფში გაბატონებული იერარქია, რომლის მიხედვითაც ისინი პანთეონში მრავალსაფეხურიან კიბედ იყვნენ ჩამოყალიბებული, და რაც მთავარია, ის, რომ ადგილობრივ ღვთაებათა სამყაროში უფროს-უმცროსობით განწყობა მათი მეტ-ნაკლები ძლიერებით განისაზღვრებოდა, ხოლო თვითონ ეს ძლიერება კი შესაბამისი თემის მრავალრიცხოვნობით, ეკონომიური შესაძლებლობითა და თავისი ღვთისშვილის სამსახურისათვის მზადყოფნით და უნარით იყო განპირობებული — ყველა ეს ამ რელიგიურ რწმენათა შემქმნელი საზოგადოების მკვეთრ ქონებრივ დიფერენციაციასე მიგვითითებს (ბარდაველიძე, 1960).

სწამდათ, რომ ყველაფერს ჰყავდა მფარველი ანგელოზი (ადგილის დედა), თაყვანს სცემდნენ წყლის, მიწის, ღვინის მფარველ ღვთაებებს. ადგილის დედა ადგილის მფარველი ანგელოზია, რომლის რწმენაც მთელ საქართველოშია გავრცელებული. იგი ძირითადად ქალის სახითაა წარმოდგენილი, თუმცა ზოგან მამაკაცური სახე აქვს. ადგილის დედა პატრონობს ადგილს, ადევნებს თვალყურს მოსავლიანობას, წველადობას, რძის შედღვებას და სხვ. მასთან მიაქვთ შესაწირავად პატარა გულიანი ქალები, სანთლები და შესთხოვენ ბარაქიანობას. ხშირად ადგილის დედა გველის სახეს იღებს, როცა სურს ადამიანს ეჩვენოს.



გველი, რომელიც მას განასახიერებს, სახლის საძირკველში იდებს ბინას და რძეს გამოუდგამენ ხოლმე. არათუ მის მოკვლას, მის დაფრთხობასაც ერიდებიან. მისი სიკვდილი ოჯახის ამოწყვეტას ნიშნავს. ადგილის დედას უკლავენ პირველმოგებულ ხბოს და ციკანს. სწამდათ ბოროტი სულების (დევები, ქაჯები, ჭინკები, ალები) არსებობაც. მავნე სულების მეუფეს ხევსურეთში «კარატის ხატი» ჰქვია. მას ექვემდებარებიან ალები, ქაჯები, მაჯლაჯუნები და სხვ მავნე სულები. რომლების ადამიანს სხვადასხვა სახით გამოეცხადებიან ხოლმე: ხან ღორის, ჯოჯოს, ხვლიკის და ბევრჯერ ბავშვის სახითაც (ჯავახიშვილი, 1979). დევები, იგივე დევ-კერპნი ბოროტ ძალებს განასახიერებენ ქართულ მითოლოგიაში. ქართულ ზღაპრებში დევები ადამიანის მსგავსი ფანტასტიკური არსებაა, ტანად დიდი და ღონიერი, ზოგჯერ მრავალთავიანი, ბევრ ზღაპარში ისინი გონებაჩლუნგ არსებებად არიან გამოყვანილი. ალი წყლის არსებაა. იგი თმაგაშლილი მშვენიერი ქალის სახით ეჩვენება მამაკაცს, იზიდავს მას, წყალში იტყუებს და ახრჩობს. ქაჯი დიდი ტანის, ბალნიან, კლანჭებიან მამრობითი სქესის არსებად წარმოიდგინება. ჭინკებიც ასეთივე, მგარამ დაბალი არსებებია. ისინი ტყეში ცხოვრობენ. ავსულებს განეკუთვნებიან კუდიანებიც. მათ ცხოველებად ქცევა შეუძლიათ და ღამით ნავარდობენ. კუდიანების უფროსია როკაპი. კულტმსახურებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ადამიანისა და პირუტყვის გამრავლებისათვის გამიზნულ ფალიურ მოქმედებებს, წრიულ ფერხულებსა და უწყვეტ ორპირულ (ორგუნდიან) სიმღერებს. რიტუალურ ქმედებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედების პროდუქტებს, კერძოდ, სასმელს (ლუდს, ღვინოს), ასევე ხორცეულს (სამსხვერპლო ცხოველი) და რძის პროდუქტებს. არსებობდა რიტუალური პურობა, რიტუალური საჭმელი. ბუნების ძალთა გამოსადვიმებლად და გვალვა-დელგმის საწინააღმდეგოდ მიმართავდნენ მაგიურ-რიტუალურ ქმედებებს (კოხინჯრობა, გონჯაობა, ლაზარობა). საწესო რიტუალები სრულდებოდა თესვის, ხვნის დაწყების, ცხვრისა და საქონლის გადარეკვის წინ.

საქართველოში დღემდეა შემორჩენილი საკულტო-მითოლოგიური სიმღერები და მათი შესრულების ტრადიცია (მაგალითად ოდოია — ღვთაება ოდისადმი მიძღვნილი ჰიმნი. სრულდებოდა სამეურნეო სამუშაოებისას (თოხნისას), ითხოვდნენ მოსავლის დაბედებასა და ადამიანთა კეთილდღეობას) (ოკუჯავა, 2000).

ქართველთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანების პანთეონი არმაზის, ზადენის, გაცის, გასა და ქალღმერთ ნანასგან შედგებოდა. თითოეულ მათგანს თავისი დღესასწაული ეძღვნებოდა და თითოეულისთვის განსხვავებული საკულტო რიტუალი სრულდებოდა. საისტორიო ტრადიციის მიხედვით აზოს გაცისა და გაიმის კულტები შემოუღია და მათი კერპები აღუმართავს. ფარნავაზმა სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად რელიგიურ რეფორმებიც ჩაატარა და სახელმწიფო რელიგიად არმაზის კულტი გამოაცხადა. მან ამ ღვთაების კერპი არმაზის მთაზე აღმართა. სხვადასხვა თემის ქართველებმა არმაზის კულტი მიიღეს. უცხო არმაზის კულტის მიღება იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ არ მოხდა რომელიმე თემის უპირატესობის წარმოჩენა მისი ღვთაების უზენაესობის






ადიარებით. მეფე საურმაგს აინინასა და დანინას კერპები აღუმართავს, ხოლო ფარანჯომს — ზადენი. არმაზი და ზადენი ქართლის დიდი ღმერთები, ნაყოფიერების ღვთაებები იყვნენ. გაცი და გაიმი უფრო მეტად სოციალური ფუნქციის მატარებელი იყვნენ (თოფჩიშვილი, 2000).

ქართველებისათვის დამახასიათებელი იყო საოჯახო, საგვარეულო კულტები, საუბნო, სასოფლო, სათემო, სახევო, რეგიონალური სალოცავები (ღვთაებები). ლეონტი მროველის მიხედვით არმაზი, ზადენი, გაცი და გაიმი იყვნენ «ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობლელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქვეყნის ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი არმაზ, ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამმძიებელნი, ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გაიმ — იგინი იყვნენ სარწმუნებელად კაცთა მიმართ». ფარნავაზმა არმაზის კერპი მცხეთასთან ახლოს აღმართა (შემდგომ არმაზის მთა). ეს იყო სპილენძისგან გამოქანდაკებული მეზრძოლი, ოქროს პერანგითა და ჩაფხუტით, ხელში ხმლით. არმაზის კულტი ქართლში ძვ. წ. ვვ საუკუნიდან ვრცელდება. ტრადიცია არმაზს ცეცხლთაყვანისმცემელთა ღმერთს — ითრუჯანს (ითრუშან, ატრუშან) უპირისპირებს. «ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან» (ქც 1955: 91, 92). უარყოფილია ისტორიოგრაფიაში ერთხანს გავრცელებული შეხედულება, თითქოს არმაზის კულტი აპურამაზდას უკავშირდებოდა. ამჟამად გავრცელებული შეხედულებით არმაზი ხეთურ-ნესიტური წარმოშობისაა და ხეთური მთვარის ღმერთის უძველესი სახელიდან (არმ — არმაშ, არმას) მომდინარეობს. არმაზის გვერდით იდგნენ გაცი და გა (გაიმ). ზადენის გორაზე აღმართეს ზადენის კერპი. არსებობს მოსაზრება, რომ ზადენი მცირეაზიურ-ხეთური წარმოშობისაა. უკავშირებენ ლუვიური ღვთაება სანთას (სანდონის) სახელს და მიაჩნიათ, რომ მისი თაყვანისცემა მცირე აზიიდან ქართლში მოსულმა მესხურმა ტომებმა მოიტანეს. აინინა და დანინა ქალღმერთ ნანას უკავშირდება. იგი ნაყოფიერების, ბუნების კვდომა-აყვავების მფარველი იყო. ის სოლარულ კულტთანაა კავშირში. მათ ეძღვნებოდათ განსხვავებული საკულტო რიტუალის მქონე დღესასწაულები. გა დედამიწის მფარველი და ნაყოფიერების ქალღმერთი იყო. დღემდეა შემორჩენილი სვანეთში საკულტო სიმღერა გა, რომელსაც ასრულებენ ღვთაებისათვის ნაყოფიერების სათხოვნელად და სრულდება ოჯახში რძლის შემოყვანისას, რათა გამ მას მრავალი შვილი მისცეს. მწირი ცნობები მოგვეპოვება დასავლეთ საქართველოში გავრცელებული წარმართული პანთეონის შესახებ.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მოხდა ადგილობრივი ღვთაებებისა და კულტების ქრისტიანულ წმინდანებთან სინკრეტიზაცია.




## სალონი «კასანდრა»

ქალაქის წენტრში, პატარა მყუდრო ეზოში გაიხსნა მაგიური სალონი «კასანდრა». სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები დაგეხმარებიან გადაჯრან თქვენი პრობლემები პირად ცხოვრებაში, აგრეთვე პროფესიულ და ბეზნეს სფეროებში.

ტარო, ასტროლოგია, პარაფსიქოლოგია, ბიოენერგეტიკა, აურის წმენდა, ბედის კორექტირება, ჯანმრთელობის, ცხოვრებისეული სიტუაციებისა და პრობლემების.

დიაგნოსტიკა. შავი და თეთრი მაგიის რიტუალების ჩატარება და შესწავლა, დიდი არჩევანი მომსახურეობების სახეობებში და სპეციალისტებში.




შაბათ დღეს მსურველებისთვის ტარდება შეკრება, სადაც იქნება განხილული სასურველი თემები მაგიაზე და აგრეთვე ჩატარდება ერთობლივი რიტუალები და სხვა ღონისძიებები (მოლაპარაკებით).

სალონის მისამართი — ქ. თბილისი რუსთაველის ქუჩა 36.

წინასწარ ჩაწერა ტელეფონით +995592987846 ალექსანდრე

კონსულტაცია ყველა სახის კითხვებზე — ტელეფონით, ინტერნეტით — მუშაობა (რუსულ ენაზე) +995597783366 ანნა.







სიბრძნის გზაზე, შესაძლოა, არაა საფრთხე სასიკვდილოზე მეტი, არაა შხამი მომწამვლელზე მეტი, და ცდუნება მცირე, ვიდრე სულიერი სიამაყე, მზესავით ნათელი, ის მოქმედებს პირდაპირ გულში, ამის გარდა, ის იძრდება და აძლიერებს ეგოს, ამიტომ მის მსხვერპლს შავ გუბებში ჩავარდნისა და სამუდამოდ იქ დარჩენის საფრთხე ემუქრება.

ეს საფრთხე შეუძლია მოსპოს ორმა ანტიდოტმა:

## საღმა აზრმა და იუმორის გრძნობამ.

როცა გამოფიტული წევხარ ვიშვარუპადარშანის შემდეგ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ «ახლა ყველაზე წმინდა ადამიანი ვარ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, ჯონ მ. ყოტკინსის შემდეგ», ჯობია გაიხსენო სიტყვები საკმაოდ სკეპტიკური მსაჯულისა «წმინდა ტუპიკში», ა. პ გერბერტის, მან მათგან მანტრა შექმნა:

«გეუბნებით თქვენ—

გეუბნებით თქვენ—

გეუბნებით თქვენ—

გაიგრილეთ თავი».

ალისტერ ვროული,

»მაგია ცრემლების გარეშე«, თავი 44